



საქართველოს ბიბლიოთეკა

ISSN 1512-0880

№1 (46)-2012

საქართველოს



ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:
 თბილისი ვაკედიის ქ.
 №18, ბ. 16
 ტელ 223-02-98
 297-16-83

ჟურნალის რედაქცია:
 ადექსანდრე ღორია
 - მთავარი რედაქტორი
 გურამ თაყნიაშვილი
 - მთავარი რედაქტორის
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
 გუდნარა სცურუა
 - სამეცნიერო-მეთოდური და
 კორექსონდენტებთან მუშაობის
 რედაქტორ-კოორდინატორი

ინსანარმო „ალი“
 დამფუძნებლები: საქართველოს
 პარლამენტის იდია ქავჭავაძის
 სახელობის ეროვნული
 ბიბლიოთეკა; საქართველოს
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ



საქართველოს ბიბლიოთეკა №1 (46) – 2012

შინაარსი

თანამედროვე საჯრო ბიბლიოთეკა 4

ბამოკვლევა

ნინო ხვედელიძე – ვალერიან გუნიას საგამომცემლო მოღვაწეობა 6
იური სიხარულიძე – ერთ გვართან დაკავშირებით 12
მერაბ ცაგარელი – ნიგნი ივანე ბერიტაშვილის ცხოვრებაში 14

ჩვენი დიდი წინაპრები

დარეჯან კოტეტიშვილი – ილია ჭავჭავაძე და ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკა
პეტერბურგში 16
დარეჯან კოტეტიშვილი – ნიკო ცხვედაძე – ერის კაცი 19
იური სიხარულიძე – ლოტბარი ვახტანგ სიხარულიძე 24
ჩვენი ბიბლიოთეკები – წარსული და აწმყო
გურამ თაყნიაშვილი – სოფლის ბიბლიოთეკები წინათ და ახლა 25

კორესპონდენციები

ლამარა დუნდუა – სამტრედიელთა სულიერი საუნჯე 28
მედეა მოსიავა – ი. ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მატემატიკური საჯარო სკოლის
ბიბლიოთეკა 30
ლილი გორდელაძე – სტუმრად კათარზისში 33
მზია ტოგონიძე – ყოფილი სტუდენტები – ჩემი კოლეგები 35

ინფორმაციები

რუსი ბიბლიოთეკთმცოდნეობის ნაშრომი ქართულ ჟურნალში 36
არა მხოლოდ პერსონალია 37
ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში 38
პოეზიის საგნად ქვეული მხარე 39
დიდი ღვანლის შედეგი 39
ერის დიდი მასწავლებელი 40

ბამოხმაურებები

ავტორები : ც. კვინტრაძე – გოგიაშვილი –
რ. ჯინჯიხაძე, ლ. დვითაძე, ც. თოდუა –
კარტოზია 41

გალაქტიონოლოგია

დავით კოტორაშვილი – სილაჟვარდე ანუ გალაქტიონი 42

მოგონება

ბახვა დოლიძე – შეხვედრა ნოდარ დუმბაძესთან 44

ჩვენი შემოქმედება

წრფელი გულით ნათქვანი 45
ანგელინა ცინცაძე – რწმენის ძალით 46

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა 48

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 1 (46) – 2012

СОДЕРЖАНИЕ

Современные публичные библиотеки.....4

Исследования

Нино Хведелидзе -- Издательская деятельность Валериана Гуниа6
 Юрий Сихарулидзе — В связи с одной фамилией.....12
 Мераб Цагарели — Книга в жизни Иване Бериташвили.....14

Наши великие предшественники

Дареджан Котетишвили — Илья Чавчавадзе и библиотека студентов-грузин
 в Петербурге16
 Дареджан Котетишвили — Нико Цхведадзе – Сын отечества19
 Юрий Сихарулидзе — Дирижер Вахтанг Сихарулидзе24
 Наши библиотеки --- прошлое и настоящее
 Грам Такнишвили — Сельские библиотеки в прошлом и настоящем.....25

Корреспонденция

Ламара Дундуа — Духовная сокровищница жителей Самтредиа28
 Медея Мосиava — Библиотека 42-ой физико-математической публичной школы
 имени И. Векуа30
 Лили Горделадзе — В гостях у «Катарзиса».....33
 Мзия Тогонидзе -- Бывшие студенты --- мои коллеги35

Информация

Труды русского библиотековеда в грузинском журнале36
 Не только персоналия37
 Край поэзии.....38
 Один из лучших образцов39
 Результат большого труда39
 Великий учитель народа.....40

Отзывы

Авторы: Ц. Квинтрадзе-Гогиашвили –
 Р. Джинджихадзе, Л. Двиатадзе, Ц. Тодуа-Картозиа.....41

Галактиология

Давид Которашвили – Лазурность, то есть Галактион42

Воспоминания

Бахва Долидзе — Встреча с Нодаром Думбадзе44

Наше творчество

От чистого сердца.....45
 Ангелина Цинцадзе – Силой веры46

Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии.....48

CONTENTS:

Modern Public Library	4
-----------------------------	---

Research

Nino Khvedelidze – Valerian Gunia’s Publishing Activity	6
Iuri Sikharulidze – On One Family Name	12
Merab Tsagareli – The Book in Ivane Beritashvili’s Life	14

Praiseworthy Ancestors

Darejan Kotetishvili – Ilia Chavchavadze and Georgian Students’ Library in Saint Petersburg	16
Darejan Kotetishvili – Niko Tskhvedadze: A Layman	19
Iuri Sikharulidze – Choirmaster Vakhtang Sikharulidze	24

Our Libraries: Past and Present

Guram Taqniashvili – Village Libraries Then and Now	28
---	----

Correspondence

Lamara Dundua – The Spiritual Treasure of Samtredians	30
Medea Mosiava – The Library of I. Vekua Physical-Mathematical School No. 42	
Lili Gordeladze – Visiting the ‘Catharsis’	33
Mzia Togonidze – Erstwhile Students, Now My Colleagues	35

Information

A Work by Russian Librarians in a Georgian Journal	36
Not Merely Personalia	37
A Land That Became a Subject for Poetry	38
An Exemplar	39
A Great Contribution	39
A Great Master of the Nation	40

Feedback

Contributors: T. Kvintradze-Gogjashvili, R. Jinjikhadze, L. Davitadze, T. Todua-Kartozia	41
---	----

Galaktion Studies

Davit Kotorashvili – Azure or Galaktion	42
---	----

Recollections

Bakhva Dolidze – Meeting Nodar Dumbadze	44
---	----

Our Works

Saying It with a Sincere Heart	45
Angelina Tsintsadze – By Force of Faith	46

Chronicle

The Chronicle of the Georgian Library Life	48
--	----

თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკა

თანამედროვე მსოფლიოს საბიბლიოთეკო სისტემაში განსაკუთრებული ცვლილებები საქალაქო და სასოფლო ქსელებმა განიცადა. ცვლილებები ძირითადად შეეხო თვისობრივ თავისებურებებს, რასაც უმთავრესად ამ ტიპის ბიბლიოთეკების სტატუსსა და ფუნქციებს შეეხო. რაც შეეხება სამეცნიერო და სამეცნიერო-სასწავლო ბიბლიოთეკებს, მათი გარდაქმნა დიდი ხანია დაწყებულია და ის წინ უსწრებდა საჯარო ბიბლიოთეკების რეფორმირებას.

დიდი ბიბლიოთეკები შედარებით ადვილად ახერხებდნენ სიახლეთა დანერგვას და ახალი ფუნქციების შექმნას. ამას ხელს უწყობდა ის ადამიანური თუ მატერიალური რესურსები, რომლებიც მათ გააჩნდა; გარდა ამისა, მათზე დიდი მოთხოვნა იყო მეცნიერული პოტენციის ზრდასთან დაკავშირებით და მათი რეფორმაცია გადაუდებელი აუცილებლობით იყო გამოწვეული. რაც შეეხება საქალაქო-სასოფლო საჯარო ბიბლიოთეკებს, ისინი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს, თუმცა ამ მიმართულებითაც ნათლად იგრძნობოდა სიახლეთა შემოჭრა და ფერისცვალება.

არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში საბიბლიოთეკო გარდაქმნებს ბიბლიოთეკების ნგრევა და გაპარტახება არ მოჰყოლია, როგორაც ეს ჩვენში მოხდა. არ შეიძლება არ ითქვას, რომ მსოფლიოში საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება და ბიბლიოთეკების გარდაქმნა, ფაქტობრივად, იმდენად გეგმიურად, თანდათან, თანმიმდევრულად და მიზანდასახულად ხდებოდა, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებთან იმდენად შესაბამისად და შესატყვისად მიმდინარეობდა, რომ საზოგადოება რაიმე განსაკუთრებულ ძვრებს არც კი ამჩნევდა; დარგის გაჩანაგებასა და რყევაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია.

უცხოეთში ამგვარი ეტაპობრივი განვითარება თანდათან იმგვარად უცვლიდა სახეს ბიბლიოთეკებს, რომ ეს არავითარ მტკივნეულ პროცესს არ წარმოადგენდა. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ეს იმან განაპირობა, რომ საბიბლიოთეკო საქმე, მისი სისტემა, ორგანიზაციულ-სტრუქტურული მართვისა და მეთოდურად მის გაძღოლას, ძირითადი გამოცდილი, მცოდნე სპეციალისტები ახორციელებდნენ, ისევე, როგორც შესაბამის სახელმწიფო დაწესებულება-ორგანიზაციებს.

სამწუხაროდ, ჩვენში ეს ასე არ მომხდარა. საბიბლიოთეკო საქმის გარდაქმნა ჩატარ-

და მოუმზადებლად, არაპროფესიონალურად, არაკვალიფიციურად, სპეციალისტთა შეხედულებებისა და გამოცდილებების გაუთვალისწინებლად, ნაჩქარევად, ყოველგვარი გარდამავალი ეტაპების გარეშე. ეს, ერთგვარად, გასაგებია: ცხოვრება მოითხოვდა რადიკალურ გარდაქმნებს, რეფორმების დაუყოვნებლად ჩატარებას, რისკებს, რაც იწვევდა ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გამოტანას, ალტრადევი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის სურვილს, რამდენადაც შეიძლებოდა ჩქარა, მაგრამ ამან რომ კარგი შედეგი არ გამოიღო (და ვერც გამოიღებდა), ფაქტია, დაშვებულ იქნა მრავალი შეცდომა, რაც შეიძლებოდა არ ყოფილიყო. საქართველოში ამ დროისთვისაც არსებობდა ისეთი რესურსები, რომლებიც შეიძლებოდა გონივრულად გამოყენებულიყო დარგის სრულყოფილად გარდაქმნისათვის, მაგრამ ეს არ იქნა მხედველობაში მიღებული და შეიქმნა ის ვითარება, რომელიც დღეს გვაქვს – ჩვენში საჯარო ბიბლიოთეკების სისტემა, ფაქტობრივად, დანგრეულია, ბევრი ბიბლიოთეკა სავსებით განადგურებულია.

საქმეს ვერ უშველა საჯარო ბიბლიოთეკების სკოლების ბიბლიოთეკებთან გაერთიანებამ. ეს უძველესი სისტემა და უღატაკესი სიტუაციიდან „გამოსავალი“, იმის შემდეგ, რაც მანამდე გვექონდა, ვერავითარ „გადადგმულ ნაბიჯად“ ვერ ჩაითვლება, რამდენადაც საქართველოში ჯერჯერობით არ არის არც ერთი სკოლა, რომლის ბიბლიოთეკამ შეძლო დამატებით ეტივითა მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება, ამას კი „საქართველოს საბიბლიოთეკო კანონი“ კატეგორიულად ითხოვს.

ამგვარი სასკოლო ბიბლიოთეკების უდიდესი ნაწილი გადავსებულია გაუქმებული საჯარო ბიბლიოთეკების მოძველებული წიგნადი ფონდებით, რომლებსაც ცალკე ინახავენ ხელუხლებლად; არ არსებობს ინსტრუქცია მათ ჩამოწერაზე და ამგვარი სასკოლო ბიბლიოთეკები გამწარებული არიან. ითხოვენ ნებართვას ფონდების დაწმენაზე, მაგრამ არავინ ამას ყურად არ იღებს. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგანაც აღარ არსებობს რომელიმე სახელმწიფო ორგანო, რომელიც ითავსებს საბიბლიოთეკო საქმის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, მის კურირებას, თუმცა ხსენებულ საბიბლიოთეკო კანონში ეს სავსებით კონკრეტულად არის განსაზღვრული.

დღეს საჯარო ბიბლიოთეკები არა კანონზე, არამედ სავსებით გამგებლებზე არიან დამოკი-

დებული. თუ გამგებელი განათლებული, წიგნიერი, ინტელექტუალური, საქმეზე თავგადადებული მმართველია, როგორც ნაწილობრივ მაინც ახერხებს ბიბლიოთეკის შენარჩუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო ბიბლიოთეკებს სკოლებში ჩართვენ (მხოლოდ მათ წიგნად ფონდებს) და ამგვარად მათ პრობლემებს გადაწყვეტილად მიიჩნევენ.

რა შეიძლება გააკეთონ სკოლის ბიბლიოთეკარებმა, რომელთა გადამჭრელი უმრავლესობა არასპეციალისტია და მხოლოდ თავისი სკოლის ბიბლიოთეკის საქმე ვერ მოუგვარებია სათანადოდ? არ ხდება მათი კვალიფიკაციის გეგმიურად ამაღლება, და განა კი გვაქვს ჩვენ დამუშავებული მეთოდიკა, თუ როგორ უნდა იმუშაოს სკოლების ბიბლიოთეკარებმა მოსახლეობისა და მოსწავლეების ერთობლივი მომსახურების პირობებში? ამაზე არავინ ფიქრობს და, როგორც ჩანს, კურსი ისეა აღებული, რომ სასკოლო ბიბლიოთეკებში საჯარო ბიბლიოთეკების შეტანის პროცესი კვლავ გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ ამას არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოაქვს. შეიძლება დარჩეს მხოლოდ ქალაქების და რაიონების ცენტრალური ბიბლიოთეკები.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ არც ერთი სკოლის ბიბლიოთეკა მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მეთოდიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამც თუ საჯარო ბიბლიოთეკას შეითავსებს წარმატებულად, არამედ თავის უშუალო ფუნქციებსაც ვერ შეასრულებს.

ამ მიმართულებით ნამდვილი ქაოსია, და როდის მიაქცევს ამას ყურადღებას ჩვენი ხელისუფლება, ჯერჯერობით უცნობია.

ჯერ კიდევ ე.წ. „ზასტოისა“ და „პერესტროიკის“ პერიოდში ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკები ვერ უწყობდნენ ფეხს მსოფლიო მონინავე ქვეყნების შესაბამისი რანგის ბიბლიოთეკებს, და შემდეგ რაც მოხდა, ხომ სავსებით გასაგებია! მართალია, პირველ ხანებში იყო რაღაც ცდა მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მაგრამ სულ მალე მოხდა პირიქით – არასწორმა მენეჯმენტმა და, საერთოდ, დარგისადმი სრულმა ინდეფერენტმა, ამ დარგის მთლიანი დეგრადაცია გამოიწვია.

ამ მოვლენის გაშუქებასა და ანალიზს ჩვენს ჟურნალსა თუ სხვა პერიოდულ ორგანოებში არაერთი წერილი მიეძღვნა, გამოითქვა ბევრი შენიშვნა, ნამოყენებულ იქნა წინადადებები, მაგრამ ამას რაიმე გამოხმაურება არ მოჰყოლია. სავსებით ბუნებრივია: როცა ხელისუფლება ეკონომიურ სივიწროვეს განიცდის, ისეთ

დარგებზე, რომლებიც არავითარ მატერიალურ დოვლათს არ ქმნიან და მხოლოდ ხარჯებს ინვევენ, თავს მაინცა და მაინც, არ ინუხებს. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ ეკონომიკური წარმატება ბევრადაა დამოკიდებული მეცნიერებასა, განათლებასა და კულტურაზე; ისინი შესაბამის ინტელექტუალურ ბაზას ქმნიან, რაც ეკონომიური განვითარების საწინდარია.

როგორია დღეს მონინავე ქვეყნებში ჩვეულებრივი საჯარო ბიბლიოთეკები? ფაქტობრივად, ეს დამოკიდებულია იმ სტატუსზე, რაც ამა თუ იმ ქვეყანაში ამ ბიბლიოთეკებს აქვს მინიჭებული. სავალალოდ, ჩვენში, არავითარი სტატუსი არ არსებობს. სხვათა შორის, სპეციალისტების ცდა ამგვარი სტატუსის შექმნისა, უყურადღებოდ დარჩა და, ცხადია, არც რაიმე შედეგი მოჰყოლია მას. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ გვაფიქრებდეს, თუ საითკენ უნდა ვისწრაფოთ, როგორი საბიბლიოთეკო ქსელი უნდა შეიქმნას, რა უნდა ვიღონოთ, რომ ყოველი დასახლებული პუნქტის საბიბლიოთეკო მომსახურება ნორმალურად განხორციელდეს.

თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკა, ჩვეულებრივ, საინფორმაციო ცენტრს წარმოადგენს. სხვათა შორის, სწორედ ასეა ფიქსირებული „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. მამასადაამე, საჯარო ბიბლიოთეკა ორიენტირებული უნდა იყოს მასების ინფორმირებაზე, რითაც ხელს შეუწყობს ინფორმაციული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რაც ჩვენთვის ამჟამად უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს.

საჯარო ბიბლიოთეკისათვის ინფორმაციული საქმიანობა ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოთეკებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. ახლა უკვე საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტი აღარ წარმოიდგინება კომპიუტერული ცოდნის გარეშე. საბიბლიოთეკო სპეციალობა თავისთავად გულისხმობს კომპიუტერული პროცესების ფლობას. ასევე მნიშვნელოვანია ელექტრონული კატალოგებისა და გაციფრებული წიგნების ჩართვა საბიბლიოთეკო ციკლებში. ცხადია, ყოველივე ამის ერთბაშად დანერგვა შეუძლებელია და ამიტომაც საბოლოო შედეგებს ეტაპობრივად თუ მივალწევთ, თორემ ეს არ მოხერხდება სპონტანურად, ავრალური წესით. ამ საქმეს გეგმაზომიერად, დაგეგმილად, თანმიმდევრულად ესაჭიროება განხორციელება.

თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკას თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ესაჭიროება – შესაფერისი შენობა-ნაგებობა, ავეჯი და მოწყობილობა, აუდიოვიზუალური ტექნიკა, კომპიუტერი და სხვა საინფორმაციო საშუალებები, გამამრავლებელი მანქანები, სხვა კომუნიკაციები, საჭირო აქსესუარი და სხვ. მომსახურება უმთავრესი კომპონენტია ბიბლიოთეკის მთელ საქმიანობაში. საჭირო მასალის შერჩევა დაკვეთების მიღება და დროულად შესრულება, მომხმარებელ-მკითხველის მაქსიმალურად დაკმაყოფილება, ინფორმაციის მალალი დონე და ელემენტურობა, ეთიკური ნორმების დაცვა, დიფერენცირებული მიდგომა, მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინება – ყოველივე ეს საწინდარია მომხმარებელ-მკითხველთა ბიბლიოთეკაში მოზიდვისა და მათგან საჭირო დახმარების მიღებისა (თანამდგომთა საბჭო, წრეები, კლუბები, აქტივი და ა.შ.).

ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, შეუფერხებლად ისარგებლოს საჯარო ბიბლიოთეკით, „კანონის“ თანახმად, სრულიად უფასოდ. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვთა და უნარშეზღუდულ ადამიანთა მომსახურება, მთელი მომხმარებელ-მკითხველ კონტინენტის მრავალსახეობა.

არ იქნება სწორი, თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკაში ორიენტაცია მხოლოდ ელექ-

ტრონულ საშუალებებზე იქნეს აღებული. ჯერ კიდევ დიდია მოთხოვნა ჩვეულებრივ ბეჭდურ წიგნზე და ბიბლიოთეკაში მას თავისი შესაფერისი ადგილი უნდა დაეთმოს. ჩვენს ამჟამინდელ თვალსაწიერზე არ ჩანს, რომ წიგნი თითქოს დაკარგავს თავის ფუნქციებს და უსარგებლო საგნად გადაიქცევა. ამიტომაც ყოველმა საჯარო ბიბლიოთეკამ საჭიროა შეძლოს ტრადიციული და ახალი ფონდების ურთიერთშეთავსება. იგივე ითქმის ტრადიციულ ფორმებსა და მეთოდებზე.

ყოველივე ამასთან ერთად, თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკა წარმოადგენს საზოგადოების თავშეყრის, მასობრივი ღონისძიებების, სჯა-ბაასის, დისკუსიის, აზრთა გაცვლა-გაზიარებას, საკუთარი შემოქმედების ხალხში გატანის, დასვენება-გართობის საზოგადოებრივ დაწესებულებას, რომელიც ხელს უწყობს მომხმარებელ-მკითხველთა ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეთიკურ-ესთეტიკურ თავისებურებების განვითარებას.

ამგვარი ბიბლიოთეკის არსებობა შეუძლებელია სათანადო კადრების გარეშე, რაზედაც ზრუნვა და საქმის მოგვარება აუცილებლად მოითხოვს სერიოზულ სახელმწიფოებრივ მიდგომას.

ბამოკვლევა

ნიწო სვედელიძე

*იშვიათ გამოცემათა განყოფილების
მთავარი სპეციალისტი*

ვალერიან გუნიას საგამომცემლო მოღვაწეობა

ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მამულიშვილს ვალერიან გუნიას დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო ქართული დრამატული თეატრისა და კინოს, არამედ ქართული ჟურნალისტიკისა და საგამომცემლო საქმის განვითარებაში. მან დააარსა და თავისი რედაქტორობით გამოსცა: „საქართველოს კალენდარი“, „სახალხო კალენდარი“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, ჟურნალები „ნიშადური“ და „საქართველო“. ეს ის პოპულარული გამოცემებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ჩვენ შევეხებით ვალერიან გუნიას სარედაქციო და საგამომცემლო მოღვაწეობის ამსახველ მხარეებს.

ვალერიან გუნია 1862 წელს დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ეკში. მისი დაბადების თარიღი

დოკუმენტებში სხვადასხვაგვარადაა მითითებული: უმრავლეს წყაროში აღნიშნულია 9(21) იანვარი (1; 9, 562). საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით იგი 15 აპრილს დაბადებულია (2,223). ვალერიანის მამა – ლევან გუნია ქალაქ ფოთის თვითმმართველობის მოხელე იყო. ექვსი წლის ასაკში, ვალერიანს დედა – ტასო (ანასტასია) ჩიჩუა გარდაეცვალა. დაობლებული ბავშვი მოძულე დედინაცვლის ხელში აღმოჩნდა. მას მზრუნველობა გაუწია ცარიზმის წინააღმდეგ პოლონელთა ამბოხში მონაწილეობისათვის კავკასიაში გადმოსახლებულმა ვაცლავ გრინცევიჩმა, რომელიც იმხანად გუნიებთან ცხოვრობდა. მხატვრობისა და მუსიკის ნიჭით დაჯილდოებულმა პოლონელმა საძირკველი ჩაუყარა მომავალი საზოგადო მოღვაწის პიროვნების ჩამოყალიბებას. დედის აღერსს მოკ-



ლებულ ვალიკოს სხვა მწუხარებაც დაემატა, ბავშვებთან „ჩილიკაობის“ დროს ჯოხი მარცხენა თვალში მოხვდა და ისე დაუზიანა, რომ შუშის თვალის ჩასმა გახდა საჭირო. ფოთის სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1876 წელს ვალერიანი მამამ თბილისში წამოიყვანა და სასწავლებლად

რეალურ გიმნაზიაში მიაბარა. ბეჯითი ყმანვილი ძალიან კარგად სწავლობდა და მოსწავლეთა საიდუმლო წრეს მეთაურობდა. 1881 წელს, იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლევობისგამო, თბილისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა ერთმა ჯგუფმა ფარულად მოაწყო „მეფის შესანდობარი ქელეხი“. აქ ცარიზმის საწინააღმდეგოდ სიტყვა წარმოთქვა ვალერიანმაც, რისთვისაც იგი სხვა მოსწავლეებთან ერთად სასწავლებლიდან გარიცხეს ე. წ. „მგლის მოწმობით“. ვალერიანი ამხანაგების მიერ შეგროვებული ფულით სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა, სადაც თავისუფალ მსმენელად მოეწყო პეტროვო-რაზუმიოვსკის სამეურნეო აკადემიაში. პარალელურად, მან საიმპერატორო მცირე თეატრში დაიწყო მუშაობა და ხელი მიჰყო პიესების თარგმნას. 1882 წელს, იმპერატორ ალექსანდრე მესამის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით, პოლიციამ ყველა არასაიმიედო პირი დედაქალაქს მოაშორა, მათ შორის ქართველი სტუდენტიც საქართველოში გამოაძევა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვალერიანი აქტიურად ჩაება თეატრის მოყვარულთა წრის მუშაობაში. მისი დიდი ნიჭი და სიყვარული თეატრისადმი ადვილად შეამჩნია ვასო აბაშიძემ, რომელმაც იგი 1883 წელს დიდ სცენაზე აიყვანა. მანვე, დიდი ნდობა გამოუცხადა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ვალერიანს, როდესაც სამკურნალოდ წასვლის გამო, 1886 წელს, მას ყოველკვირეული სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთ „თეატრის“ რედაქტორობა ჩააბარა. ამ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას ვალერიანმა მთელი თავისი ძალისხმევა მოახმარა. მოგვიანებით, საკუთარ დღიურებში წერდა: „ვასო აბაშიძემ „თეატრი“ გადმომცა და მეც გავები „თეატრის“ უღელში. ჩემი შრომა და მეცადინეობა მალე

დაეტყო გაზეთს და ხელის მომწერთა რიცხვმა ერთიორად იმატა... ბევრი სისხლი გამიფუჭდა ამ უმადურ შრომაში. ვინ იტყვის, რამდენი ლამე გამითენებია ამ შრომაში. 24 საათში ოთხი საათილა მქონდა მოსასვენებლად, მალე მოვიქანცე, მაგრამ მაინც თავს არ ვანებებდი გაზეთს... ვალები დამედო გაზეთის გამო, ძლივს ვიბრუნებ სულს, მაგრამ ჯერ კიდევ გავუძლებ, რა ქნას კაცმა, როგორ ემსახუროს სამშობლოს უმსხვერპლოდ...“ (3, 561; 9).

ვალერიანი უზომოდ იყო შეწუხებული მაშინდელი საცენზურო კომიტეტის ზედამხედველობით, რაც კარგად ჩანს მის ჩანაწერში: „ცენზურამ ხელ-ფეხი შემიკრა, ჩემი რედაქციის საქმე თანდათან ცუდად მიდის, სიტყვა არ მათქმევინეს, რა ვქნა არ ვიცი... ცენზურა მტანჯავს...“ საცენზურო კომიტეტმა ვალერიანი აიძულა საყვარელი გაზეთისათვის თავი დაენებებინა. „თეატრში“ მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, ვალერიანი ილია ჭავჭავაძემ თანამშრომლად მიიწვია „ივერიაში“, სადაც „ვალიკო...იას“ ფსევდონიმით ბეჭდავდა წერილებსა და რეცენზიებს. ილიასა და ვალერიანს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულ ილია ჭავჭავაძის პირად კოლექციაში ინახება მისდამი მიძღვნილი გუნიასეული „საქართველოს კალენდრის“ რამდენიმე ეგზემპლარი, რომელსაც გამომცემლის ავტოგრაფი ამშვენებს: „თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს შემდგენელისაგან“, „თავად ილია ჭავჭავაძეს ავტორისაგან“, „დიდ ილიას პატარა ვალერიან გუნიასაგან“.

„საქართველოს კალენდრის“ გამოცემას წინ უძღოდა რთული ისტორიული ვითარება. მ ეფის თვითმპყრობელობის იმხანად გამეფებული მკაცრი რეჟიმი წინ უსწრებდა და აფერხებდა ყოველგვარ ეროვნულ საქმეს. ქვეყნის წინსვლის უმნიშვნელოვანეს დამაბრკოლებელ მიზეზს ვალერიან გუნიას სწავლა-განათლების იმჟამად არსებულ მდგომარეობაში ხედავდა, ამიტომ გადაწყვიტა ისეთი წიგნი გამოეცა, რომელიც წერა-კითხვას მოკლებულ თანამემამულეებს აუცილებელ ცნობებს მიაწვდიდა და ყოფას შეუმსუბუქებდა. ეს გახლდათ „საქართველოს კალენდარი“, რომელიც 1888–1905 წლებში იბეჭდებოდა და გამოდიოდა წელიწადში ერთხელ. ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მაშინდელი საზოგადოების ცხოვრებაში. „ივერიის“ ფურცლებზე მის შესახებ ეწერა: „ჩვენ მივიღეთ „საქართველოს კალენდარი“... შედგენილი და გამომცემული ვალერიან გუნიას მიერ... ის შეუდგა ამ ფრიად სანაქებო საქმეს“ (5, 562; 63). „საქართველოს კალენდ-



რის“ პირველი ნომერი 1888 წელს გამოვიდა და გრ. ჩარკვიანის სტამბაში დაისტამბა. შემდეგი ათი წიგნი (1889–1898 წ. წ.) გუნიამ საკუთარ სტამბაში გამოსცა.

ვალერიანი იყო „საქართველოს კალენდრის“ შემდგენელი, სტატიების ავტორი, სხვადასხვა ცნობის შემკრებ-შემგროვებელი, კორექტორი, გამომცემელი, რედაქტორი, საორგანიზაციო და საფინანსო საქმეების მომწესრიგებელი. სტატიების მოსამზადებლად იგი ძველი ქართული ხელნაწერებით სარგებლობდა. მრავალგვარი ცნობითა და ინფორმაციული მასალით აღჭურვილი კალენდარი ერთგვარ სამაგიდო წიგნსა და ენციკლოპედიურ ცნობარს წარმოადგენდა. კალენდარში იპოვიდით საჭირო და საინტერესო ინფორმაციას: ხალხური მედიცინისა და წამლების გამოყენების წესების, ავადმყოფის პირველადი დახმარების აღმოჩენის, ასტროლოგიური და ასტრონომიული საკითხების, ქართული კულინარიისა და წეს-ჩვეულებების, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და აგრონომიის, მატარებელთა განრიგებისა და მგზავრობის ფასების, სატვირთო და სამგზავრო გემების მარშრუტების, ფოსტა-ტელეგრაფისა და სანოტარო ცნობების, კანტორებისა და ნოტარიუსთა მისამართების შესახებ. კალენდრის მნიშვნელობაზე მიუთითებს გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონის – ტარასის მოგონება: „შევხვედრივარ სოფლად, რომ ვინმე ავად გამხდარა და მაშინვე ის დაუძახიათ, არიქა, გუნიას კალენდარი იშოვნეთ სადმე და იქ ეწერება ავადმყოფობის წამალიო. უშოვიათ, მოუნახავთ სათანადო ადგილი, ზუსტად უსარგებლიათ იქ მოყვანილი ცნობებით და უშველიათ კიდევ ავადმყოფისთვის“ (6,416).

ვალერიანი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი იყო. 1889 წლის „საქართველოს კალენდარში“ მან ვიქტორ ჰიუგოს სიტყვა – „თავისუფალი სწავლა-განათლება“ გამოაქვეყნა: „სწავლა-განათლების კარები ყველასათვის გაღებული უნდა იყოს ყველგან, სადაც კი ქოხი დგას, სადაც კი ტვინი მოძრაობს, იქ უსიკვდილოდ წიგნიც უნდა იყოს...“ ამ აზრს იზიარებდა თვითონაც და ყოველმხრივ ცდილობდა მოსახლეობის დაბალ ფენას აუცილებელი განათლების მიღებაში დახმარებოდა. ამ მიზნით მან შეადგინა და 1891 წელს გამოსცა „ქართული მინერ-მოწერის კრებული“ – სრული და ვრცელი სახელმძღვანელო სხვადასხვა ბარათებისა და წერილების შესადგენად. კრებული დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა და ავტორმა იგი 1898 წელს მეორედ გამოსცა.

მრავალფეროვნებით გამოირჩეულმა „საქართველოს კალენდარმა“ მნიშვნელოვანი მასალა შემოგვინახა მომავალ თაობებსაც. როგორც მკვლევარი მ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, კალენდარში დაბეჭდილი ქართველ მწერალთა გამოუქვეყნებული ლიტერატურული თხზულებები პირველწყაროს წარმოადგენს, რომლთა მიხედვითაც შეიძლება დადგინდეს თხზულებათა სრულ კრებულებსა და რჩეულებში ნებისთ თუ უნებლიეთ გაპარული უზუსტობანი. ძირითადი დანიშნულების პარალელურად კალენდარმა ტექსტოლოგიური ფუნქციაც შესანიშნავად შეასრულა: დაზუსტდა რამდენიმე ნაწარმოების დაწერის თარიღი, პირველი ბეჭდური წყარო და პირველი პუბლიკაციის თარიღი (7,421).

მუდმივი ეკონომიკური პრობლემების გამო, 1898 წლის „საქართველოს კალენდრის“ გამოსვლის შემდეგ ავტორი იძულებული იყო გამოცემა დროებით შეეჩერებინა. ოთხი წლის შემდეგ კი გუნიამ გამოცემის განახლება გადაწყვიტა და 1902 წლის 4 მაისს თხოვნით მიმართა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. კალენდრის ბოლო სამი წიგნი, რომელიც 1903–1905 წლებითაა დათარიღებული, ამ საზოგადოების მიერ გამოიცა.

ვალერიან გუნია 1889–1895 წლებში გამოსცემდა „სახალხო კალენდარს“, ყოველი მათგანი დღეს განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს. დიმიტრი ყიფიანის მკვლევლობასთან დაკავშირებით, 1887 წელს ვალერიანმა ერთ დღეში დაწერა პატარა ბროშურა „დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი“, ანონიმურად დაბეჭდა და ხალხში გაავრცელა. 1889 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ქართული თეატრის შესახებ“.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მეტად რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა ქართული ჟურნალ-გაზეთები. ხალხს საშუალება არ ჰქონდა, გაცნობოდა ქვეყნის ჭირ-ვარამს. აუცილებლობას წარმოადგენდა ყოველდღიური გაზეთის არსებობა. ვალერიანმა უაღრესად საჭირო საზოგადოებრივი აზრის წარმმართველი ოპერატიული პერიოდული ორგანოს დაარსება განიზრახა. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ მან 1896 წლის ივნისში, ყოველდღიური გაზეთის – „ცნობის ფურცლის“ დაარსების თაობაზე განცხადება შეიტანა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს უფროსის სახელზე. გუნიამ ჭკვიანურ ხერხს მიმართა და გაზეთისათვის შეადგინა მარტივი და მშრალი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული არ იყო თანამედროვე ცხოვრების ამსახველი საჭირობოროტო საკითხები და კრიტიკული წერილები. ამით იგი ცდილობდა თვალი

აეხვია მთავარი სამმართველოს მესვეურების სათვის. გაზეთის დაარსების ნებართვის მიღების შემდეგ კი იგი შეეცდებოდა პროგრამის გაფართოებას. ასეც მოხდა, საქმე მსვლელობისათვის კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიას გაემგზავნა. რამდენიმე დღის შემდეგ კი გუნია დადებითი პასუხი მიიღო.

ბუნებრივია, ოპერატული ორგანოს დაარსებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ყოველდღიურ გაზეთს გაცილებით მეტი საქმის გაკეთება შეეძლო. მთავარი იყო, გაზეთს გამოცდილ კორესპონდენტთა გუნდი ჰყოლოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაზეთი ვერ გაამართლებდა მკითხველის იმედებს და მალე დაიხურებოდა. გუნია თავის ირგვლივ შემოიკრიბა საგამომცემლო საქმის კარგად მცოდნე და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია. იგი მასალებს იღებდა საქართველოს ყველა კუთხიდან.

სერიოზული გადასაწყვეტი იყო სტამბის საკითხი. გასამრჯელოს ოდენობის მხრივ ყველაზე ხელსაყრელად გ. შარაძის სტამბა მიიჩნეის, რაც „ცნობის ფურცლის“ რედაქციისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა და გუნია ამ დაიწყო გაზეთის ბეჭდვა.

„ცნობის ფურცელის“ გამოცემის თაობაზე ქართველ საზოგადოებას გუნია გაზეთ „კვალის“ 1896 წლის ნოქტომბრის ნომერში განთავსებული განცხადებით

ამცნო: „... პირველი ნომერი გამოვა ამა წლის ოქტომბრის 20-ში. ხელისმონერა მიიღება ქ. თბილისში, ბათუმში გ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში, ფოთში ალ. გუგუშვილთან, სოხუმში თედო სახოკიასთან, ოზურგეთსა და ახალ სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, სიღნაღში დ. მაჩხანელთან, კავკავში ლ. ბოცვაძესთან, სურამში ი. მესხთან, თელავში ი. იმერლიშვილთან, მიხაილოვოში ლექტორ მესხთან და ყველა სასოფლო ქართულ ბიბლიოთეკაში“... გაზეთის პირველი ნომერი დაპირებისამებრ გამოვიდა 1896 წლის 20 ოქტომბერს, 1200 ეგზემპლარის რაოდენობით.


ამ დროისათვის ქართული თეატრის დასს ეკონომიურად ძალიან გაუჭირდა. რეპერტუარის შესანარჩუნებლად რაღაც უნდა ეღონათ. ვალერიანი გარიგებით დაქორწინდა ივანე გომელაურის ასულზე. გარიგების თანახმად, მზითვეის ნახევარი თეატრალურ სალაროში გადავიდა, მეორე კი ოჯახს უნდა მოხმარებოდა, თუმცა ფულის დიდი ნაწილით ვალერიან-

მა შეიძინა სტამბა, რომლის კურთხევა დიდი ნადიმით აღინიშნა. მას ილია ჭავჭავაძეც ესწრებოდა. გუნიას ჩანაფიქრი ასრულდა და 1898 წლის აპრილიდან „ცნობის ფურცლის“ ბეჭდვა ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე გამართულ საკუთარ სტამბაში დაიწყო. ამის შესახებ ვალერიან გუნია საზოგადოებას აუწყებდა: „სტამბა ყოველისფერით სავსე და მოწყობილია, ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად და იაფად“... (8).

ბეჭდვითი სიტყვისადმი ქართველი ხალხი უდიდეს ინტერესსა და მისწრაფებას იჩენდა. ხელის მომწერთა რიცხვმა ჯერ 1500-ს მიაღწია, ხოლო გაზეთის გამოცემიდან ერთი თვის შემდეგ 2200-ს გადააჭარბა. ეს ბუნებრივია, ხელს უწყობდა გაზეთის განვითარებას. რედაქცია, გაზეთის პროგრამისა და თავისი მიზანდასახულობის შესახებ მკითხველს აუწყებდა: „იმედი გვაქვს, საქართველოს ყველა მკვიდრნი სიამოვნებით მიიღებდნენ იმ ამბავს, რომ ჩვენს პატარა მწერლობას კიდევ ერთი ყოველდღიური პანია გამოცემა მიემატა. ის თანაგრძნობა და სიხარული, რომელიც ჩვენ გვესმის ქართული საზოგადოებისაგან, ნათლად გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ერი და ქვეყანა მონადინებულია იქონიოს კიდევ ერთი ორგანო...“ (9,54).

მოგვიანებით, რედაქციამ დაიწყო გაზეთის როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება. იბეჭდებოდა: „დეპეშები საზღვარგარეთიდან“, „კანონი და მთავრობის განკარგულება“, „ახალი ამბები“, „პოლიციის მაციანე“, „თეატრის მაციანე“, „სალამოს დეპეშა“ და სხვა. გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსული ინფორმაციები პატარა კომენტარებით, რომლებშიც უდიდესი ეროვნული ტკივილი და მშობელი ქვეყნისადმი დიდი სიყვარული იყო ჩაქსოვილი. გაზეთის სპეციფიკა ვრცელი განმარტების შესაღებლობას არ იძლეოდა. მაგრამ რედაქტორი მაინც ახერხებდა მკითხველისათვის ახალი და დამაფიქრებელი ამბავი მიენოდებინა. ცენზურისაგან გამუდმებული თვალყურის დევნის გარდა, გაზეთის ბეჭდვისას უანდარმერია მალულად ადევნებდა თვალს რედაქტორსაც და გამომცემლობასაც.

უდავო იყო, რომ გაზეთი ასეთი შეზღუდული პროგრამით დიდხანს ვერ იარსებებდა და რედაქტორ-გამომცემელმა პროგრამის გა-



ფართობის თხოვნით პრესის სამმართველოს მიმართა, თუმცა ამაზეც უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, გუნიამ მაინც გაზარდა გაზეთის ფორმატი, უფრო ვრცელ ინფორმაციებსა და მიმოხილვებს ბეჭდავდა. აშუქებდა სამშობლოსა და სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და საჭირობოტო საკითხებს. რედაქტორის გაბედულმა ნაბიჯმა კიდევ უფრო გაზარდა გაზეთისადმი ინტერესი და ტირაჟმა 2500-ს მიაღწია. 1897 წლის 5 თებერვლიდან (№106) კი გუნიამ გაზეთს წაანერა: „ყოველდღიური სახალხო გამოცემა“. რედაქტორ-გამომცემელი დღენიადაგ გაზეთის განვითარებაზე ფიქრობდა. რედაქციამ 400 მანეთის ღირებულების ახალი კლიშეები შეიძინა და მკითხველს მიმართა: რედაქციაში მოზრდანიდით და შესაფერისი კლიშეები შეარჩიეთ თქვენი განცხადებებისათვის (10). გაზეთის პირველი და მეოთხე გვერდი დაეთმო კლიშირებულ განცხადებებს, რამაც მნიშვნელოვნად გააღამაზა „ცნობის ფურცლის“ გარეგნული სახე.

ვალერიან გუნიას დიდი იმედი, რომ პროგრამის გაფართოებას მოახერხებდა, კვლავ აუხდენელი რჩებოდა. რედაქტორი თვითონ ეახლა მთავარმართველ გოლიცინს, რათა მისთვის ქართული თეატრის დაფინანსება და „ცნობის ფურცლის“ გაფართოება ეთხოვა. სასახლეში მთავარმართველთან შესვლაზე მას უარი უთხრეს. ვალერიანმა ხმალი იმიშვლა და ძალით შესვლა განიზრახა. გოლიცინს მოქალაქის „თავხედობის“ შესახებ მოახსენეს და მან გუნიას კაბინეტში შეყვანა ბრძანა. ვალერიანთან ორი საათის საუბრით მოხიბლულმა მთავარმართველმა თეატრისთვის დიდი თანხა გაიმეტა, გაზეთის პროგრამის გაფართოებაზე კი უარი განაცხადა (11,163).

ვალერიანს თავისი გეგმების შეუსრულებლობამ გული გაუტეხა. 1898 წლის ივლისიდან მან გაზეთის ფორმატი კვლავ შეამცირა. პარალელურად შემცირდა ხელმომწერთა რიცხვი და ტირაჟი. 1898 წლის პირველი იანვრის ნომერში გუნია გულისტკივილით აღნიშნავდა: გაზეთი 1100 ცალი გამოდის, წლიურად 7500 მანეთია საჭირო. ხელისმომწერთა მხრიდან 5000 მანეთი შემოდის, დანარჩენს ვზარალობთ. თუმცა ეს არაფერია, ერთი წელი კიდევ გავწევთ ჭაპანს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდო. მას კვლავ დიდი იმედი ჰქონდა, რომ მომავალი წლიდან პროგრამის გაფართოებასა და ტირაჟის გაზრდას შეძლებდა. თუმცა ეს მან ვერ მოახერხა, რადგან შექმნილ ვითარებაში ყოველდღიური გაზეთის გამოცემა უაღრესად რთული საქმე იყო. რედაქტორ-გამომცემელი „საქართველოს

კალენდრიდან“ შემოსულ თანხასაც „ცნობის ფურცელს“ ახმარდა, თუმცა ისიც მცირეოდენი იყო და გუნიამ ჯერ მეუღლის მზითევი, შემდეგ კი სიმამრის ქონებაც გაზეთს მოახმარა. მოგვიანებით, ნინო გუნია იხსენებდა: „გაზეთს 12 ათასი ვალი დაედო. სტამბა ვალერიანმა ჩემზე გააფორმა, ვალიც ჩემი მზითევიდან გაისტუმრა“ (12; 165). 1900 წლიდან ვალერიანი იძულებული გახდა გაზეთი „ქართველთა ამხანაგობისათვის“ გადაეცა, რათა მას არსებობა არ შეენწყვიტა (13,141).

ვალერიან გუნია მძაფრად შეიგრძნობდა ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას, ამიტომ 1906 წლის ზაფხულიდან მან დაიწყო ზრუნვა ახალი ჟურნალის გამოცემისთვის. საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება ამავე წლის 2 სექტემბრით დათარიღებული თბილისის გუბერნატორის მიმართვა საცენზურო კომიტეტისადმი ვალერიან გუნიასათვის ჟურნალ „ნიშადურის“ გამოცემის ნებართვა და გუბერნატორის მიერვე გუნიასათვის გაცემული მოწმობა. 1907 წლის 15 აგვისტოთა დათარიღებული მთავრობისაგან ნებადართული ჟურნალ „ნიშადურის“ რედაქტორ-გამომცემლის ვალერიან გუნიასა და სტამბა „სორაპნის“ მეპატრონის მიხეილ გაჩეჩილაძის თანამშრომლობის ურთიერთშეთანხმება (14, 246). 1907 წლის 26 აგვისტოს გამოვიდა ყოველკვირეული იუმორისტულ-მხატვრული ჟურნალი „ნიშადური“, რომელშიც ეროვნული მიმართულების პოლიტიკური სატირა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ამსახველი კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა. გუნიამ გამოსცა ჟურნალის დამატებაც – „ნიშადურის კრებული“, რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა, რადგან 1908 წლის სექტემბერში თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა ჟურნალი „ნიშადური“. მისი ბოლო 61-ე ნომერი 14 სექტემბრითა დათარიღებული.

ვალერიან გუნიას შემდგომშიც არ შენელება შემართება და 1908 წელს დააარსა ყოველკვირეული სალიტერატურო მხატვრული ჟურნალი „საქართველო“, რომელიც საქართველოს ავტონომიისა და სხვადასხვა სარწმუნოების ქართველთა გაერთიანების იდეას ემსახურებოდა. „ნიშადურსა“ და „საქართველოში“ ვალერიანი „მონადირის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს „მანკიერებათა სამზეოზე გამოსატანად“. ჟურნალის მხოლოდ 11 ნომერი გამოვიდა. იგი დაიხურა ადმინისტრაციის განკარგულებით, თბილისის გენერალ გუბერნატორის 1908 წლის 14 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, „უკიდურესად მავნე მიმართულების“ გამო (15, 244).

ქვეყნისათვის მავნედ და საზიანოდ კი ნამდვილად იქცეოდა სახელმწიფო აპარატი, რომლის მამხილებლად და განსასჯელად მუდამ უშიშრად გამოდიოდა ვალერიან გუნია. ერთი მხრივ, იგი სამშობლოს მომავლისათვის საჭირო პიესებს დგამდა სცენაზე. მეორე მხრივ კი, სახალხო და ყველასათვის ხელმისაწვდომ გამოცემებს უძღვებოდა. „ჩემისთანა უბედური კაცი რომ ვერსად იქნება, ეს შენც იციო“, – ნერდა ვალერიანი ერთ-ერთ წერილში მეგობარს. „ხან პიესა არ გვაქვს, ხან კოსტუმები საშოვი, ხან ვალია დასაფარი თეატრისთვის, ხან ფულია საჭირო გაზეთისთვის... ეს არ მეყოფა, რომ ხან ადმინისტრატორი მწენავს და ხან „სუდი“, ამას არ უშავს „თუ ციხეში არ მიტყუცეს თავი“.

1908 წლის №13–დან ვალერიანი რედაქტორობდა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთს „ისარს“. იგი დახურული „მეგობრის“ ნაცვლად, 1907 წელს დაარსდა, როგორც სოციალ-ფედერალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. გაზეთის ბოლო ნომერი 1908 წლის 29 თებერვალს გამოვიდა და დაიხურა თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით (16,24).

ამავე, 1908 წელს გუნიამ გამოსცა აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილი ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“. 1909 წლის იანვარში მანვე გამოსცა ახალი ყოველკვირეული

მხატვრულ-ლიტერატურული ალმანახი „ერთობა“, რომლის მხოლოდ 2 ნომერი დაიბეჭდა. ახლად ნებადართული ჟურნალი „სამშობლო“ გამოცემამდე აკრძალეს.

ვალერიან გუნია არაფერს იშურებდა თავისი დაჩაგრული და უფლებაყრელი ქვეყნის ნუგეშის საცემად, გასამხნეველად და ასაღორძინებლად. იგი ჟურნალ-გაზეთებს უსასყიდლოდ უგზავნიდა სტუდენტებს რუსეთის სხვადასხვა კუთხეში, ვენაში, პარიზსა და სხვა ქალაქებში. საზღვარგარეთიდან არალეგალურად ჩამოტანილი ლიტერატურის გასავრცელებლად მან სპეციალურად გააკეთებინა ჩემოდანი, რომელსაც ორმაგი სარჩული ჰქონდა, მასში საკმაო რაოდენობით თავსდებოდა თხელ პაპიროსის ქაღალდზე დაბეჭდილი არალეგალური ლიტერატურა, რომელსაც ვალერიანი მოგზაურობის დროს საქართველოს ყველა მნიშვნელოვან ცენტრში ავრცელებდა (17,162).

ვალერიან გუნია იყო შესანიშნავი მსახიობი, რეჟისორი, დასის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, რედაქტორი, გამომცემელი და უმნიშვნელო საზოგადო მოღვაწე. მან მთელი შეგნებული ცხოვრება, მთელი თავისი ნიჭი და ენერგია ქართული კულტურისა და ხელოვნების აღორძინებას, სამშობლოს სიყვარულსა და საკუთარი ხალხის უანგარო სამსახურს შეაღწია.

ლიტერატურა:

1. ხეთერელი, ც. ვალერიან გუნიას ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობა, – თბ.: უნ-ტის გამ-ბა, 1989.; კალანდაძე, ალ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. – თბ. – 1987.– ნ. 5.
2. ნანიტაშვილი, ლ. ვალერიან გუნია (დოკუმენტი) // საისტორიო მოამბე: ტ. 33–34. – თბ., 1976.
3. ალ. კალანდაძის დასახ. ნაშრ.; ლ. ნანიტაშვილის დასახ. ნაშრ.
4. იქვე; ჯანელიძე, დ. ვალერიან გუნია: [მონოგრაფია]. – თბ. : ლიტერატურა და ხელოვნება, 1963.
5. ალ. კალანდაძის დასახ. ნაშრ.; ბურთიკაშვილი, ალ. რაინდი უშიშარი და გულმართალი; მონოგრაფია ვ. გუნიაზე. – თბ.: საბჭ. საქართველო, 1965.; „ივერია“, 1892, №268.
6. ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდარი“ – ტექსტოლოგიური წყარო // ლიტერატურული ძიებანი. – 2002. – ტ. 23.
7. მ. გაჩეჩილაძის დასახ. ნაშრ.
8. ცნობის ფურცელი – 1898, №499.
9. ქობულია, ს. ვალერიან გუნია – „ცნობის ფურცლის“ დამაარსებელი: [1896 წ. //] ახალგაზრდა ჟურნალისტი. – 1975. – №12.
10. ცნობის ფურცელი. 1897, № 73.
11. გუნია, ნ. ზოგი რამ ვ. გუნიას შესახებ // მნათობი, 1963, №12.
12. იგივე.
13. დ. კარიჭაშვილი ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (1819–1904)// ქართული მწერლობა. – 1929. – №6–7.
14. ლ. ნანიტაშვილის დასახ. ნაშრ.
15. იგივე.
16. გ. ი. ბაქრაძის დასახ. ნაშრ.; „ამირანი“ – 1908, 8 მარტი, №5.
17. ნ. გუნიას დასახ. ნაშრ.

იური სიხარულიძე

ერთ გვართან დაკავშირებით

გრეკოვის გვარი ილია მაისურაძეს თავის „ქართულ გვარსახელებში“ (1981) შეტანილი არა აქვს. მართალია, გვარი ქართული არაა, მაგრამ მისი დღევანდელი წარმომადგენლები ნამდვილი ქართველები არიან.

ასეთები გახლავან რიჩკოვები, ხოხლენკოები და სხვები, რომლებიც XIX საუკუნეში სამხედრო სამსახურის შემდეგ საქართველოში დარჩნენ და თანდათან გაქართველდნენ.

გრეკოვები, როგორც გვარსახელი მიგვანიშნებს, არც ძირძველი რუსები არიან. ისინი რუსეთს ჩარჩენილი ბერძნების შთამომავლები არიან, როგორც მარშალი ჟუკოვი და მრავალნი სხვანი.

როგორც გურიის გრეკოვების შთამომავლებთან დაცული გადმოცემა გვამცნობს, მათი წინაპარი XIX საუკუნის 60-იან წლებში დამკვიდრებულა სოფ. ბახვს.

ამ სამხედრო პირს ისე მოსწონებია გურია, რომ რუსეთში დაბრუნება აღარ უსურვებია, გურულ ქალზე დაქორწინებულა და აქ ჩაუყრია ფუძე რუს-ქართველა მოდემისთვის.

გრეკოვის მეუღლე ყოფილა ბახველი ჭანიშვილის ქალი.

XIX ს-ნის 60-იან წლებში ბახვს ჭანიშვილთა სულ ორიოდე ოჯახი ყოფილა, მაგრამ ორივე შეძლებული გლეხი.

გრეკოვთა საგვარეულოს პირველ მკვლევარს ენ. გოგუაძეს ხელთ ჰქონია 1965 წლის „საკომლო აღწერის“ დავთარი, რომელშიც იხსენიებიან სამოელ მაქსიმენიშვილის ყმები – ჭანიშვილები – ივანე ჭანიშვილის ვაჟები ნიკოლოზ და შევარდენ ჭანიშვილები, რომლებიც თურმე დიდ ადგილ-მამულს ფლობდნენ – თითოეული 350 ქცევას (ენ. გოგუაძე, საიდუმლო სერობა, გვ. „სახალხო განათლება“, 13.02.1990, გვ. 9).

თუ ეს ციფრი სწორია, მაშინ ჭანიშვილები საოცრად მდიდრები ყოფილან.

რომელი ძმის სიძე გახლდათ გრეკოვი, ჯერ გარკვეული არაა, მაგრამ მარჯვედ კი დაქორწინებულა. გრეკოვსა და ჭანიშვილის ქალს შეძენიათ ვაჟი, რომლისათვის მამას ეგორი დაურქმევია. რა თქმა უნდა, ბახვში ასე არავინ მოიხსენიებდა და ადგილობრივ მას გადაქართულებული იაგორა დაუმკვიდრებოდა (იქვე).

იაგორ გრეკოვს, მამის სიკვდილის შემდეგ, რატომღაც გული აუყრია დედისეულ ბახვზე და სოფელ ნაგომარს დასახლებულა. შეურთავს ასკანელი (გვაბრათელი) ვასაძის ქალი

და 12 შვილი შესძენია. მაგრამ ყვავილმა ბევრი დაუხოცა. (სამი ვაჟი და ორი ასული). ყველა ისინი წმ. მარინეს ეკლესიის სასაფლაოზე განისვენებენ.

ყვავილი პირველად იაგორს შეეყარა, რომელიც ფოთიდან მომავალი ერთ ყვავილიან ოჯახში შესულა წყლის დასაღვებად, იაგორი გადარჩა, მაგრამ ვაი ასეთ გადარჩენას – ხუთი შვილი დაეღუპა.

რა დღეშიც იქნებოდა ეს უბედური ოჯახი, ძნელი მისახვედრი არ არის.

თუ არა ალექსანდრე (სანდრო) გრეკოვი, ასეთი გვარი მხოლოდ ნაგომარელებს და ბახველებს თუ ეცოდინებოდათ მხოლოდ. მაგრამ ალექსანდრემ თავისი „ჩვენებებით“, რომელიც ილიას მოსაკლავად ბახვს გამართულ საიდუმლო კრებას ეხებოდა, მთელ ამიერკავკასიას მოსდო თავისი გვარი.

ალ. გრეკოვი 1887 წელს დაიბადა ნაგომარს. იგი, ისე როგორც მისიანები, ფიზიკური გარეგნობითაც გამორჩეული ყოფილა, გაბედული და დამყოლი ხასიათის.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ნაგომრის წითელი რაზმის მეთაურს კალენიკე დოლიძეს და ალექსანდრე თავის რაზმში ჩაურიცხავს. ეტყობა, ალექსანდრე გამგონე რაზმელიც იყო, შეძლებული და დავალების კარგი შემსრულებელიც, ამიტომაც ანდობდნენ რთულ საქმეებს – მათ შორის საფოსტო მატარებელზე თავდასხმასაც.

ერთი ასეთი თავდასხმისას ალექსანდრე დაუჭრიათ მატარებლის გამყოლ ყაზახებს – ტყვია ნიკაპს გაკვრია და ენაში გაუვლია, მაგრამ ამ ჭრილობას გადაურჩა ნაგომრის აფთი-აქის მეპატრონის გულისყურის წყალობით.

ფოსტაზე თავდასხმას ამის შემდეგ მეტი მოქნილობით ახორციელებდა. თანდათან ისე გაინაფა, რომ მატარებლიდან მეორე მატარებელზე გადახტომასაც ახერხებდა თურმე, ეტყობა, საშოვარსაც კარგად ეუფლებოდა.

ასეთი ახალგაზრდა ნაგომრელთა წითელი რაზმის სიმდიდრედ უნდა მიეჩნიათ; როგორც ამბობენ, ასეც იყო.

ალექსანდრეთი განსაკუთრებით რაზმის მეთაური კალენიკე დოლიძე ამყობდა.

და ბუნებრივია:

სანდროსნაირი წითელი რაზმელებით არც ისე იყვნენ გაჯერებული გურიის ასეთი რაზმები.

ალექსანდრეს მამაცობას ასკანის რაზმის ლეგენდარული მეთაური დათიკო შევარდნაძეც მოჰყავდა თურმე აღტაცებაში.

საფოსტო მატარებელი სახელმწიფოს იყო და მასზე თავდასხმას თუ სახელი მოჰქონდა, ასე როდი იყო ოჯახებზე დაცემა. ამას ხალხი უკვე სხვა კვალიფიკაციას აძლევდა.

რევოლუციურად გულანთებული ახალგაზრდა, ეტყობა, ამას კარგად ვერ აცნობიერებდა და ერთხელ საოჯახო ძარცვაშიც გაუყოლებიათ.

ეს ძარცვა 1897 წელს შედგა ცხემლისხიდაში. მძარცველები სამნი ყოფილან: ორი პარტიის წევრი, ხოლო ერთიც – „ხულიგანი“, გაზეთი „ისარი“ 1907 წლის 28 ოქტომბრის ნომერში ქვეყანას ამცნობს ამ საძრახ საქმეს („გიორგიძის“ ოჯახზე, თავდასხმას, მაგრამ არც ს–დ პარტიის წევრების გვარებს ასახელებს და არც მათ მხლებელ ხულიგნისას“.

პარტიულთა გვარები დღესაც არ ვიცით, ხოლო „ხულიგანი“ –ალექსანდრე გრეკოვი გახლავთ.

ეს ავი საქმე იმ დროს ფართოდ გახმაურდა და ალექსანდრეს ადრინდელი რეპუტაციაც თვალსაჩინოდ შეილახა.

ამასთანავე პოლიციამ და ჟანდარმერიამაც მის შესაპყრობად სერიოზული საბუთი იპოვა, რომელიც ამ სიტუაციაში ბევრად ფასობდა.

რუსეთის გაქნილი ჟანდარმერია და პოლიცია ახლა გადამწყვეტ დარტყმას ამზადებდა გურიის წითელ რაზმელთა გასანადგურებლად და ამ დროს მათთვის ყოველი მცირე კრიმინალიც კი ძვირფასი მონაპოვარი შეიძლებოდა გამხდარიყო. ამაზე „ოხრანკას“ სულ ადვილად შეეძლო მიება ქართველებისათვის ისეთი მგრძნობიარე საქმე, როგორიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობა გახლდათ.

მით უმეტეს, რომ ამ დროს გურიაში აღმოჩნდნენ ისეთი გაქნილი რეაქციონერები, როგორიც იყვნენ ოზურგეთის მაზრის უფროსი კაპიტანი ევგენი ერმოლოვი და გენერალი ტოლმაჩევი. ეს უკანასკნელი გურიას გენერალ–გუბერნატორის სტატუსით მოეწვინა. იგი განაგებდა სრულიად ახალ წარმონაქმნს, რომელშიც შედიოდა არა მარტო საქრისტიანო გურია (თავისი უბნებით), არამედ სამუსლიმანო გურიის მნიშვნელოვანი ნაწილიც (კინტრის უბანი) მდ. ჩოლოქსა და „მწვანე კონცხის“ გადასავალს შუა, გარდა ამისა, ქალაქი ფოთიც ქ. სენაკის სანახების ჩათვლით.

როგორც ერმოლოვს, ისე ტოლმაჩოვსაც საკუთარი კარიერისთვის ძალიან სჭირდებოდათ გურიის რევოლუციასთან ანგარიშის ისე

შთამბეჭდავად გასწორება, რომ რევოლუცია იქ ველარასოდეს აღორძინებულიყო და ამით მათ ამ დიდი საქმისთვის შესაფერისი ჯილდო მიეღოთ.

ეს ნაძირლები ახლა ამ წარმატებას სავსებით რეალურად უკავშირებდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელების ძიებას და საოცარი მოხერხებით შეძლეს ამ ავი საქმის ცენტრად გურიის გამოცხადება.

ამ ღრმად გათვლილ საქმეში ერმოლოვსა და ტოლმაჩოვს ფასდაუდებელი სამსახური აღმოუჩინა ალექსანდრე (სანდრო) გრეკოვმა, რომელიც ერმოლოვმა დააპატიმრა 1907 წლის ნოემბერში (ენ. გოგუაძე, დასახ. სტატია, გვ. 9).

გრეკოვთან ერთად სხვა გურულებიც მრავლად იყვნენ შეპყრობილნი, მაგრამ გრეკოვისთანა „დამყოლი“, არავინ აღმოჩნდა. მეტყველი იყო პატიმრის გვარიც, რომელსაც უფრო სდევდა ნდობის ფაქტორი, ვიდრე წმინდა ქართულ გვარს შეიძლება ჰქონებოდა.

საინტერესოა, რომ გენერალი ტოლმაჩოვი გრეკოვის შეპყრობას 1906 წლის შემოდგომიდან ცდილობდა თურმე, როგორც ეს მის ერთ ჩვენებაშია აღნიშნული (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, 1938, გვ. 86).

ამ ჩვენებას ტოლმაჩოვი ოდესის უბნის სასამართლოს გამომძიებელს აძლევს 1908 წლის 31 იანვარს, როდესაც ის გურიიდან ოდესაშია გადაყვანილი.

გურიის რევოლუციონერთა ვერაგ მტერს რატომ მაინცდამაინც გრეკოვის შეპყრობა უნდა სდომოდა? ეტყობა, მან იცოდა, რომ მისი საშუალებით ბევრ რამეს მიაღწევდა, და იმის გამო კი არა, ალექსანდრე იმთავითვე ჯაშუში იყო, არამედ იმიტომ, რომ, ალბათ, ჰქონოდა რალაც ცნობები მის დამყოლ ხასიათზე, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს თუნდაც თავის ჩვენებაში. პირველად გრეკოვი ერმოლოვმა დაკითხა და მაშინვე აშკარა გახდა მისი ხასიათი, როგორც ტოლმაჩოვი აღნიშნავს, ალექსანდრეს მისთვის „უყოყმანოდ“ მიუცია ჩვენება (იქვე), რაც ასე იშვიათად იყო იმ დროს.

ჩვენ არაფერი ვიცით, თუ მაზრის უფროსის რანაირი საუბარი თუ შეგონება უძლოდა წინ ჩვენების მიცემას. ის, ხომ როგორც ტოლმაჩოვი აღნიშნავს, „ადვილად“ ექცეოდა „გავლენაში“ „მოფერების საშუალებით“ და „მცირეოდენი დახმარებისათვისაც კი მზად“ იყო თავის გასანირად (იქვე).

ასეთ კაცს დამკითხველი ყველაფერზე დაითანხმებდა და იმას ათქმევინებდა, რაც მას სურდა.

ასე რომ, ყველაფერი, რაც გრეკოვის ჩვენე-



ბაშია აღნიშნული, უმთავრესად მაზრის უფროსის გეგმას შეესაბამებოდა, ხოლო რაღაც მცირე – გრეკოვისას.

იმავე წლის ნოემბერშივე გრეკოვი დაკითხა გენერალმა ტოლმაჩოვმა, რომელიც მისი დაპატიმრების ჟამს გურიაში არ იმყოფებოდა და შემდეგ ჩავიდა.

სანამ გრეკოვს დაკითხავდა, გენერალი უეჭველად გაეცნობოდა მაზრის უფროსის ოქმს და ისედაც გაესაუბრებოდა მას პატიმრის პიროვნულ თვისებებზე.

ასე რომ, გენერალი უფრო მომზადებული იქნებოდა ამ დაკითხვის წარმატებით წარმართვისათვის.

სოფლელი ბიჭისათვის ისეთ მრისხანე მაზრის უფროსთან შეხვედრა, როგორც ერმოლოვი გახლდათ, და მით უმეტეს, რკინის მკვნეტელ გენერალ ტოლმაჩოვთან პირისპირ ყოფნა, დიდ პატივად უნდა ყოფილიყო აღქმული მისგან, მით უფრო, როდესაც რუსეთის ასეთი თვალსაჩინო მოხელეები ამგვარ „თბილ“ დამოკიდებულებას ავლენდნენ მისდამი.

გრეკოვს არც ტოლმაჩოვისთვის ჩვენების მიცემისას დაუწყია ყოყმანი (იქვე) და, ეტყობა, ყველაფერი ისე ჩამოარაკრაკა, როგორც ერმოლოვთან.

გენერალი კმაყოფილებით აღნიშნავს იმას,

თუ როგორ „დაემთხვა“ გრეკოვის „ჩვენება“ იმ „აგენტურულ ცნობებს“, რომელიც ტოლმაჩოვს გააჩნდა (იქვე).

ოდესის გენერალ-გუბერნატორი კატეგორიული ტონით აღნიშნავს გრეკოვის სწორ ჩვენებებს, რომ მას „ტყუილი არასოდეს არ უთქვამს“ (იქვე).

რევოლუციონერებს გრეკოვი მართლაც სწორად ასახელებდა, მათ წრეში ტრიალებდა და, აბა, რა უნდა შეშლოდა, მაგრამ ყველაფერ ამას იმოდენ ტყუილი ედგა გვირგვინად, რომლის მსგავსი ბევრი როდი იცოდა რუსულმა გამოძიებამ. ეს იყო ის მონაქორი „საიდუმლო კრება“, რომელიც ვითომ ილია ჭავჭავაძის მოკვლის ორგანიზებას ისახავდა მიზნად. ეს ამბავი თუ ზემოდან არ მოდის, გრეკოვის მონაჩმახია რაღაც კონტურებში, ხოლო შემდეგ გამოძიების რედაქტირებული ან სულაც გაღრმავებული.

მიუხედავად ამ გვარის ამგვარი წინაპრისა, მისი ასეთი რეპუტაციისა, საქართველოში ბევრი გრეკოვი ცხოვრობს, რომლებიც ქართველებს განეკუთვნებიან და ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს წარმოადგენენ. ამდენად, პროფესიულ ლიტერატურაში ამ გვარის ქართულად დაფიქსირება და გვარსახელების კვლევისას მისი წარმომავლობის შესწავლა სავესებით სწორი და სამართლიანია.

მერაბ ცაბარელი

პროფესორი

წიგნი ივანე ბერიტაშვილის სოვრებაში

ივანე ბერიტაშვილი (1884–1974) იმ გამოჩენილი ქართველი სწავლულ მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობას მიეკუთვნება, რომელმაც ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ საქართველოში მეცნიერების განვითარება განაპირობა.

მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ივ. პავლოვის (1849–1936) შემდეგ თითქმის 40 წლის მანძილზე ივ. ბერიტაშვილი იყო ლიდერი, წამყვანი ფიზიოლოგი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ივანე ბერიტაშვილისათვის წიგნი, სამეცნიერო იქნებოდა თუ მხატვრული, ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, როდესაც 8 წლის ვანო თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, ყმანვილს სწავლის სიყვარული სწორედ თელავის სასულიერო სასწავლებელში გაღვიძებია. იმხანად აქ ისეთი

შესანიშნავი პედაგოგები მოღვაწეობდნენ, როგორც იყვნენ მწერალი ვასილ ბარნოვი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მასწავლებლები ილია და ქრისტეფორე ზარაფიშვილები. მათი გავლენით პატარა ვანოს წიგნის კითხვა ისე შეყვარებია, რაც კი ქართული წიგნი იყო სასწავლებლის ბიბლიოთეკაში, ყველა გადაუკითხავს.

ფიზიკურად სუსტი ყმანვილი აქტიურად ვერ ეხმარებოდა მშობლებსა და და-ძმებს ოჯახურ საქმიანობაში. მას წიგნის კითხვა ყველაფერს ერჩია. ხშირად არდადეგებზე სოფელში დაბრუნებული, სხვადასხვა მიზეზს იგონებდა, რომ მშობლებსა თუ და-ძმებს არ გაჰყოლოდა ნათესავების მოსანახულებლად, ოღონდ სახლში დარჩენილიყო და მთელი დღეობით წიგნები ეკითხა.

ივანეს მამა – სოლომონი, სოფელ ვეჯინის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელი

იყო და სურდა შვილი მის კვალს გაჰყოლოდა; ამიტომაც 1901 წ. ვაჟი თბილისის სასულიერო სემინარიაში გადაიყვანა. იმ დროს აღნიშნული სასწავლებელი რევოლუციურად განწყობილი მარქსისტი ახალგაზრდების საბუდარად იყო ქცეული.

ახალგაზრდა სემინარისტი გატაცებით დაენაფა გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების - ა. გერცენის, ნ. დობროლიუბოვის, დ. პისარევის, ნ. ჩერნიშევსკისა და სხვა მატერიალისტ ბუნებისმეტყველთა შრომებს.

როდესაც ივ. ბერიტაშვილი უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი იყო, სპეციალურად ისწავლა ინგლისური, რომ ინგლისელი მეცნიერის - ჩ. შერინგტონის ცნობილი წიგნი „ნერვული სისტემის ინტეგრაციული მოქმედება“ წაეკითხა, რომელიც რუსულად არ იყო თარგმნილი, მაგრამ განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა მეცნიერთა შორის მთელ მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, რუსეთის იმპერიაშიც. შემდეგში ამ წიგნის ავტორი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა (1932), მისი პირველი გამოცემა რუსულ ენაზე მხოლოდ 1969 წელს განხორციელდა.

ივანე ბერიტაშვილი ახალგაზრდობიდანვე შეუდგა წიგნების შეგროვებას და მალე საკმაოდ დიდი პირადი ბიბლიოთეკა შექმნა. საქართველოში დაბრუნებულმა, მან უამრავი წიგნი ჩამოიტანა თან. სადაც კი მუშაობდა, ყველგან აგროვებდა წიგნებსა და ჟურნალებს, ქმნიდა პროფესიულ ბიბლიოთეკებს. ასე შეიქმნა ბიბლიოთეკა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე და მისი სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. როცა 1986 წელს სოფელ ვეჯინში გაიხსნა ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი, ბევრი წიგნი იქ იქნა გადატანილი. ივ. ბერიტაშვილის პირადი ბიბლიოთეკა დიდხანს ინახებოდა თბილისში მის სახლ-მუზეუმში, რომელიც გმირთა მოედანზე არსებულ ე.წ. თერთმეტსართულიან სახლში მდებარეობდა. სამწუხაროდ, მუზეუმის გაუქმების შემდეგ წიგნები და რიგი საარქივო მასალა განადგურდა, ხოლო გადარჩენილი ნაწილი გადატანილ იქნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. აქ ცალკე ადგილი აქვს მიჩენილი ამ ფონდს, ყოველ დოკუმენტს პატრონის კუთვნილების დამადასტურებელი ბეჭედი აქვს დასმული.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგის კეთილსინდისიერი მუშაობის წყალობით ეს ფონდი განადგურებას გადაურჩა, თუმცა დაცვისათვის შესაფერისი რეჟიმის უქონლობის გამო, მისი შენარჩუნება მეტად საძნელოა.


ბერიტაშვილის ბიბლიოთეკის ფონდი სხვა-

დასხვა წყაროებიდან ივსებოდა, უპირველეს ყოვლისა, ბ-ნ ივანეს დიდი ავტორიტეტის გამო საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მეცნიერი-ფიზიოლოგი უგზავნიდა მას თავის წიგნს ავტოგრაფით. მათ შორის იყვნენ ცნობილი ადამიანები: პ. ანოხინი, დ. ვორონცოვი, ა.

გინეცინსკი, ლ. ორბელი, დ. რუბინშტეინი და მრავალი სხვანი. სხვათა შორის, მათ შორისაა კ. ბიკოვი, რომლის რედაქტორობითაც 1955 წელს გამოიცა ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო. 1950 წელს ამ მეცნიერმა ერთ-ერთ პროფესიულ სესიაზე ბერიტაშვილი სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად „პავლოვის მტრად“ გამოაცხადა. მაშინ მის მიერ დასახელებული მეცნიერები ყველა გადააყენეს დაკავებული თანამდებობებიდან და ჩამოაშორეს სამეცნიერო მოღვაწეობას. მხოლოდ სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაუბრუნდნენ ისინი თავიანთ საქმიანობას. ბიკოვის მიერ ბერიტაშვილისადმი მიძღვნილი წიგნი ეს ერთგვარ მონანიებასა და შემრიგებლურ აქტს ჰგავს, აგრეთვე ბერიტაშვილის პატივისცემის აღიარებას.

სამი წლის განმავლობაში, როდესაც ივ. ბერიტაშვილი ჩამოშორებული იყო აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, მას უქმად არ დაუკარგავს დრო - დაიწყო საქართველოში ბიოლოგიური აზროვნების განვითარების შესწავლა უძველეს ხელნაწერების მიხედვით. საერთოდ, ინტელექტუალური საქმიანობა დამახასიათებელი იყო მისთვის. ინტენსიურად მუშაობდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში. მისი ცხოვრების ეს პერიოდი დაგვირგვინდა წიგნით „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე“, რომელიც 1957 წელს გამოქვეყნდა, 1961 წელს დაიბეჭდა მისი რუსული თარგმანი. ქართული გამოცემა მხატვრულად გაფორმებულია ლადო გუდიაშვილის მიერ, რომელმაც დახატა იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის, შოთა რუსთაველისა და სხვათა პორტრეტები.

ივ. ბერიტაშვილი სისტემატურად სარგებლობდა იმ წიგნებით, რომლებსაც საბჭოთა წიგნგამამრცელებელი სისტემით აუცილებლად ღებულობდნენ დიდი ბიბლიოთეკები. გარდა





ამისა, როგორც აკადემიკოსს, მას აწვდიდნენ სიებს უცხოეთში გამოქვეყნებული წიგნებისა, რომლებსაც ირჩევდა ის და მათ შექენაზე ზრუნავდა.

ივ. ბერიტაშვილის შვილიშვილი დავით ბერიტაშვილი იგონებს, რომ ბაბუასთან მუდმივად მოდიოდა ამანათები წიგნებით. წიგნები მოდიოდა უცხოელი კოლეგებიდანაც. ისინი კარგად იცნობდნენ ივ. ბერიტაშვილს, რომელიც 1958–1960 წლებში იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი.

ივ. ბერიტაშვილის ბიბლიოთეკაში, გარდა ცალკეული წიგნებისა, მრავლად არის სერიები ფიზიოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში, რომლებიც, ჩვეულებრივ, 20–30 ტომისაგან შედგება, ისინი თავის დროს უნიკალურ მასალას აძლევდნენ ქართველ მეცნიერებს, თუმც მათ არც დღეს დაუკარგავს მნიშვნელობა. ამ ფონდებით ფართოდ სარგებლობდნენ როგორც გამოცდილი მეცნიერები, ისე ახალგაზრდა მკვლევარები და ხარისხის მაძიებლები.

აუნერელია ივ. ბერიტაშვილის ღვაწლი: მან გამოსცა 12 მონოგრაფია (1 პეტერბურგში, 2 – თბილისში, 7 – მოსკოვში, 2 – აშშ-ში); ფუნდამენტური სამტომიანი მონოგრაფია – სახელმძღვანელო (მოსკოვი); ორტომიანი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის (თბილისი), რომელთა გადამუშავებული და შევსებული გამოცემები რამდენჯერმე დაიბეჭდა. არაფერს ვამბობთ უამრავ სტატიაზე, რომელიც სხვადასხვა პერიოდულ ორგანოებში გამოდიოდა.

ივ. ბერიტაშვილმა თავისი პირველი წიგნი 1916 წელს გამოაქვეყნა 32 წლის ასაკში, ხოლო ბოლო – 1974 წელს, როდესაც მას 90 წელი შეუსრულდა. მისი რჩეული შრომების დიდტანიანი კრებული გამოიცა მოსკოვში რუსულ ენაზე, ხოლო მეორე – უფრო დიდი კრებული – მისი დაბადებიდან 100 წლისთავზე ასევე რუსულ ენაზე გამოიცა თბილისში.

საბედნიეროდ, ყველა მათგანი ამჟამად სავსებით ხელუხლებლადაა დაცული ჩვენი საზოგადოების გულისყურის შედეგად.

ჩვენი დიდ წინაპრები

დარეჟან კოტატიშვილი

ილია ჭავჭავაძე და ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკა პეტერბურგში

პერიოდი, რომელშიც მოუხდა ცხოვრება–მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძეს, აღსავსეა მთელი რიგი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინააღმდეგობებით. ადმინისტრაციული ორგანოებსა და სხვა დაწესებულებებში მოკალათებული მექრთამეობაში, გამოძლვასა და ათასგვარ მსგავს ბნელ საქმეებში განაფული ცარიზმის ერთგული მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ ყოველგვარ კულტურულ–საგანმანათლებლო წამოწყების ჩახშობას. ილია ჭავჭავაძე და მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია უშელავათო, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ცარიზმის წინააღმდეგ, ქართველი ხალხის ეროვნული პოზიციების განსამტკიცებლად.

1986 წლის 2 მაისით დათარიღებულ წერილში „ჩვენი ხალხი და განათლება“ ილია აცხადებს: „განათლება, სწავლა, ცოდნა – ან ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში

ჩაუდგეს ხალხს, მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს... თუ წამდვილად გული გვტკივა ხალხისათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ“.

ცოდნის გავრცელების ერთ–ერთ წყაროს, საზოგადოებრიობის ფართო მასებში შეტანის მნიშვნელოვან საშუალებად ილია ჭავჭავაძე ბიბლიოთეკას თვლიდა. ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას რუსეთის უძველეს უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველი სტუდენტები ილია ჭავჭავაძის ინიციატივით იწყებენ ძველი წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვებას ეროვნული ბიბლიოთეკის დასაარსებლად. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანმა წამოწყებამ თავიდანვე ერთობ მასშტაბური ხასიათი მიიღო. მასში აქტიურად ჩაება პეტერბურგის უნივერსიტეტში მოსწავლე, ქართველი ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა. იმ დროისათვის ჯერ კიდევ სტუდენტები, ხოლო შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი – ნიკოლოზ და ბესა-

რიონ ლოლობერიძეები, ვასილ თუმანიშვილი, პეტრე ალხაზიშვილი, დავით ყიფიანი, აკაკი წერეთელი, მიხეილ ანდრონიკაშვილი, ზაქარია მაღალაშვილი, ილია ოქრომჭედლიშვილი, იაკობ ისარლიშვილი, აბელ შანშიაშვილი, პეტრე ნაკაშიძე, მიხეილ ჩხიკვაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვანი. ლექციებიდან თავისუფალ დროს პეტერბურგის წიგნის მაღაზიებსა და ბუკინისტებთან ატარებდნენ დროს საჭირო ლიტერატურის შესაძენად. ხშირი სტუმრები იყვნენ ისინი აგრეთვე პეტერბურგში მცხოვრები ქართველების ოჯახებისა, რომელთა დახმარებით ახლად დაარსებული ბიბლიოთეკა არა ერთი და ორი ძვირფასი ძველი ქართული დაბეჭდილი თუ ხელნაწერი წიგნით გამდიდრებულა.

პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს ბიბლიოთეკის დაარსებაში დიდი დახმარება გაუწია იქაური უნივერსიტეტის პროფესორმა, ცნობილმა ლექსიკოგრაფმა დავით ჩუბინაშვილმა. ამ გამოჩენილი მეცნიერის გადებულმა წვლილმა 1881 წელს ძველი ვერის ბაღში ღირსეულ მასწავლებლის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე ილია ჭავჭავაძეს ათქმევინა: „ღმერთმა ქნას არცერთი და არც

მეორე ღვანლი თქვენი (ლაპარაკია ლექსიკოლოგიურ მოღვაწეობასა და წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკის შეწირვაზე), არ დაეკარგოს საქართველოს, რომელიც თქვენ გიყვართ და რომელიც დღეს თავის გულითად პატივისცემას ჩვენი პირით მოგახსენებთ“.

ღრმა პატივისცემა და მოკრძალება კიდევ უფრო თვალნათლივ გამოხატა ილია ჭავჭავაძემ დავით ჩუბინაშვილის მიმართ 1891 წელს ამ ქართული მეცნიერების ბერძენის დაკრძალვაზე მიტანილ გვირგვინის წარწერაში: „ღრმა მოხუცებულ მასწავლებელს და დამრიგებელს დავით იესეს ძე ჩუბინაშვილს მისის მადლობელის შეგირდის თავჯდომარე ილია ჭავჭავაძისაგან“.



სტუდენტთა ბიბლიოთეკას 1858 წელს შეემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერი კრებული, რომელიც სამეგრელოს მთავრის დადიანის თანამეცხედრემ, ჩვენი სახელოვანი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესმა ასულმა, მუზამ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისამ – ეკატერინემ აჩუქა ილია ჭავჭავაძეს. მოგვიანებით ამავე ბიბლიოთეკის საკუთრება გახდა სალომე ბაგრატიონის მიერ ქართველი სტუდენტებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული 38 დასახელების წიგნი. სალომეს თხოვნით, ეს წიგნები სტუ-

დენტებისათვის თავიანთ უსაყვარლეს პროფესორს დავით ჩუბინაშვილს ჩაუბარებია 1860 წელს შედგენილ ხელნაწერებში.

სტუდენტები იძლევიან ხელწერილს იმაზე, რომ დ. ჩუბინაშვილისგან მიიღეს მეფის ასულის წიგნები და რომ ეს წიგნები უდანაკარგოდ იქნება დარჩენილი სტუდენტურ ბიბლიოთეკაში.

მოიპოვება ცნობები, რომლებიც ერთგვარად ნათელს ჰფენს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის საქმიანობას. იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, წიგნების გარჩევები,

მსჯელობდნენ, კამათობდნენ, იმაღლებდნენ ცოდნას. ნიკო ნიკოლაძე ყოველივე ამის შესახებ თავის მოგონებებში წერს: „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე ძველი ქართული წიგნების და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავს ევლებოდნენ“...

ქართველი მოწინავე სტუდენტობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გულდასმით სწავლობდნენ მდიდარ ქართულ ლიტერატურულ წყაროებს და შემდგომ მართავდნენ მსჯელობას მათი ღირსებისა და ნაკლოვანებების შესახებ. განსაკუთრებით მონდომებით შეისწავლეს ისეთ მდიდარი ლიტერატურული წყაროები, რეგორიცაა: შოთა რუსთაველის „ვეფხისტ-



ყოფილი „ვახტანგ ბატონიშვილი“, „ქართულ მატრიანეთა კრებული“, „ქართლის ცხოვრება“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და მისივე „ლექსიკონი“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, სოლომონ დოდაშვილის „ფილოსოფიის კურსი“ (I ნაწილი), ნიკოლოზ ბარათაშვილის – „ლექსების“ ხელნაწერი კრებული და სხვა.

ქართველმა პროგრესულმა ახალგაზრდობამ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით საფუძველიანად შეისწავლა ქართული ლიტერატურის და კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა, მათგან აითვისა ყოველივე ის, რის გამოყენებაც შეიძლებოდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

XIX საუკუნის 60-იან წლების დამდეგიდან რუსეთის ცენტრალური ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში თავი იჩინა სტუდენტთა არეულობებმა, რომლებმაც თანდათანობით ცარიზმის ჟანდარმულ-პოლიტიკური რეჟიმის საწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. გამოსვლებს ადგილი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტშიც. რუსი და სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სტუდენტურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ახალგაზრდებიც, რის შედეგადაც მრავალი მათგანი დააპატიმრეს და გარიცხეს უნივერსიტეტიდან. ჟანდარმერიის მიერ განხორციელებული რეპრესიების გამო დაიხურა ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაარსებული ბიბლიოთეკაც. რევოლუციურად განწყობილ სტუდენტებს, მიუხედავად რეაქციის მთელი ძალით მძინვარებისა, ერთი ნუთითაც არ შეუწყვეტიათ ბრძოლა ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ – აწყობდნენ მიტინგებს, რომლებზედაც კატეგორიულად მოითხოვდნენ დაპატიმრებული ახალგაზრდების საპატიმროდან გამოშვებას, ბიბლიოთეკის გახსნას, კრებისა და სიტყვის თავისუფლებას. სტუდენტთა ძალისხმევამ დადებითი შედეგი გამოიღო – შექმნილი ვითარების კიდევ უფრო გართულების თავიდან აცილების მიზნით, ცარიზმმა მათი მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბიბლიოთეკამაც გაანახლა მუშაობა.

პეტერბურგიდან დაბრუნებული ილია ჭავჭავაძე დაუღალავად ზრუნავდა საბიბლიოთეკო საქმის მოსაწესრიგებლად საქართველოში. როგორც ცნობილია, 1879 წელს არსდება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება; რომლის თავმჯდომარედ 1885 წელს ირჩევენ ილიას, მან „ჩაუყარა საფუძველი წერა-კითხვის საზოგადოებასთან არსებულ ძველი ქართული ხელნაწერების სიძველეთსაცავს, რომელიც ქართული ეროვნული მუზეუმის საფუძველად იქცა.

ტროფიმე ხუნდაძე წერს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დაუფასებელი ამაგი დასდო ქართველ ხალხს და ქართველ მეცნიერებს ძველი ხელნაწერისა და ძველი წიგნების შექმნით. წერა-კითხვის საზოგადოება დიდის გაჭირვებით და სიყვარულით აგროვებდა ძველ ხელნაწერებს. ამ ხელნაწერებისა და ძველი წიგნების შექმნისა, მათი აღწერისა და შესწავლისათვის დიდად იღვწოდნენ ჯერ დავით ბაქრაძე და ნ. მთვარელიშვილი, შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი და დავით კარიჭაშვილი“.

ილია ჭავჭავაძე ხშირად უშუალოდ იღებდა პრაქტიკულ მონაწილეობას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის გამდიდრებისათვის. 1885 წელს იონა მეუნარგიასთან, დავით ერისთავთან („სამშობლოს“ ავტორი) და სხვებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე თავად ჩავიდა სოფელ გორდში სამეგრელოს ყოფილი მთავრის ნიკო დადიანის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავისათვის შენირული ძველი ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექციის ჩასაბარებლად. აღსანიშნავია, რომ ამავე წიგნსაცავში წლების მანძილზე ინახებოდა დავით ჩუბინაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, მ. მესხიშვილის და თავისი დროისათვის სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეთაგან შენირული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე შეუნელებელი ინტერესით ზრუნავდა საქართველოში ბიბლიოთეკების ქსელის გასაფართოებლად. მრავალ ქალაქსა და სოფელში სწორედ მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა სხვადასხვა სახის წიგნსაცავი. ეს არცაა გასაკვირვებელი: მას ხომ ბიბლიოთეკა ცოდნისგავრცელების უმნიშვნელოვანეს კერად მიაჩნდა. ცოდნას და განათლებას ბრძენი მოძღვარი ქართველი ხალხის კულტურული აღორძინების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საფუძველად თვლიდა.

ღარეჯან კოტიჯიშვილი

ნიკო ცხვედაძე - ერის კაცი

XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ საზოგადოებაში კულტურა-განათლების დანერგვისა და გავრცელების დიდ ეროვნულ საქმეს ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ცხვედაძე, რომელსაც გამორჩეული საპატიო ადგილი უჭირავს ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა დიდ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად. მან თავისი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულა მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

ვალერიან გაფრინდაშვილი ნიკო ცხვედაძეს ასე ახასიათებდა:

„ილიას ჰგავდი ნიადაგით, ძალღონით სავსე,

შენ ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალი მართლა გჯეროდა,

ნეტავ ხედავდე, მზე ვით ბრწყინავს სამშობლოს თავზე,

როგორ ამოდის ხე სიბრძნისა დარგულ ღეროდან“.

1845 წლის 27 იანვარს სოფელ სოჭინში (ცხინვალის ხეობა), მღვდლის ოჯახში დაიბადა ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი ნიკოლოზ ზებედეშ-ძე ცხვედაძე. იგი ჩამომავლობით გლეხი იყო. მამამისი თავის დროისათვის განათლებული კაცი ყოფილა. მას ღრმად ჰქონია „გულში ჩანერგილი ქართული მნიგნობრობისა და განათლების პატივისცემა და შვილების აღზრდის სიყვარული“. ნიკოს დედა - მარიამ კავსაძე, წერა-კითხვის დიდად მოყვარული და მნიგნობარი ყოფილა. მამა ზებედე კავთისხევში მღვდლად მოღვაწეობდა. ბავშვობის დაუვინყარი წლები ნიკომ სწორედ სოფელ კავთისხევში გაატარა, პატარა ნიკომ წერა-კითხვა ოჯახში შეისწავლა.

დანყებიითი განათლება ნიკო ცხვედაძემ თბილისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, რომელიც წარმატებით დაასრულა და ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც გამეფებული იყო მოსწავლეთა დამამცირებელი რეჟიმი. ნ. ცხვედაძეს ასეთი სასწავლებელი ბევრს არაფერს მისცემდა, მას სისტემატური დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის რომ არ მოეკიდა ხელი. სემინარია წარჩინებით დაასრულა 1865 წელს და როგორც საუკეთესო

კურსდამთავრებული, მის საუკეთესო ამხანაგთან გიორგი იოსელიანთან ერთად უმაღლესი განათლების მისაღებად სახელმწიფო ხარჯით მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაიგზავნა.

ნ. ცხვედაძე თავისი ჩვეულებრივი მხნეობით დაენაფა მეცნიერებას და სულ მოკლე ხანში შრომისმოყვარეობითა და ნიჭით მიიქცია პროფესორების ყურადღება. ლიტერატურული მუშაობა აკადემიის პერიოდში დაიწყო. 1868 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა მისი პირველი წერილი, რომელიც დეკანოზ მიხეილ გურგენიძის გარდაცვალების გამო დაწერა. ნ. ცხვედაძე 1869 წლის ზაფხულში მივლინებული იყო საკანდიდატო დისერტაციის დასამუშავებლად.

1870 წელს ნ. ცხვედაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი და იმავე წელს გ. იოსელიანთან ერთად დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად. მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით და საფუძვლიანი ცოდნით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ნ. ცხვედაძე საგანგებოდ ზრუნავდა სემინარიის მოსწავლე-ახალგაზრდობაში 60-იანი წლების მოწინავე იდეების გავრცელებისათვის. ამ მიზნით ი. გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ შეადგინეს რეალისტურ-მატერიალისტური შინაარსის წიგნები. ისარგებლეს სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ვიქტორინის ერთგვარი გულუბრყვილობით და სემინარიის ბიბლიოთეკა გაავსეს უაღრესად მოწინავე იდეოლოგიის მატარებელი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით.

ამბავმა ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის ასეთი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რეაქციული სასულიერო უწყების ძირითად სასიცოცხლო ინტერესებს, სინოდის ყურამდეც მიაღწია. სინოდმა საგანგებო რევიზორად გამოგზავნა მეტად გაქნილი მოხელე კერსკი, რომელსაც სპეციალური დავალება ჰქონდა მიცემული: ამ სასწავლებლიდან მოეშორებინა ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე

რევიზორი კერსკი სემინარიაში მოსვლის-



თანავე შეუდგა დავალების შესრულებას. იგი დაჟინებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიში არსებობდა „ქართული პარტია“, რომელიც სეპარატისტულ მუშაობას ეწეოდა.

გაქნილ რევიზორს არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ ქართველ პედაგოგთა ჯგუფმა (ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და გ. იოსელიანი), სასულიერო სემინარიის მოსალოდნელი რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, შეიმუშავა სემინარიის რეფორმის ორი პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ქართული ენის დამოუკიდებელი კათედრის დაარსება, რომელიც გააერთიანებდა ქართული ენის გრამატიკის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას. ეს ყველაფერი რევიზორმა კერსკიმ თბილისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიური შემადგენლობის ერთი ნაწილისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის მორალურად გახრწნის ძირითად მიზნებად მიიჩნია და მოწინავე ქართველი პედაგოგების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება მოითხოვა.

1874 წელს ი. გოგებაშვილი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნება, „მესამე მუხლის ძალით“ სამსახურიდან მოხსნეს და ნ. ცხვედაძესაც სამუდამოდ დაატოვებინეს სემინარია.

თბილისის სასულიერო სემინარიაში ნ. ცხვედაძის პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნდა მისი ორი საინტერესო ნარკვევი: „მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის 1492-1664 წლამდის“ და „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით მე-16 საუკუნეში“.

თბილისის სასულიერო სემინარიიდან კერსკის რევიზიის შედეგად გაძევებული ნიკო ცხვედაძე ერთხანს კერძო კავკეთილებით ცხოვრობდა და დროებით მასწავლებლადაც იყო თბილისის სამიჯნაო (სამინათმზომელო) სკოლის უფროს კლასებში. 1874 წელს იგი დაინიშნა ისტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად თბილისში არსებულ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. ამ მასწავლებლებში ნ. ცხვედაძემ თავისი ჩვეული ენერგიული და ფართო ცოდნა-განათლებაზე დამყარებული პედაგოგიური მუშაობით არაერთ ქართველ ქალს ჩაუწერა ქალის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების იდეა, შეაგნებინა ნამდვილი, საფუძვლიანი ცოდნის მნიშვნელობა, გაუღვიძა და განუმტკიცა ცოდნის შექენისა და შრომის წყურვილი.

ნ. ცხვედაძის კალამს მრავალი ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი თეორიულ-პედაგოგიკური ხასიათის ნაშრომი ეკუთვნის. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პედაგოგიკური თხზულება „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, რომელიც პირველად ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1877 წელს „ქვემო ქართლელის“ ფსევდონიმით.

ნ. ცხვედაძე ქართველ გლეხთა ცხოვრების, მატერიალური და გონებრივი შესაძლებლობების დაწვრილებითი ანალიზის გზით ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჩვენი გლეხების დაქვეითებისა ის არის, რომ მათ ზრ გააჩნიათ ცოდნა, რომლის გამოყენება საჭიროა სოფლის მეურნეობის ხეირიანად მოსაწყობად, ურომლისოდაც მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია.

ნ. ცხვედაძე თავიდანვე დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი ყიფიანს, იაკობ გოგებაშვილს და XIX საუკუნის 60-70-იანი წლების სხვა ჩვენს გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს და მათთან ერთად ჩაება დიდი მასშტაბის საზოგადოებრივ საქმიანობაში. დასახელებულ პირებთან ერთად, იგი იყო ჩვენში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მათი მეშვეობით მიიღეს ადგილობრივი წერა-კითხვის საზოგადოების წესდება. წესდება დამტკიცებულ იქნა 1879 წლის 31 მარტს და საზოგადოებაც შეუდგა მოქმედებას. საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიმიტრი ყიფიანი, ხოლო საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ: ილია ჭავჭავაძე, (თავმჯდომარის მოადგილე), ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი და რაფ. ერისთავი.

ამიერიდან ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა ორგანულად დაუკავშირდა ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ნ. ცხვედაძე ნათლად ხედავდა, რომ მეფის რუსეთის მოხელეები საქართველოში აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდნენ. ამის გამო ის აქტიურად ჩაება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართულ ეროვნულ კულტურასა და სწავლა-განათლებას გასაქანი და განვითარების შესაძლებლობა მისცემოდა.

ნ. ცხვედაძის უშუალო მონაწილეობით დაარ-

სდა ქართული სკოლები ქუთაისში, თბილისში, ბათუმში, წინარეხში, თიანეთში, ძველ სენაკში, ხელთუბანში, კავკავში, გომარეთში და ყალამ-შაში. ამ სკოლებში 1907 წლამდე 19.474 ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე.

ცნობილია, რომ თავისი საცხოვრებელი ბინა ნ. ცხვედაძემ ჯერ თავის სიძეს – თამარის მეუღლეს პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილს გადასცა, სადაც საცხოვრებელ ბინაში სკოლა გახსნა და სკოლასთან ერთად ბიბლიოთეკაც. შემდეგ უსასყიდლოდ გადასცა სოფლის მოსახლეობას, რომელშიც გაიხსნა პირველი დანყებითი სკოლა. აღნიშნულ სკოლაში პირველი მასწავლებელი იყო ვანო ცხვედაძე – ნიკო ცხვედაძის ძმა, შემდეგ ის მეორე ძმამ – იოსებმა შეცვალა.

ნ. ცხვედაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული სკოლის გახსნას ისეთ ადგილებში, სადაც ქართველი მოსახლეობა სრულიად მოკლებული იყო სწავლა-განათლების მიღების ყოველგვარ შესაძლებლობას.

იმ პერიოდში ასეთი ადგილთაგანი იყო მაშინდელი აჭარა, აჭარის ქართველი მაჰმადიანებისათვის ქ. ბათუმში ქართული სკოლის დაარსების საკითხი 1879 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე პირველად ნ. ცხვედაძემ დააყენა. ბათუმის საზოგადოება კარგად გრძნობდა და აფასებდა ნიკო ცხვედაძის ამ ღვაწლსა და ამავს. ამიტომ იყო, რომ ის სკოლის ყოველი საჭიროებოტო საკითხის გადანყვეტის დროს ნ. ცხვედაძეს მარტავდა.

ნ. ცხვედაძის შრომა ბათუმის ქართული სკოლის დაარსებისა და მისი განვითარებისათვის ხელისშეწყობის დარგში შესაფერისად იქნა დაფასებული.

აუტანელ პირობებში უხდებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ნ. ცხვედაძეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული სკოლების გახსნა. უდიდესი ენერგია, გულმოდგინება და შეუწინაღებელი მუშაობა იყო საჭირო, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არა მარტო სკოლების გახსნა მოეხერხებინა, არამედ ისე გაეშალა მათში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა, რომ ქართველ ბავშვებს საფუძვლიანი სწავლა-განათლება მიეღო.

დიდი ადამიანი და საზოგადო მოღვაწე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობას, კითხვის კულტურისა და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების საკითხებს. ნ. ცხვედაძემ თავისი

მოღვაწეობა სკოლების გახსნით დაიწყო. 1882 წლის 22 ივნისს საზოგადოების გამგეობის სხდომაზე მან წარადგინა წესდება – „წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებზე“, რომელშიც ასაბუთებდა, რომ სახალხო სკოლებთან ბიბლიოთეკების დაფუძნებას აქვს მიზანი მისცეს ღონისძიება, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებს და სოფლის წერა-კითხვის ყველა მცოდნეს, ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკებით და მათთვის საჭირო გამოსადეგი წიგნები ადვილად იშოვნონ სოფლად და ამ სახით ავარჯიშონ თავიანთი ქუთა-გონება და ახალ-ახალი ცოდნა შეიძინონ, ამასთანავე ბიბლიოთეკებში იქმნება ყველა საჭირო და შესანიშნავი წიგნი: ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა. ის თვლიდა, რომ ბიბლიოთეკების მართვა ეკუთვნით მასწავლებლებს. ისინი ვალდებულნი არიან: ა) წიგნები იქონიონ რიგზე ბ) ჩანერონ ნომრებით წიგნები სკოლის კატალოგში გ) მსურველს ბარათით მისცენ წიგნები და ეცადონ რამდენადაც შესაძლებელია საბედნიეროდ დღეებში სკოლის რომელიმე ოთახი „საკითხავ ოთახად მომართონ“ და მოიწვიონ ყველა მსურველი წიგნებისა და გაზეთების წასაკითხად.

ამ წესდებას თან ერთვოდა წიგნების სია, სიაში 55 დასახელების წიგნი იყო ჩამოთვლილი, რომელიც მეცნიერებათა მრავალ დარგს მოიცავდა, ქართველი მწერლების: შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის ნაწარმოებებთან ერთად, რუსი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებებიც იყო ჩამოთვლილი.

საზოგადოების გამგეობამ ეს წესები მთლიანად მოიწონა და სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოაცხადა საზოგადოების სკოლების შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის.

ნათლად ჩანს დიდი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნ. ცხვედაძის ზრუნვა ბიბლიოთეკებზე, ისიც, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის სასკოლო ბიბლიოთეკებს მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

საზოგადოებაში მისი მოღვაწეობის პერიოდში დაარსდა მრავალი ბიბლიოთეკა: სამი – თბილისში, აგრეთვე ახალციხეში, ქუთაისში, უდში, ხონში, ყვირილაში და ხარაგაულში. ეს ბიბლიოთეკები 1907 წლისათვის 19.500 სახელწოდების სხვადასხვა დარგის წიგნს შეიცავდა და 28.000-მდე ხელნაწერს აერთიანებდა. ამავ პერიოდისათვის საზოგადოებას 130 სახელწოდების სახელმძღვანელოები და წიგნები ჰქონდა გამოცემული 568.000 საერთო ტირაჟით.

ყველა ამ საქმეში ნ. ცხვედაძის მარჯვე ხელი და ენერგიული შრომა ერა.

ნ. ცხვედაძე მისთვის უჩვეულო ენერგიულობით მუშაობდა მეორე დიდ ქართულ საზოგადოებაშიც, რომელსაც „ღარიბ მონაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება“ ეწოდებოდა, რომლის დაარსების პირველი ინიციატორი იყო გიორგი რომანის ძე ერისთავი.

სკოლის მთელი სასწავლო-სააღმზრდელო და სამეურნეო-ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის საზოგადოება“, რომლის აღმასრულებელ ორგანოს საზოგადო კრებაზე არჩეული გამგე-კომიტეტი წარმოადგენდა.

საყოველთაოდ ცნობილია ნ. ცხვედაძის ღვაწლი ქ. თბილისში ქართული გიმნაზიის მშენებლობის საქმეში. ისიც ცნობილია, რომ ეს შენობა ქართული უნივერსიტეტისთვის იყო გამიზნული. ამ მშენებლობაში მონაწილეობდა კავთისხევისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობა.

სოფ. კავთისხევსა და თელადგორს შორის არსებობდა საკირეების წარმოება. ამ წარმოების ხელმძღვანელი იყო დავით ქვლივიძე. მას ნ. ცხვედაძე იცნობდა მისი ქველმოქმედებით. მაგ.: ქვათახევის მონასტერი, რომელიც დაანგრიეს და დაარბიეს ლეკებმა, დავით ქვლივიძის დახმარებით აშენდა. ამიტომ ესტუმრა მას ნ. ცხვედაძე და აუხსნა თავისი მდგომარეობა, თანხაც მიიღო. მათ წერილობით გააფორმეს დოკუმენტი. ნ. ცხვედაძემ ვერ შეაგროვა თანხა, რომელიც უნდა გადაეხადა კირის მწარმოებლისათვის. ეახლა მას და უთხრა: „ჩემო დავით, ვერ შევაგროვე გარკვეული თანხა, რომელიც შენთვის უნდა გადაეხადა. სამაგიეროდ თქვენი შვილები უფასოდ ისწავლიან ქართულ გიმნაზიაში“. დ. ქვლივიძე აღფრთოვანებული შეხვდა მის წინადადებას. ამის შემდეგ კირით დატვირთული ურმების ქარავანი მიედინებოდა თბილისში უნივერსიტეტის მშენებლობისათვის.

ნ. ცხვედაძე ითვლებოდა თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის მუდმივ წევრად და მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ამ სკოლის მუშაობას. იგი უაღრესად მეგობრულ და გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდა თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგებისა და მოსწავლეთა მიმართ და მათი ერთგული მფარველი იყო ყველა საჭირო შემთხვევაში. ცნობილია, რომ ნიკო ცხვედაძემ დროულად დააფასა გიმნაზიის ახალ-

გაზრდა მასწავლებლის ზაქარია ფალიაშვილის დიდი მუსიკალური ნიჭი და თუმცა გამგე-კომიტეტს სასწავლებლისთვის თანხები ისედაც საკმარისად არ გააჩნდა, მას სტიპენდია მაინც დაუნიშნა და რუსეთში გაგზავნა უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად. ამ დახმარებას, არასოდეს დაივიწყებს ქართული მუსიკალური კულტურა და მისი ისტორია.

ნ. ცხვედაძე უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენს ყველა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებას და ყველაზე მეტად – თბილისის ქართულ სასწავლებელს, სადაც 32 წელი ეწეოდა მეტად სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში, მისივე ენერგიული და დაულალავი ხელმძღვანელობის შედეგად თბილისის ქართულმა კერძო სკოლამ (გიმნაზიამ) ასობით საფუძვლიანად მომზადებული, უნარიანი და პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდა მისცა ჩვენს ქვეყანას, რითაც არც ისე მცირე წვლილი შეიტანა ჩვენი ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარების საქმეში.

ნ. ცხვედაძე არა მარტო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებისა და თბილისის ქართული გიმნაზიის საკეთილდღეოდ მოღვაწეობდა, არამედ იმავე დროს სისტემატურად ზრუნავდა ყველა სკოლის მუშაობის თავიდანვე ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად, რაც მას ქართველი ხალხისათვის საჭირო სწავლა-განათლების აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

ი. გოგებაშვილის უტყუარი მოწმობით, ნ. ცხვედაძეს მეტად აქტიური მონაწილეობა მიუღია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის უშუალო ინიციატივით 1883 წელს სოფელ წინამძღვრიანთკარში დაარსებულ სამეურნეო სასწავლებლის მუშაობაში, სასწავლებლისა, რომელსაც საკმაო ისტორიული დამსახურება მიუძღვის ჩვენში დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების საქმეში.

აიგო გიმნაზია, მაგრამ ეს შენობა გიმნაზიისათვის ძალიან დიდი აღმოჩნდა, მისი მომავალი უფრო დიდ და მნიშვნელოვან საქმეს დაუკავშირდა. ამჟამად ამ შენობებში მოთავსებული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსი. პროფესორი გრ. ნათაძე თავის „მოგონებაში“ გვიამბობს: „ნიკო ცხვედაძე მასწავლებლებს გვესაუბრებოდა ამ შენობის მომავალზე და ხშირად იტყოდა ხოლმე: – „ყმანვილებო, აქ ქართული უნივერსიტეტი იქნება, ქართული



უნივერსიტეტი“. ჩვენ ამაზე არაფერს ვეუბნებოდით ზრდილობის გულისთვის, მაგრამ ეს სიტყვები მოხუცი კაცის ახირებად მიგვაჩნდა“.

დავით კლდიაშვილი თავის „მემუარებში“ წერს: „ნიკო ცხვედაძემ რომ ახლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა დაიწყო, მრავალი მკილაგი გამოუჩნდა, – გიჟიანო, ამბობდნენ“, ფანტაზიური კი გაჯიუტებით გაიძახოდა: მოჭათავებთ და უნივერსიტეტსაც მოვათავსებთ შიგო. გამართლდა კიდეც მისი წინასწარმეტყველება.

სავსებით სამართლიანად ამბობდა თავის საიუბილეო სხდომაზე პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი: „ვინ ააგო ეს მშვენიერი მეცნიერების ტაძარი? ერთმა სოფლის მღვდლის შვილმა ნიკოლოზ ცხვედაძემ, რომელიც ცხოვრობდა მცირე ჯამაგირით, ყველას უკვირდა; როგორ მოახერხებს ამგვარ საქმესო, მაგრამ ცდით და გარჯით მოახერხა ეს დიდი საქმე. ჩვენი ქვეყნის შემოსავალი მაშინ ჩვენ ხელთ არ იყო, შეკრიბა კერძო პირებისაგან შეწირულება და ამით ააგო დღევანდელი უნივერსიტეტი...“

ნიკო ცხვედაძე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც ისევ თავისი წამოწყების სრულყოფილად დამთავრებაზე ფიქრობდა, ეს იყო მისი სანუკვარი ოცნების საგანი. უკანასკნელად, როდესაც მოურჩენლად დაავადებული, უიმედო და უგრძნობელ მდგომარეობაში მყოფი სოფელ კავთისხევიდან ეტლით თბილისს მოჰყავდათ. იგი ისევ მომავალი ქართული უნივერსიტეტის შენობაზე ფიქრობდა. საქართველოს სამხედრო გზიდან „რალაც გრძნობით მან იცნო ადგილი, – გადმოგვცემს გ. ბაგრატიონ–დავითაშვილი, – საიდანაც ჩანდა გიმნაზიის შენობა, გაიღიმა, წამოდგა იგი, დიდხანს უყურებდა შენობას და გაბრწყინებული სახით, დაღლილი, უსიტყვოდ დაეცა ეტლში – ეს შენობა გახდა მისი საყვარელი და დაუფინყარი მშენებლობის უდიდესი ძეგლი“. ამიტომ გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს იაკ. მანსვეტაშვილის დებულება, რომ „თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოო, დიდი შენობა, რომელიც ვაკედან ამაყად ქალაქს დაჰყურებს და ამშვენებს, ის შენობა, სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება, – ეს უნდა დაუმადლოთ ნ. ცხვედაძესო“.

ნ. ცხვედაძე იყო შეუდარებელი ადამიანი და გულისხმიერი მეგობარიც. ათეული წლების განმავლობაში მას უახლოესი მეგობრობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან, როგორც იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ი. წინამძღვრიშ-

ვილი, დ. სარაჯიშვილი და სხვა. განსაკუთრებით ახლო დამოკიდებულება, ხშირი ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესა და ი. გოგებაშვილთან. ნიკოს ხშირი სტუმარი იყო ზაფხულობით ი. გოგებაშვილი, რომელმაც სწორედ აქ, მის სოფელ კავთისხევიში დაწერა „იავნანამ რა ჰქმნა?“

ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობით დაქანცული ნიკო ცხვედაძე 1911 წლის 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს) გარდაიცვალა. მაღლიერმა ქართველმა საზოგადოებამ იგი დიდი პატივისცემით მიაბარა მიწას დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ნიკო ცხვედაძის გარდაცვალებამ უაღრესად დაამწუხრა თვითონაც დასწრეებულ–დაუძღვრებულ ი. გოგებაშვილი. ამის შემდეგ რამდენიმე თველა იცოცხლა და გარდაიცვალა უკანასკნელი სურვილით: „ნიკოს გვერდით დამასაფლავეთო“.

ნიკო ცხვედაძის გარდაცვალებამ დაამწუხრა ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელმაც მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტურად დაიტირა ვალმოხდილი საზოგადო მოღვაწე–პედაგოგი:

„განყდა სიმი, გატყდა ჩანგი, დაიკარგა ოქროს წკირა,

მგოსნის ღიმი, მგოსნის ჰანგი ცრემლთა ზღვაში ჩაიძირა“.

გულმტკივნეულად გამოეთხოვა ნიკო ცხვედაძეს მონინავე ქართველი საზოგადოება.

იგი თავისი მშვენიერი ქვეყნისა და ნიჭიერი ხალხის უდიდესი პატრიოტი იყო, მას ღრმად სწამდა მშობლიური ქართველი ხალხის ძალა და უნარი, მისი ღირსება და დიდი მომავალი, ამიტომ თავის ენერგიას და თვით სიცოცხლესაც არ ზოგავდა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის.

ნ. ცხვედაძე მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიანი იყო და ამის შედეგია ის, რომ მის მიერ დაწყებული საზოგადო საქმეები, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და სიძნელისა, ყოველთვის გამარჯვებით მთავრდებოდა. იგი იყო თავდადებული ადამიანი.

ნ. ცხვედაძის ღვაწლსა და დამსახურებას სამშობლოსა და ქართველი ხალხის წინაშე საუკეთესოდ ითვალისწინებდა დიდი ილია ჭავჭავაძე და ამიტომ უწოდებდა იგი მის ერთ–ერთ უახლოეს თანამებრძოლს „ნიკოლოზ აღმაშენებელს“.

იური სიხარულიძე

ლოტბარი ვახტანგ სიხარულიძე

ქართული ხალხური მუსიკის დიდოსტატებს შორის ვახტანგ სიხარულიძის სახელიც მოიხსენიება.

ვ. სიხარულიძე 1866 წელს დაიბადა ზემო გურჯისტანის სოფელ გოგოლეისუბანში.

სიმღერისადმი სიყვარული მემკვიდრეობით მოდგამდა. მისდა ბედად, წრთობას ისეთი ბრწყინვალე ხელოვანი და სოფლის კოლორიტი წარმართავდა, როგორც იმ დროის სახალხო გმირი და აღიარებული ხელოვანი ივანე ივანეს ძე სიხარულიძე (ფარეშთუხუცესი) იყო.

დიდმა ხელოვანმა მალე იგრძნო ვ. სიხარულიძის ნიჭიერება და მუდამ გულმოდგინედ აკვირდებოდა მის შემოქმედებით წინსვლას.

ივანე ფარეშთუხუცესი 100 წლისა გარდაიცვალა, 1884 წელს (აღდგომა დღით). იმ დროს ვ. სიხარულიძე შეღერებული ჭაბუკი გახლდათ და თითქმის მზად იყო დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

ბევრი ფიქრობდა, რომ ფარეშთუხუცესის სკოლას მისი ერთადერთი ვაჟი იესე (ისაკ) სიხარულიძე (1830–1918) წაუძღვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და იესემ სასიმღერო სკოლის ფაქიზ სამსახურს ხელოსნობა (ხითხურობა) ამჯობინა თავისი დიდი ოჯახის შესანახავად.

იესე სიხარულიძე ამით მთლიანად არ განდგომია ხალხურ სამუსიკო ხელოვნებას და დარჩა მის ერთ-ერთ უკვდავ წარმომადგენლად; მის უბადლო ხმას – გამყივანს დავინყება არ უწერია.

რადგან იესე სიხარულიძემ აღარ იტვირთა ხელოვნების დიდ საქმეს წაძლოლოდა, რომელსაც ასე წარმატებით უძღვებოდა მანამდე კურთხეული მამა – გურიის უკანასკნელი სართალ-მოურავისა და მდივანბეგის გიგო ერისთავის (გარდაიცვალა 1828 წ.) ფარეშთუხუცესი, ამის გამო გოგოლესუბნის სამუსიკო ცენტრმა სხვაგან გადაინაცვლა, სადაც ივანე ფარეშთუხუცესის ღირსეული მემკვიდრე ვახტანგ სიხარულიძე ცხოვრობდა.

ვახტანგის სამუსიკო სკოლამ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ზემო გურიის ახალგაზრდობის აღზრდაში.

ამ სკოლაში აღიზარდნენ ისეთი დიდი მომღერლები, როგორც იყვნენ: ერმალო სიხარულიძე

(1880–1963), ბარნაბ სიხარულიძე (1884–1943), გარსევან სიხარულიძე (1907–1993) და ბევრი სხვა.

შეუძლებელია, ამ სკოლის გავლენა არ განეცადა ვახტანგის კარის მეზობელს – ვლადიმერ ბერძენიშვილს (1885–1977), მაგრამ დიდი მომღერალი ამაზე რატომღაც არაფერს ამბობს და ჩვენც არ გვინდა ანგარიში არ გავუწიოთ ძვირფასი მასწავლებლის მრავალმხრივ დასაფიქრებელ დუმილს.

ვ. სიხარულიძის ნიჭიერება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს მას ჩოხატაურის თემის პირველი რაიონული ანსამბლის ხელმძღვანელობა მიანდეს.

1927 წელს ის ამ თანამდებობაზე მისმა ნიჭიერმა მოწაფემ ვლადიმერ გოგოლაძემ (1887–1928) შეცვალა.


ვახტანგს ასე, სრულად ვერ შეელოდნენ, მაგრამ ის აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიიწვიეს გურული ფრთის ხელმძღვანელად და ვალდებული შეიქმნა მშობლიური კუთხიდან წასულიყო.

გურიის მომღერლებიდან აქამდე არავის ღირსებია ასეთი დიდი წარმატება, რაც არ გამოჩენიათ მხედველობიდან ქართული ხალხური მუსიკის ისტორიკოსებს.

ვ. სიხარულიძე ჩემს მამას ასწავლიდა (მოსე ავქსენტის ძე სიხარულიძე – 1902–1986) და მისი რამდენიმე შთამბეჭდავი გაკვეთილი მეც მიმიღია.

ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორც ვ. სიხარულიძე და მისი მოწაფეები იყვნენ, უდავოდ სპეციალური შესწავლის ღირსნი არიან, რაც მხედველობაში უნდა ჰქონდეთ ქართული მუსიკის ისტორიის შემსწავლელ მოღვაწეებს.

მართალია, არაერთი გამოკვლევა გამოქვეყნებულია სტატიებისა თუ მონოგრაფიების სახით ქართველ მომღერლებსა და ლიტბარებზე, გამოცემულია ბიბლიოგრაფიული ცნობარიც, მაგრამ ეს იმდენად მცირე და უკვე დროგადასულია, რომ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. საჭიროა მეტი ძალისხმევით და მონდომების გამოჩენა, რომ ჩვენს თანამედროვე მკითხველებს გავაცნოთ ჩვენი სახელოვანი მოღვაწენი, რომლებიც საშვილიშვილო საქმეს აკეთებდნენ. ამით დიდად შეეწყობთ ხელს ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციასა და გავრცელებას.



ჩვენი ბიბლიოთეკები წარსული და აწმყო

გურამ თაყნიაშვილი

სოფლის ბიბლიოთეკები წინათ და ახლად

საქართველოს სოფლის მოსახლეობის განათლების, მომავალი თაობის აღზრდისა და ქართული ენის დაცვის საქმეში მონიწივე ქართველი ინტელიგენცია და საზოგადო მოღვაწენი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული წიგნების გავრცელებასა და სასოფლო ბიბლიოთეკების გახსნას. ამ საკითხებზე წერილები ქვეყნდებოდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში. ქართული პერიოდული პრესა: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სასოფლო გაზეთი“ და სხვ. სისტემატურად ბეჭდავდა კორესპონდენციებს ქართული სოფლების მდგომარეობის შესახებ, სახალხო სკოლებში ქართული წიგნების შეტანის აუცილებლობაზე. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრამდე სოფლად საგანმანათლებლო ფუნქციებს ნაწილობრივ მაინც ასრულებდა ეკლესია-მონასტრებთან არსებული წიგნსაცავები. ამის შესახებ მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მონასტერი უმადლესი გონებრივი განვითარების სავანე იყო“. საქართველოში ნაბეჭდი წიგნების მომრავლებამ, საერო ლიტერატურის განვითარებამ მყარი ნიადაგი შეამზადა სოფლად ქართული წიგნების გავრცელებისათვის. ქართულ წიგნს თავისი ფუნქცია უნდა შეესრულებინა ეროვნული ცნობიერებისა და ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. წიგნის ასეთი დანიშნულება კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული საზოგადო მოღვაწეებს, სახალხო განათლების მესვეურთ: ი. გოგებაშვილს, ა. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს, ნ. ნიკოლაძეს, ი. როსტომაშვილს, თ. ჟორდანიას, პ. უმიკაშვილს, მ. დემურბას, ვ. ლორთქიფანიძეს, ს. ფირცხალავას, ი. მაჩაბელს, ზ. ჭიჭინაძეს და სხვებს. სოფლად მოქმედ სახალხო სკოლებში წიგნების ნაკლებობის შესახებ გაზეთი „დროება“ ჯერ კიდევ 1875 წელს წერდა. ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების გახსნამდეცოტა ხნით ადრე გაჩნდა (დაფუძნდა) სახალხო წიგნების გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების შესახებ „დროება“ წერდა: „ამ საზოგადოების დანიშნულება ის არის, რომ ხალხში სასარგებლო და იაფი წიგნები გავრცელოს და თან კითხვის, განათლებისა და ბიბლიოთეკის გახსნის სურვილი აღძრას ყოველ სოფელში“. (1) მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან სახალხო ბიბლი-

ოთეკები იხსენებოდა სამაზრო ცენტრებსა და დიდ სოფლებში. ამ დროისათვის უკვე წარმატებით მუშაობდა ანტონ ლორთქიფანიძის მიერ ქუთაისში 1873 წელს დაარსებული ბიბლიოთეკა. მოგვიანებით ბიბლიოთეკა გაიხსნა თელავში. ამის შესახებ იგივე „დროება“ წერდა: „ჩვენ ვისურვებდით, რომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც მიბადონ თელავის ახალგაზრდობის მაგალითს, დაარსონ სამკითხველოები, ნამდვილი სწავლა-განათლება დაბადავს ჩვენს გონებით მოძრაობაში და პრაქტიკულ მოქმედებაში ჰარმონიას, ძალას, თავიდან მოგვაშორებს ყოველგვარ უკიდურესობას“. თელავის ბიბლიოთეკის შესახებ მოგვიანებით იგივე გაზეთი წერდა: „არა, ერთი ეს მითხარით, რა საჭიროა ჩვენთვის ბიბლიოთეკა? აქამდე ბიბლიოთეკა რომ არ გვექონდა ვერა ვცხოვრობდით? თუ თავს დაგვანებებენ, ჩვენ ისედაც კარგად ვართ. ამ ბიბლიოთეკაში თურმე არამც თუ ახლო სოფლებიდან, შორიდანაც კი ეწერებიან წევრებად. ავიღოთ თუნდაც თ. ჯორჯაძე, რომელმაც ერთი თუმანი ფულად შესწირა ბიბლიოთეკასა და რამოდენიმე თუმნის საღირალი წიგნები უჩუქებია. თბილისში მცხოვრებ კაცს თელავის ბიბლიოთეკა რას არგებს? მაგრამ იქნება ჩვენ ვცდებით და ბიბლიოთეკა მართლაც კარგი საქმე იყო“ (2). როგორც ცნობილია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1879 წლიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახსნა 200-ზე მეტი სახალხო სკოლა, სადაც იმავე დროს მოქმედებდა ბიბლიოთეკაც. ამავე დროს ფართოდებოდა სოფლის ბიბლიოთეკების ქსელიც. სოფლის ბიბლიოთეკების დანიშნულებაზე მოგვიანებით „დროება“ წერდა: „სოფლის ბიბლიოთეკას ჩვენთვის დიდი და მრავალგვაროვანი მნიშვნელობა ექნება, უმეტესი ნაწილი ქართული ძველი ხელნაწერი წიგნებისა სოფლებში არის გაფანტული თავადაზნაურთა შორის და იქნება გლეხებშიც; მათი შეკრება სოფლის ბიბლიოთეკაში ადვილი იქნება; რამდენი სოფელია ჩვენში ისე მოვარდნილ-მიყრუებული“ (3). იმავე კორესპონდენციაში ვრცლად არის საუბარი ქართულ სკოლებსა და მათში წიგნების შეტანის აუცილებლობაზე. „თუ სოფლის სკოლასთან ბიბლიოთეკა დაგვიარსდა, მაშინ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძველი ისტორიისა და ლიტერატურის აღსადგენად საჭირო მასა-

ლების მოგროვება უფრო გაგვიადვილდება, ბიბლიოთეკების გამართვა სოფლის სკოლებში ხელს შეუწყობს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ამოცანების გადაჭრაში, ხოლო მასწავლებელს დაეხმარება უკეთ წაიყვანონ სასწავლო პროცესი. „დროება“ ყოველმხრივ ასაბუთებს სოფლად ბიბლიოთეკის გახსნის აუცილებლობას: „უნიგნოდ გონების გავარჯიშება და განვითარება შეუძლებელია, კარგად განათლებული კაცისათვის და რაღა მეთქმის ჩვენს მასწავლებლებზე, რომელთაგან უმეტეს მათგანს მხოლოდ ოთხი კლასი აქვს დამთავრებული“ (3). სოფლად ბიბლიოთეკების მონყობას აუცილებლობაზე გულისტკივილით წერდა ქუთაისელი ალ. ფიფინაშვილი: „თუ ძველად იარაღით ხელში ვიბრძოდით გარეშე მტრების წინააღმდეგ, ახლა წიგნებით უნდა ვებრძოდით შინაურს მტრებსა ე. ი. გონების სიბნელეს და სინდისის სიმრუდეს“ (4).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის სოფლად ბიბლიოთეკათა ქსელის მდგომარეობა, ფაქტობრივად, გაორკეცებულია. ეს ნაწილობრივ შესწავლილია საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის ისტორიის მკვლევართა მიერ. მათი ავტორები: ტრ. ხუნდაძე, ი. ციციშვილი, გ. ბაქრაძე, ა. ლორია, ნ. გურგენიძე, ფ. ყურაშვილი, თ. ჩხატუნიძე, ნანა გურგენიძე და სხვები ყურადღებას ამახვილებდნენ სოფლის ბიბლიოთეკებში მკითხველთა მომსახურების რაოდენობით და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე და დასძენდნენ, რომ ამ ბიბლიოთეკებში ქართული წიგნების ნაკლებობა უარყოფითად მოქმედებდა ბიბლიოთეკის მუშაობაზე. თუ ადრე ქართული წიგნები იბეჭდებოდა „ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა კათალიკოსისა“, ახლა წიგნები იბეჭდება არა მარტო დიდ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ახალციხეში და სხვ., აგრეთვე სოფლებშიც. ყოველივე ამ გარემოებამ ხელი შეუწყო სოფლის ბიბლიოთეკების ქართული წიგნებით დაკომპლექტების საქმეს. ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი ნ. ლომოური ამ დროს წერდა: „გამოფხიზლების გზაზე შემდგარი ხალხი წიგნს დაენაფა“ (2). მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში შექმნილი იყო საკმაოდ დიდი საბიბლიოთეკო ქსელი. ამ დროისათვის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დაბა თუ სოფელი არ ყოფილა დარჩენილი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გარეშე. ამ პერიოდისათვის უფასო წიგნსაცავი – სამკითხველოები ჰქონდათ შინაგან საქმეთა სამინისტროებს, განათლების სამინისტროს და სასულიერო უწყე-

ბებს.

საქართველოს სოფლის ბიბლიოთეკებიდან, რომელთაც საუკუნეზე მეტი ისტორია აქვთ, შეიძლება დავასახელოთ სოფლები: უდე, ნიგოთი, ბახვი, ჩიბათი, ნაგომარი, შემოქმედი, აცანა, ნორიო, მუსხი, ასკანა, აკეთი, სურამი, მეჯვრისხევი, ოქუმი, სუჯუნა, აბასთუმანი, ხოვლე, დიდი ჯიხაში, შრომა, ზემო ჩაბათი, მაჩხაანი, იყალთო, შილდა და სხვა. მათი უმრავლესობა წარმატებით მუშაობდა მკითხველებთან, აყალიბებდა საბიბლიოთეკო მუშაობის ფორმებსა და მეოთდებს. ამ დროისათვის „სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველო წარმოადგენდნენ შესაკრებ ადგილს სოფლის ინტელიგენციისა და ნახევრად ინტელიგენციისათვის, რომლებიც კითხვასთან ერთად მსჯელობდნენ ხელისუფლების განკარგულებების შესახებ“ (6, 338). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სოფლის ბიბლიოთეკების დღენი ადრე უჭირდათ. ბევრ მათგანს არ ჰქონდა შესაფერისი ბინა, დაბალი იყო ფონდების განახლების პროცენტი, რის გამოც ბევრი მათგანი დახურვის პირას იყო მისული. სოფ. ლიხაურის ბიბლიოთეკის შესახებ გაზეთი „საქართველო“ 1915 წელს წერდა: „სამკითხველოში არ შედიან და ჟურნალ-გაზეთებს არ კითხულობენ, საჭიროა ჩვეულებად შემოვიდეს, რომ ვინმე უკითხავდეს სოფლებს ჟურნალ-გაზეთებს“ (7); უფრო ადრე „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ქართველი ხალხის სირცხვილი იქნება, თუ სახალხო ბიბლიოთეკების შესანახად რამოდენიმე თუმნის ხარჯი ვერ გავწიეთ“ (6, 382).

სხვა პირობებში აღმოჩნდნენ სოფლის ბიბლიოთეკები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ. არსებული ბიბლიოთეკები გადაიქცნენ იდეოლოგიურ დანესებულებებად, რომლებსაც თავიანთ მუშაობაში განუხრელად უნდა გაეტარებინათ პარტიულობის პრინციპი. ბიბლიოთეკები გადაიქცნენ პოლიტიკური განათლების მძლავრ კერებად. საბჭოთა ხელისუფლება არ იმუშრებდა სახსრებს სოფლად საბიბლიოთეკო ქსელის გაზრდისათვის. 1922 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 50 სასოფლო ბიბლიოთეკა. 1929 წლისათვის მათი რაოდენობა 270-ს აჭარბებდა, 1940 წელს სოფლად მუშაობდა 1100 ბიბლიოთეკა, 1958 წლისათვის მათი რაოდენობა შეადგენდა 2600-ს, 1973 წლისათვის სოფლის ბიბლიოთეკების რაოდენობა აჭარბებდა 3 ათასს, (8). სასოფლო ბიბლიოთეკების პარალელურად სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფდა კლუბებთან არსებული, პროფკავშირული, სასოფლო-სა-

მეურნეო და საბავშვო ბიბლიოთეკები. დიდ სოფლებში ერთიმეორეს გვერდი ფუნქციონირებდა სასოფლო, პროფკავშირული და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკები, ერთი და იგივე ფონდების შემადგენლობით. სულ საქართველოში 1990-იანი წლებისათვის მოქმედებდა 4.200 მასობრივი ბიბლიოთეკა, სადაც ორგანიზებული იყო 45 მილიონამდე წიგნობრივი ფონდი. სოფლის ბიბლიოთეკების მუშაობა წინასწარ იგეგმებოდა. ბიბლიოთეკარმა წინასწარ იცოდა, რამდენი უნდა ყოფილიყო წლიური წიგნგაცემა, ფონდის ბრუნვადობა, რამდენი წიგნი უნდა წაეკითხა ერთ მკითხველს ერთი წლის განმავლობაში და. ა. შ. ბიბლიოთეკარები დიდ დროს კარგავდნენ ფიქტიური ციფრების წერაში, რათა გეგმები შეესრულებინათ, ვინაიდან მათი შეუსრულებლობით შეიძლებოდა ბიბლიოთეკარი დასჯილიყო. გეგმები სრულდებოდა ქალაქზე, ასეთი მონაცემებით საბჭოთა კავშირი ითვლებოდა ყველაზე მკითხველურ ქვეყნად მსოფლიოში.

სსრკ-ს დაშლის პერიოდისათვის საქართველოში აღრიცხული იყო ყველა ტიპისა და უწყებით 8.000 ბიბლიოთეკა, მათგან სოფლად ფუნქციონირებდა 3.000-ზე მეტი მასობრივი ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკებში დასაქმებული იყო 11.000 თანამშრომელი. საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ამდენ ბიბლიოთეკას ხელისუფლება ვერ შეინახავდა და არც იყო საჭირო. 1995-96 წ. წ. დაიწყო სოფლად ბიბლიოთეკების მასობრივი დახურვა, ამ ტენდენციამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო 2003 წლიდან. 2005 წელს მიღებული ორგანული კანონით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მუნიციპალიტეტებში ბიბლიოთეკების მართვა, მათი დაფინანსება და ადგილობრივი მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება მთლიანად გადაეცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს. სოფლად ბიბლიოთეკების შენარჩუნებაზე სულ ნაკლებად ზრუნავდა ადგილობრივი ხელისუფლება. ბევრი ბიბლიოთეკა დაიხურა, გამსხვილდა, ან მათი ფონდები გადაეცა საჯარო სკოლებს. საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებას ვერ უშველა ვერც საბიბლიოთეკო საქმის შესახებ მიღებულმა კანონმა (1996) და ვერც სხვა კანონქვემდებარე აქტებმა. საქართველოს მთავრობამ 2003 წლის სხდომაზე განიხილა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობა და შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საბიბლიოთეკო სისტემის შენარჩუნებისა და განვითარების მრავალწლიანი პროგრამის შემუშავება. კომისიამ შეიმუშავა „საქართველოს სახელმწიფო

საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003-2005 წ. წ. კონცეფცია, რომელიც დამტკიცდა პრეზიდენტის ბრძანებულებით. ბრძანებულებაში აღინიშნა, რომ სუსტია საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული ბაზა, ირღვევა კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, არ არის შემუშავებული კანონქვემდებარე აქტები. ამის შემდეგ კლავ გრძელდებოდა მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის შემცირება. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ივლისის დადგენილებით მუნიციპალიტეტებში მოქმედი ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკები ჩამოყალიბდნენ არასამეურნეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად. თანამედროვე ეტაპზე სოფლად ბიბლიოთეკების გარკვეული რაოდენობა, ძირითადად, საკრებულოს ცენტრებში. შეინარჩუნეს შემდეგმა რაიონება: თელავი, ბოლნისი, ბორჯომი, წინონმინდა, ახალქალაქის, ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი, ხარაგაული, სამტრედია, ზუგდიდი, აბაშა, სენაკი, ხობი, მესტია, წალენჯიხა, ლანჩხუთი, სიღნაღი, დედოფლისწყარო, გურჯაანი. ამ მხრივ უფრო მეტად დაზარალდა ქვემო და შიდა ქართლის საბიბლიოთეკო ქსელი - გორის, ქარელის, კასპის, გარდაბნის და თიანეთის რაიონები. აქ შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ ცენტრალური ბიბლიოთეკები. 2011 წლის ბოლოსათვის საქართველოს მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო (ყოფილი მასობრივი) ბიბლიოთეკების რაოდენობა, არაზუსტი მონაცემებით, შეადგენდა 600 ბიბლიოთეკას, რომელთაგან სოფლის ბიბლიოთეკაა 470. ეს მონაცემები სისტემატურად იცვლება, იმისდამიხედვით, თუ ვინ როგორ დააფინანსებს სოფლის ბიბლიოთეკებს. სოფლის ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი შეუერთდა საჯარო სკოლებს, ერთი ნაწილი ისევ დარჩა საკრებულოების გამგებლობაში. მათი ფონდების ნაწილი გადაიტანეს ცენტრში.

სოფლად მოქმედი ბიბლიოთეკებში ნაკლებად ან სრულებით არ შედის ახლამოცემული ლიტერატურა. საქართველოს კულტურისა, და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2006-2007 წ. წ. საქართველოს თითოეული რაიონის 2-2 სოფელს გადასცა თითო ცალი კომპიუტერი; მათი უმრავლესობა ახლა უმოქმედოთაა, არა აქვთ ინტერნეტი, არ ჰყავთ სპეციალისტი. ამ კომპიუტერების დიდი ნაწილი გადმოიტანეს ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. სოფლად კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარება მოითხოვს დამატებით სახსრებს, ამიტომ ეს პრობლემა უფრო შორეულ პერიოდზეა გათვლილი. ასეთ ვითარებაში საკითხი ისმის სოფლის ბიბლიოთეკების

გადარჩენაზე, უფრო ნაკლებად მათ შემდგომ განვითარებაზე. დადებითად ამ სფეროში შეიძლება მივიჩნიოთ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენა. ჯერ-ჯერობით ჩვენ მხოლოდ ზეპირ ინფორმაციას ვჯერდებით; ღმერთმა ქნას, ისეთი მონდომება

გამოიჩინოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომ აღარ გავიმეოროთ საუკუნის წინათ „ცნობის ფურცელში“ სინანულით ნათქვამი სიტყვები: „ქართველი ხალხის სირცხვილი იქნება თუ სახალხო ბიბლიოთეკების შესანახად რამოდენიმე თუმნის ხარჯი ვერ გავწიეთ“.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. გაზ. „დროება“, 1872. – №27.
2. გაზ. „დროება“ – 1885. – №19.
3. გაზ. „დროება“ – 1884. – №14.
4. გაზ. „დროება“ – 1882. – №83.
5. გაზ. „ივერია“ – 1879. – №44.
6. ლორია, ა., გურგენიძე ნ. – საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში. – თბ., 1974. – 382 გვ.
7. გაზ. „საქართველო“ – 1915 – №128.
8. ყურაშვილი ფ. საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში – თბ., 1976. – 392 გვ.

კორესპონდენციები

ლამარა დუნდუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი

სამტრედიელთა სულიერი საუნჯე



სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას საუკუნეზე დიდი ხნის ისტორია აქვს. აქ ჯერ კიდევ 1892 წელს გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა პეტრე გელიეშვილის თაოსნობით. ბიბლიოთეკა ხუთი წლის შემდეგ დაიხურა უსახსრობის გამო. ამის შესახებ „ცნობის

წიგნობა რაიონის საბიბლიოთეკო ქსელს, სადაც გაერთიანებული იყო 60-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა. ამჟამაჟ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო ქსელი აერთიანებს 7 ბიბლიოთეკას. საქართველოს მთავრობის 2007 წლის დადგენილებით, ბიბლიოთეკა გადაკეთდა არაკომერციულ, არასამეწარმეო იურიდიულ პირად. 2010 წელს სამტრედიის დაარსების 140 წელთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკის საუკუნოვანი ისტორიის აღსანიშნავად ბიბლიოთეკის შენობა კაპიტალურად შეკეთდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, პოლონეთის საგარეო საქმეთა წარმომადგენლობამ ბიბლიოთეკას გადასცა კომპიუტერული ტექნიკა. განახლებული ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა 2010 წლის ოქტომბერში. საიუბილეო თარიღი ბიბლიოთეკას მიულოცა იმერეთის გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ. „ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსეული ობიექ-

წერდა: „აქ იყო ერთი სამკითხველო, რომელიც დღეს სრულიად გაჰქრა, ახალ სამკითხველოს არ შეუწყვეს ხელი. სამკითხველოს უქონლობის გამო იძულებულნი არიან სამიკიტნოს მიაშურონ“. („ცნობის ფურცელი“, 1898, № 492). ამის შემდეგ კიდევ იყო მცდელობა სამტრედიის დაეარსებინათ უფასო ბიბლიოთეკა, რომელსაც 1912 წლისათვის ჰქონდა 775 ეგზ. ქართული და 446 რუსული წიგნი. ამის შესახებ იტყობინება ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება. 1919 წელს ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი აღწერეს და უსასყიდლოდ გადასცეს ქალაქის თვითმმართველობას. 1945 წელს ბიბლიოთეკისათვის აშენდა სპეციალური შენობა. აქ ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა 1960 წლამდე. ამის შემდეგ ბიბლიოთეკა განთავსებული იყო საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. 1970-იანი წლებიდან ბიბლიოთეკა ხელმძღვა-



ტია, რაც კი ბოლო დროს აშენდა სამტრედიაში“, – აღნიშნა გუბერნატორმა. საიუბილეო წელი ბიბლიოთეკას მიულოცეს პარლამენტარმა ავთანდილ სტურუამ, დამსახურებულმა ექიმმა გენო



გეგეშიძემ, ნათელა გელეიშვილმა, ბიბლიოთეკარმა და მსახიობმა მზია ჩიხლაძემ, მწერალმა რეზო ჭეიშვილმა; მან გულისტკივილით ისაუბრა წიგნისადმი დღევანდელ დამოკიდებულებაზე, პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებაზე მშობლიური ენის დაცვის საქმეში. აღნიშნა, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა ითხოვს უპირატესად პროფესიულ ლიტერატურას, ისინი ნაკლებად კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას: „ჭეშმარიტი განათლების მიღების, ინტელექტის ამაღლების სურვილით დღეს ბევრი არ არის დაავადებული“. წიგნის როლის დაკნინების შესახებ გულისტკივილით ისაუბრა ასევე მწერალმა თეიმურაზ ლანჩავამ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა კანდელაკმა მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკაში ჩატარებული სამუშაოების შემსრულებლებს, ბიბლიოთეკის კოლექტივს. ბიბლიოთეკას ახალმოსახლეობა მიულოცეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებმა: იზოლდა სანიკიძემ, ზაირა გრიგოლია–ტონიამ, აკადემიკოსმა ალექსანდრე კრავეიშვილმა და სხვებმა. ბიბლიოთეკის კოლექტივს გულთბილად მიულოცა გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ რედაქციამ.

სამტრედიის მთავარი ბიბლიოთეკა, მიუხედავად მძიმე მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური პირობებისა, ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური და შინაარსიანი მუშაობით. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ბიბლიოთეკამ ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა. ამ მხრივ თვალსაჩინო იყო ბიბლიოთეკაში მოწყობილი შეხვედრა წარჩინებულ

მოსწავლეებთან დევიზით: „მეცი ნიჭსა გზა ფართო“. ღონისძიებას ესწრებოდნენ პედაგოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მკითხველებთან მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებად ბიბლიოთეკას მიაჩნია სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. ამ მხრივ აღსანიშნავია ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ყურადღება სატნოების სახლის მოზინადრეთა მიმართ. სატნოების სახლში მისულმა ბიბლიოთეკარებმა ერთი გამორჩეული და ხალისიანი დღე აჩუქეს აქაურებს; მოსწავლეებმა წაიკითხეს ნაწყვეტები მხატვრული ლიტერატურიდან, ანსამბლმა „ათინათმა“ შეასრულა მხატვრული ნომრები.

სამტრედიის განახლებული ბიბლიოთეკა, რომელსაც მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია, დღესაც შემართებით იღვწის მკითხველთა მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის. „ჩვენ უნდა გავამართლოთ მუნიციპალიტეტის მიერ განეული შრომა, მათი თანადგომა და მკითხველებს დავანახოთ, რომ სამტრედიის მთავარი ბიბლიოთეკა მართლაც წარმოადგენს მათ სულიერ საუნჯეს.“ აღნიშნეს ბიბლიოთეკარებმა

ყურნალის რედაქცია, მისი მკითხველები-სა და თანამდგომთა სახელით გულწრფელად ულოცავს სამტრედიის მთავარ ბიბლიოთეკას, სახელოვან იუბილეს; მის გამოცდილ ხელმძღვანელს, ქ-ნ ლამარა დუნდუას. ქალბატონი ლამარა აქტიურად თანამშრომლობს ყურნალის რედაქციასთან, ყოველთვის უჭერს მხარს ყურნალში გამოთქმულ მოსაზრებებსა



და წინადადებებს, რომლებიც შეეხება საბიბლიოთეკო საქმის აქტუალურ პრობლემებს, ბიბლიოთეკართა პროფესიული ინტერესების დაცვასა და საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნების საკითხებს.

მედაა მოსიავა

42-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი

ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა- მათემატიკური საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა


ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა განათლების სასკოლო სისტემის რეფორმირების პროცესში აქტიურადაა ჩართული. სკოლაში დაინერგა მრავალი სიახლე, შეიცვალა ხედვა, მართვის მიდგომები, გაჩნდა ახალი პროექტები, ჩამოყალიბდა საზოგადოებასთან ურთიერთობების ახალი ფორმები. სკოლის მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში. საქართველოს მოსწავლეთა ეროვნული ნაკრები ფიზიკაში, ფაქტობრივად, 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული, რამოდენიმე მათგანს საკუთარი გამოგონებაც აქვს და ამ გამოგონების ფარგლებში ექსპერიმენტების დემონსტრირებასაც ხშირად ახდენენ.

მოსწავლეთა ინტელექტუალური პოტენციის თვითრეალიზების და თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, სკოლაში პროგრამების კოორდინატორის მაკა ბიბილეიშვილის კოორდინირებით, სრულფასოვნად ფუნქციონირებს სამოქალაქო, ევროინტეგრაციის, ნატოს, გაეროს, გარემოს დაცვის, წიგნის მოყვარულთა (პოეზიის მოყვარულთა), კულტურული მემკვიდრეობისა და თანადგომის კლუბები.

სკოლაში ფუნქციონირება დაიწყო მათემატიკის, ფიზიკის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაძლიერებული სწავლების საოლიმპიადო შემოქმედებითა წრეებმა.

წარმატებით ხორციელდება სტანდარტზე და მომსახურების ფარგლებში უკვე აპრობირებული პროგრამების (მენეჯმენტის საბაზო და დამატებითი კურსი; ლოგიკის საბაზო და დამატებითი კურსი; კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკების ხელოვნება) შესწავლა. მოსწავლეები ეუფლებიან ისეთ პროგრამებს, როგორებიცაა: პროგრამირება და კომპიუტერული გრაფიკა, ელექტრული კვანძები და ქსელები; ბულალტერიის საბაზო კურსი. წრეობრივი მუშაობის გაძლიერების მიზნით, გრძელდება პროექტის – „სასკოლო სისტემაში მომავალი სამეცნიერო და საინჟინრო კადრების მოტივირებისა და მომზადების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელება. კერძოდ, შეიქმნა გამომგონებელთა კლუბი „ლეონარდო და ვინჩი“.

სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს 6 საგნობ-



რიგ-მეთოდური კათედრა ქართულის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და უცხო ენების.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლა ახალი ინოვაციების ავტორიცაა. ამ კუთხით სკოლას პროფესიული და პარტნიორული კავშირები აქვს მსგავსი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. ასეთი კავშირები მყარი გარანტია მოსწავლის მეცნიერული კარიერით დაინტერესებისა...

სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა სკოლაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო კუთხითაც, ყველა საქმიანი კომუნიკაცია თანამშრომლებთან ელექტრონული ფოსტით ხორციელდება.

ცხადია, სკოლის ამ მიმართულებით განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა სკოლის ბიბლიოთეკის საინფორმაციო ცენტრად გარდაქმნის აუცილებლობა, კარგად გამართული წიგნადი ფონდითა და თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიებით, რაშიც დიდად შეგვიწყობს ხელი სკოლის დირექტორმა – ბატონმა ალუდა გოგლიჩიძემ.

დასაწყისისთვის დირექტორმა გამოგვიყო ინტერნეტში ჩართული 2 კომპიუტერი და კომბაინი პრინტერთა და სკანერთი. პირველ ეტაპზე დავიწყეთ წიგნადი ფონდის მომზადება ელექტრონულ ვერსიაზე გადასაყვანად. დირექტორისვე ინიციატივითა და შემოთავაზებით, გამოვაცხადეთ კონკურსი საინფორმაციო მენეჯერის თანამდებობაზე, რისი წარმატებით



გავლის შემთხვევაში, ისინი იღებენ შესაბამის სერტიფიკატებს. დღეისათვის ბიბლიოთეკაში სტაჟირებას გადის მესამე ნაკადი. ისინი არა მარტო გვეხმარებიან ელექტრონული კატალოგის შექმნაში, არამედ ჩართული არიან საბიბლიოთეკო საქმიანობაში: ემსახურებიან მოსწავლეებსა და პედაგოგებს წიგნების მიღება-გაცემაში, კომპიუტერით ინფორმაციის მოძიებაში, აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაში და სხვა. მომდევნო ეტაპზე ჩავატარებთ ინვენტარიზაციას. ფონდი გასუფთავდა პასიური ლიტერატურისაგან, რომელიც დავაარქივებთ.

ამის შემდეგ გავაკეთებთ საინვენტარო წიგნის ელექტრონული ვერსიას, რომელმაც ხელი შეგვიწყო ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალისა და აქტების ელექტრონული ვერსიის შექმნაში. ამ უკანასკნელის დამუშავების დროს გასწორდა მექანიკური შეცდომები, რომლებიც დანართების სახით დაერთო თითოეულ აქტს.

მოსწავლეთა და პედაგოგთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მიზნით, გასული წლის ბოლოს სკოლის ბიბლიოთეკა გაერთიანდა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციაში, რომელიც გვეხმარება თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვაში. სკოლამ შეიძინა საბიბლიოთეკო პროგრამა ოპენბიბლიო და დავიწყეთ ელექტრონული კატალოგის შექმნა. დღეისათვის უკვე გვაქვს 3000-ზე მეტი წიგნის ელექტრონული კატალოგი.

საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციის ინიციატივით, 2012 წლის 2 თებერვალს თბილისის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი მედეა მოსიავა სასოკლო ბიბლიოთეკათა საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა, რომლის მთავარი მიზანი არის სკოლის ბიბლიოთეკაში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და მსოფლიოს სხვადასხვა მონინავე სკოლების გამოცდილებების გაზიარება.

ყოველდღიურად ბიბლიოთეკა ინტენსიურ რეჟიმში მუშაობს. ინდივიდუალურად ვეხმარებით მოსწავლეებსა და პედაგოგებს ინფორმაციის მოძიებაში, როგორც თაროებზე, წიგნ-

ბის სახით, ასევე ინტერნეტით. მათ საშუალება აქვთ საჭირო ინფორმაცია ადგილზევე ამოებჭდონ.

ბიბლიოთეკაში გვაქვს კიდევ ერთი სახე ინფორმაციისა. ეს მოსწავლეთა მიერ კარგად შესრულებული პრეზენტაციებია. ეს პრეზენტაციები საგნების მიხედვით ინახება სკოლის ბიბლიოთეკაში ჩანყობილ ბაინდერებში. რომლის გამოყენება ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია.

ბიბლიოთეკაში გამონერილი გვაქვს ახალი ჟურნალ-გაზეთები, რომელთა აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულად. გაზეთი „ახალი განათლება“, ჟურნალები: „მასწავლებელი“ და „ისტორიანი“.

სკოლაში მოქმედებს შიდა ელექტრონული ფოსტა – აუტლუკი, რომლის საშუალებითაც ბიბლიოთეკიდან დირექციასა და კათედრას მიენოდება ყველა ახალი ჟურნალ-გაზეთის სიახლე, ინფორმაცია და შინაარსები.

ბიბლიოთეკაში სისტემატურად მიმდინარეობს ყველა ახალი მეთოდური მასალის მოძიება ინტერნეტით და ხდება მათი შეთავაზება პედაგოგებისათვის. სკოლის დირექციის გადანყვეტილებით, ბიბლიოთეკა უახლოეს ხანში შეიძენს ყველა



იმ მეთოდურ ლიტერატურას, რომელიც პედაგოგებს სჭირდებათ, როგორც სასწავლო პროცესის წარმართვაში, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის. ბიბლიოთეკაში სისტემატურად კონტროლდება მოსწავლეთა კითხვაში ჩაბმის პროცესი. ამ მიზნით, სემესტრისა და წლის ბოლოს ტარდება კვლევები, სადაც გვეძლევა მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის სურათი, აგრეთვე დგინდება მოსწავლეთა რეიტინგები, დაინტერესების სფეროები და სხვა.

გასულ სასწავლო წელს ასეთი გამოკვლევის დროს გამოვლინდა აქტიურ მკითხველთა ჯგუფი, რომელთაგან პირველი 10 მოსწავლე დირექტორმა დააჯილდოვა სიგელებით. პირველ ადგილზე გასული მოსწავლე კი წახალისების მიზნით, გათავისუფლდა გადასახადისაგან.

კვლევის ეს შედეგები, ცხრილებისა და გრაფიკების სახით, გამოიკრა ბიბლიოთეკის წინ საინფორმაციო დაფაზე, რასაც მოსწავლეთა

დიდი გამოცოცხლება მოჰყვა. წლებანდელი სასწავლო წელი დაიწყო მოსწავლეთა დიდი გააქტიურებით. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ სკოლის ბიბლიოთეკას შეემატა 2000 ლარის ღირებულების 750 წიგნი. მათ შორის მსოფლიო კლასიკოსთა სერია „50 წიგნი, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს, სანამ ცოცხალი ხარ“, საკითხავი ყმანვილთათვის და სხვა.


ბიბლიოთეკაში სხვადასხვა საგნის პედაგოგთა დახმარებით შევადგინეთ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია (როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო ლიტერატურისაც) სხვადასხვა დარგებში კლასების გათვალისწინებით.

წიგნით მოსწავლეთა დაინტერესების მხრივ აქტიურ მუშაობას ეწევიან პედაგოგები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ საქმეს დიდად შეუწყო ხელი პრეზენტაციებმა სხვადასხვა საგნებში. პრეზენტაციის დღეებში ბიბლიოთეკა გადავსებულია მოსწავლეებით. ხდება მოძიება, როგორც ბეჭდური ლიტერატურის, ასევე ელექტრონული და ვიდეო მასალებისა. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის ქალბატონ ა. სალაყაიასა და ისტორიის პედაგოგის ქალბატონ ლ. ტალიკაძის გაკვეთილები, რომლებიც ეძღვნებოდა პრეზენტაციებს. ორივე პედაგოგის მეთოდი ერთნაირი იყო: ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს დავალებული ჰქონდათ სხვადასხვა თემების დამუშავება. ქართულის შემთხვევაში, სხვადასხვა მხატვრული ლიტერატურის წაკითხვა და მათი წარმოჩენა ყველასათვის საინტერესოდ. უნდა აღინიშნოს ის, რომ მოსწავლეებმა არაჩვეულებრივად გაართვეს თავი ამ საქმეს და, უფრო მეტიც, ისინი დიდი ინტერესითა და მონდომებით ცდილობდნენ უკეთ წარმოეჩინათ თავიანთი ნამუშევარი. თითოეულ თემაზე დაწერეს სხვადასხვა შინაარსის ლამაზად გაფორმებული გაზეთები, მოიძიეს რუკები და ვიდეო მასალა. გაკვეთილებმა მეტად საინტერესოდ ჩაიარა, როგორც მოსწავლეთათვის, ისე იმ

პედაგოგთა და მშობელთათვის, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ პრეზენტაციაზე.

მთავარი, რაც ასეთი ღონისძიებების ჩატარებას მოჰყვება, არის ის, რომ ღონისძიების დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო აქტიურებიან მოსწავლეები და ისევ ბრუნდებიან ბიბლიოთეკაში და ახლა უკვე თავად ცდილობენ უკეთ გაეცნონ თავიანთი თანაკლასელების მიერ წარმოდგენილ მასალებს თუ მხატვრულ ლიტერატურას.

სასიხარულოა, რომ მოსწავლეები წიგნიერების საკითხებითაც ინტერესდებიან და აქტიურად მოქმედებენ კიდევ. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბის ერთ-ერთი ჯგუფის მიერ განხორციელებული პროექტი „წიგნიერება ქველმოქმედებისათვის“ (პროექტი დაფინანსებულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ახორციელებს ორგანიზაცია PH international, USAID-ის დაფინანსებით. პროექტის ხელმძღვანელია მე-11 კლასის მოსწავლე გიორგი ხიდუმელი. პროექტის მიზანი იყო, უსინათლო მოსწავლე-ახალგაზრდების საზოგადო-



ებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. პროექტის მონაწილეებმა თბილისის სკოლებში – №42, №201, №61, №10 („მწვანე სკოლა“) ჩატარეს ლიტერატურული კონკურსი. გამარჯვებული გუნდები მონაწილეობდნენ 18 თებერვალს ქ. თბილისის მირზა გელოვანის სახელობის ქალაქის ბიბლიოთეკაში ჩატარებულ დასკვნით ტურში. ღონისძიების დასასრულს, მონაწილეებს პროექტის პარტნიორმა ორგანიზაციამ – ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გადასცა წიგნები, გამარჯვებული გუნდისათვის სპეციალური სიმბოლური პრიზი დააწესა აკადემიკოს ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლამ, ხოლო №202 უსინათლოთა სკოლის მოსწავლეებისათვის, პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა – ბრაილის შრიფტით სახელმძღვანელოები მესამე კლასის მოსწავლეთათვის. მოპოვებული გრანტი სწორედ ამ წიგნების დაბეჭდვას მოხმარდა.

ლილი გორდელაძე

„კათარზისის“ ბიბლიოთეკის გამგე

სტუმრად „კათარზისში“

რითი შეგვიძლია გავაკვირვოთ დღევანდელი მკითხველი? როგორი წიგნით გინდა დაანუნაროთ ანდა ააღლევოთ მათი მშფოთვარე და დაუდგრომელი სული. არის კი ასეთი წიგნები ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებზე? დიახ, არის და არა ერთი. წიგნები სიყვარულზე, წიგნები საგმირო საქმეებზე, წიგნები ცნობილ ადამიანთა ცხოვრებაზე, მემუარები, დღიურები, ისტორიული წერილები თუ მოგზაურობანი და სხვა. მინდა აქ ჩამოთვლილთაგან შევეხო გამოჩენილ ადამიანთა ეპისტოლარულ ჩანაწერებს, სიყვარულის თემაზე შექმნილ წიგნებს, რომლებიც ჩვენ ბავშვობიდან მოგვდევნ და დღესაც გვახსენებენ თავს. გვახსენებენ იმ უძილო ღამეებს და იმ ბავშვურ ცხრემლებს, რითაც ჩვენ თანაგრძნობას ვუცხადებთ წიგნების გმირებს. პირველი სიყვარული, სიყმაწვილის პირველი მიუღწეველი ოცნება, სევდა, ეჭვი, სიყვარული, ვნება, სიამაყე, ლოდინი და, საერთოდ ის, რაც ასე ესაჭიროებოდა ჩვენ სულს, ახალგაზრდა ადამიანის გულს. წავიდნენ წლები და თავს მახსენებს პოეტის, მშვენიერი ლექსის ერთი სტროფი:

„რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები...
მე შენში მხიბლავს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი, როგორც ედემი“.

აქვე მინდა გავიხსენო წიგნები: „პოლი და ვირჟინი“, „ტრისტანი და იზოლდა“, „მანონ ლესკო“, „უცნობი ქალის წერილები“, „უღვაში“ (გ. მოპასანის ნოველა), „ანა კარენინა“, „რომეო და ჯულიეტა“ და ვინ მოთვლის კიდევ რომელი.

„სიყვარული – ეს ის დიდი გრძნობაა, რომე-

ლიც ამოდრავებს კაცობრიობის ისტორიას გაჩენის დღიდან დღემდე. სიყვარული დიდი და მძლავრი ფესვებია, რომლებიც ქმნის ჰარმონიას ჩვენს ირგვლივ და არ შეიძლება არ ეზიარო მას, ცხოვრების ნებისმიერ დროს“. – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა თბილისის მოხუცთა თავშესაფრის „კათარზისის“ ბიბლიოთეკის მუსიკალურ-ლიტერატურული სალონის „საპოვნელას“ გამგემ, ქალბატონმა ლილიმ და მსმენელს წარუდგინა სტუმრად მოსული თბილისის სკოლა-გიმნაზია პირველის მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ, შეხვედროდნენ „კათარზისის“ ბენეფიციარებს. ის, რომ ყურადღებას სათანადოდ ვერ ვაქცევთ ჭარმაგ თაობას, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ, განათლებულ საზოგადოებას, მოზარდ თაობას. დიდმა შოთამ როგორც ბრძანა „არ დავინყება მოყვრისა...“. მათი სურვილია, რომ ეს პირველი შეხვედრა საფუძვლად დაედოს მათ შემდგომ საღამოებს. ასე გადაწყდა და დღეც დაიწყო. სიხარულით შევხვდით მათ სურვილს „კათარზისის“ მთავარი რეჟისორი ბატონი ილია ნიშნიანიძე და ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურულ-მუსიკალური სალონის ხელმძღვანელი ქალბატონი ლილი.

დარბაზში სინათლე ნელ-ნელა ქრება. ფარდა იხსნება. გაისმის ვივალდის, ბეთჰოვენისა და სხვათა მუსიკა. სცენის სიღრმეში წყვილები მოჩანან, რომლებიც რაღაცას კამათობენ. მათ შტრაუსის ვალსზე მოცეკვავეთა წყვილებიც უერთდებიან. ცეკვა ნელდება და იწყება ინსცენირება: „ფერებში დაკრული სიყ-



ვარულის ისტორები“. მუსიკა არ წყდება. იგი თან გასდევს მთელ სალამოს დამთავრებამდე, რომელიც შესანიშნავად შეუდგენია მუსიკის პედაგოგს მარი ბერძენიშვილს. კლასიკურ მუსიკას შიგადაშიგ საუნდრეკები ცვლის ცნობილი კინოფილმებიდან. მუსიკასთან ერთად, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მშვენიერად შერჩეულ პოეზიის ნიმუშებს, რომლებიც სპექტაკლში უხვად წარმოგვიდგინა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა ქალბატონ თამარ ჩხაიძემ, ხოლო სალამო-სპექტაკლის რეჟისორმა მაღალი მხატვრული გემოვნებით გააფორმა ამავე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, თეატრ ათონელის მსახიობმა რომა ცირეკიძემ, რაც შეეხება დანარჩენ მოსწავლეებს, შეიძლება ითქვას, რომ მათ არაჩვეულებრივი



მსახიობური ნიჭი გამოავლინეს—გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ნიკო გომელაურის, ბესიკის, გოგლა ლეონიძის, ს. ჩიქოვანის და სხვათა ლექსების ამონარიდების კითხვის დროს.

მუსიკა არ წყდება. არ წყდება პოეზია, არ წყდება მოგონებანი და „ფერებში დაკარგული სასიყვარულო ისტორიები“. ჩვენ თვალწინ იშლება გოეთეს, ბაირონის, გალაკტიონის, ნაპოლეონის, დიდი კომპოზიტორის—შუმანისა და კლარა ვიკის, ბეთჰოვენისა და გრაფინია ჯულიეტა გუაკარდის, რუსი მწერლის — ტურგენივისა და პოლინა ვიარდის დიდი სიყვარულის ამბები. „ფერებში დაკარგული ისტორიები“ გვახსენებს თუ როგორ დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე ინგლისელმა პოეტმა კლეისტმა და რომანტიკული ხასიათის ადოლფინამ 1811 წლის ერთ დღეს. სალამო-სპექტაკლი ამით არ მთავრდება. თავისი სიტყვა კინოაპარატმა ცთქვა და მაყურებელს უჩვენა სლაიდ-შოუები ფიროსმანზე, მოდელიანსა და სხვათა შესახებ,

რომლებმაც მაყურებელს მათი შემოქმედებისა და სიყვარულის ამსახველი სიუჟეტები გაუცოცხლა.

მაყურებელი აღფრთოვანებას ვერ მალავს. სიჩუმე თანდათან ირღვევა და შიგადაშიგ შეცხილებიც ისმის. სცენაზე შემოდის მე-10 კლასის მოსწავლე ვერიკო ჭელიძე, რომელიც შესანიშნავად ასრულებს ფრანგულ სიმღერას, შემდეგ კი მოწინებითა და სიყვარულით ანთებული თვალებით სცენაზე უხმობს „კათარზისის“ ნიჭიერი ბებიების დუეტის ერთ-ერთ წარმომადგენელს — ციური კაკაბაძეს, რომელთანაც ერთად ასრულებს სიმღერას „მხოლოდ შენ ერთს“. სპექტაკლი გრძელდება. არ წყდება ლექსები, სიმღერები, დარბაზში იღვრება „ცინათელას“ ჰანგები. აქ კი აღფრთოვანებას ვეღარ მალავს დამსწრე საზოგადოება და ფეხზე ადგომით ყველა ერთად მღერის. სალამო მთავრდება, მაგრამ დარბაზის დატოვებას არავინ ფიქრობს. ბებიები, ბაბუები და შვილიშვილები ერთმანეთს სიყვარულში, ცეკვასა და სიმღერაში ეჯიბრებიან. სალამო გრძელდება სცენაზე ადის მშვენიერი და მომხიბვლელი, მომღერალი მაცვალა ბერძენიშვილი, რომელმაც ქართულად და მეგრულად შეასრულა ჯემალ სეფიაშვილის „სანთელი“. ამას არ დაჯერდნენ პატარა მსახიობები და ბებიებთან ერთად მაყურებლებს ცეცხლოვანი „ტანგო“ და „გიორგუნა“ შესთავაზეს. სალამო დამთავრდა.

„კათარზისის“ მთავარი რეჟისორი ბატონი ილია ნიშნიანიძე დიდ მადლობას უხდის თბილისის სკოლა გიმნაზია პირველის მოსწავლეებს ასეთი ლამაზი და მშვენიერი სალამოს. დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს ასევე სკოლის დირექტორი ქალბატონი მანანა ბაკურაძეც და მადლობას უხდის კათარზისის ბიბლიოთეკის გამგეს და სალონ „საპოვნელას“ ხელმძღვანელს ქალბატონ ლილის.

სალამო დასრულდა ქალბატონ ლილის გამოსვლით, რომელმაც ეს მშვენიერი შეხვედრა დაასრულა შალვა ამირეჯიბის ლექსის სტროფით:

„მიყვარდა თქვენი შლექიფი,
თქვენი კაბები გრძელქობა,
თქვენ დღეობაში ქეიფი,
თქვენი უმანკო ცელქობა“.

მზია ტომონიძე

ყოფილი სტუდენტები - ჩემი კოლეგები

უმალესი საბიბლიოთეკო განათლების ისტორია საქართველოში 1938 წლიდან იწყება, როდესაც თბილისის ა.ს. პუშკინის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტთან შეიქმნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და ჩამოყალიბდა კათედრა. კათედრის პირველი სხდომა 1938 წლის 17 სექტემბერს შედგა, რომელზეც განხილულ იქნა ფაკულტეტის სასწავლო გეგმა და საკითხი ლექტორებზე სასწავლო დისციპლინების განაწილების შესახებ. წევრების გადაწყვეტილებით, კათედრის პირველი გამგე იყო გიორგი გიორგიძე. კათედრასა და ფაკულტეტს არსებობის 69 წლის მანძილზე რთული მისიის შესრულება მოუხდა, რადგან იგი ერთდერთი იყო რესპუბლიკაში და მას ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დისციპლინებში ორიგინალური სახელმძღვანელების, სამეცნიერო-მეთოდური თუ სასწავლო ლიტერატურის დაბეჭდვა და გამოცემა ევალებოდა. იმ დროს აღნიშნული ლიტერატურის გამოცემა ბევრ სიძნელესთან და ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვასთან იყო დაკავშირებული, მიუხედავად ამისა, კათედრის წევრებმა მოახერხეს ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიკათმცოდნეობის და წიგნის ისტორიის განხრით ყველა სასწავლო დისციპლინაში სამეცნიერო, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ ენაზე გამოცემა. კათედრის წევრების მიერ გამოცემული სამეცნიერო პროდუქცია დღესაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან მას იყენებენ ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის სამსახურის მუშაკები, ბიბლიოთეკარები, მეთოდისტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რაც ხელს უწყობს საქართველოში ამ უნიკალური დარგის მეცნიერული აზროვნების გაფართოებასა და განვითარებას.

ფაკულტეტი და კათედრა ემზადებოდა 70 წლის იუბილის აღსანიშნავად, მაგრამ, სამწუხაროდ, ფაკულტეტი განათლების რეფორმას შეეწირა, რაც ჩვენი აზრით, დიდ პრობლემებს შეუქმნის მომავალში ამ დარგის სპეციალისტების მომზადების საქმეს.

თავისი არსებობის მანძილზე კათედრასთან მჭიდრო კავშირში მოღვაწეობდნენ საქართველოს უდიდესი ბიბლიოთეკების ცნობილი სპეციალისტები: დოცენტები ვლადიმერ უზნაძე, დევი აბაშიძე, გრიგოლ ჩხაიძე, ეთერ თოხაძე, გულნარა სტურუა და თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების გენერალური დირექტორი

ქალბატონი ციალა კალმახელიძე.

ისინი თეორიულ მეცადინეობასთან ერთად, ატარებდნენ პრაქტიკულ და ლაბორატორულ მეცადინეობებს და წლების განმავლობაში იყვნენ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები.

ჩვენი სპეციალობის გაუქმების შემდეგ ქალბატონი ციალა კალმახელიძის წყალობით, მუშაობა დავიწყე ქალაქ თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების 31-ე ბიბლიოთეკაში, რომელიც ატარებდა დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის სახელს. უკვე მეორე წელია ვმოღვაწეობ ყოფილ სტუდენტებს შორის. ისინი ამჟამად ჩემი კოლეგები არიან: ბიბლიოთეკის გამგე მანანა საგანელიძე, ბიბლიოთეკარები: ლამარა ქსოვრელი, ნუნუ ჭყელიძე, ნუნუ კვიციანიძე, ირმა ქოჩიაშვილი, ნატა აწყვერელი, ნანა გულიაშვილი. მათგან ხშირად პრაქტიკული საქმიანობის ისეთ დეტალებს ვეცნობი, რომელნიც ცხადყოფენ, რა საპატიო და სასახელო საქმეს ეწევიან ისინი, რაც კარგად აქვს აღწერილი გურამ თაყნიაშვილს თავის ლექსში „სოფლის ბიბლიოთეკარი“.

მეამაყება, რომ ინსტიტუტში მუშაობის 38 წლის მანძილზე ათიათასობით სტუდენტი-სპეციალისტი აღგვიზრდია, რომლებიც მოღვაწეობენ საქართველოს ყველა ბიბლიოთეკაში, მათ შორის, ქალაქ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში. ქ-ნ ციალა კალმახელიძის უშუალო დამსახურებაა ისიც, რომ მის დაქვემდებარებულ სისტემაში დღეისათვის ბევრი თანამშრომელია სპეციალური უმაღლესი განათლებით.

წლების განმავლობაში სტუდენტთა პრაქტიკას ქ-ნ ციალასთან ერთად ხელმძღვანელობდა საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი ქ-ნი ნანული ბინაძე, რომლის მოღვაწეობა საბიბლიოთეკო გაერთიანებაში მხოლოდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებს. დიდი დამსახურება სტუდენტთა აღზრდის საქმეში მიუძღვით ასევე მთავარი ბიბლიოთეკის ვეტერან თანამშრომლებს: მანონი ხორავას, ლამარა ხაბეიშვილს, როზა პაპავას, ნელი ჯარიაშვილს, ლილი გორდელაძეს, რუიზან კალმახელიძეს, თინა ჩაგანავას, ვალიდა კეკელიძეს, ლუიზა ქუმელავილს და სხვებს.

ვეტერანი სპეციალისტების გვერდით გაერთიანებაში მუშაობენ უშუალოდ ჩემი უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში აღზრდილი სტუდენტები, რომლებსაც წამყვანი თანამდევ

ბობები უკავიათ საბიბლიოთეკო გაერთიანებაში. მათ შორის არიან: ლეთისო მესხიძე, მარინა ბუხრაშვილი, მანანა საგანელიძე, ლალი გოქაძე, ნატალია პეტრიაშვილი, მაყვალა თვარაძე, მზია აბრამიშვილი, ნანული კობეშავიძე, ჟუჟუნა ჩეკურიშვილი, მაყვალა ბითაროვა, ლიანა ჩხარტიშვილი, ნათელა ბოტკოველი, ეთერ ქამუშაძე, ციცინო სიმონია და მრავალი სხვა, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშიც წარჩინებული სტუდენტები იყვნენ და სამსახურშიც წარმატებული ხელმძღვანელები, ავტორიტეტული პიროვნებები და, უბრალოდ, კარგი ადამიანები არიან. მათთან შესხვედრა

ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მით უმეტეს, როდესაც მათგანაც ურთიერთგაგებას ვგრძნობ. თუმცა, რა დასამალია, არის რაღაც ისეთიც, რაც გულს მწყვეტს, მაგრამ ეს იმდენად მცირეა, ვერ ფარავს იმ დიდ სიკეთეს, რაც ჩვენს ურთიერთობას ახლავს.

მინდა დიდი სიყვარული, მოწინება, პატივისცემა გამოვხატო ყოფილი სტუდენტების, ამჟამად კოლეგების მიმართ, რომელთა შესახებ ათეულობით წერილი შეიძლება დაინეროს. ისინი არა მარტო თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკაში მუშაობენ.

ინფორმაცია

რუსი ბიბლიოთეკათმცოდნის ნაშრომი ქართულ ჟურნალში

რუსი ბიბლიოთეკათმცოდნე, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ბიბლიოთეკათმცოდნეობის განყოფილების პრეზიდენტი იური სტოლიაროვი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნეობისათვის ცნობილია როგორც საბიბლიოთეკო დარგის მრავალმხრივი მკვლევარი, რუსეთში ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი. იგი იმთავითვე გარკვეულ ინტერესს იჩენდა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის, ქართული კულტურისა და ქართული ლიტერატურისადმი. საბიბლიოთეკო საქმის ქართველი სპეციალისტები იური სტოლიაროვს ხვდებიან ყირიმის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის საგანს შეადგენს საბიბლიოთეკო დარგის შემდგომი განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ამ სფეროში საერთაშორისო მასშტაბით არსებულ მიღწევებისა და გამოცდილების გაცნობა. რუსმა ბიბლიოთეკათმცოდნემ ამას წინათ ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებს შესთავაზა საინტერესო ნაშრომი „ნიგნის კულტურის მოტივები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ნაშრომის შესავალში ავტორი განმარტავს ტერმინს „ნიგნის კულტურა“ და ადასტურებს, რომ ეს ტერმინი გულისხმობს წერილობითი ტექსტების არსებობას, ნიგნის ზეგავლენას საზოგადოებაზე და საზოგადოების ზეგავლენას ნიგნის კულტურის ფორმირებაზე. ავტორის აზრით, ნიგნის კულტურა ეფუძნება სამ მი-

მართულებას: ნიგნის გავრცელების კულტურა, საკუთრივ ნიგნის კულტურა და კითხვის კულტურა. ამ თვალსაზრისით იგი იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. საანალიზოდ იყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ ს. იორდანიშვილისეულ თარგმანს. ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველსავე სტრიქონებში გვხვდება ნანერის (ჩანანერის) საშუალებები და მასალები. ავტორი იმონებს პოემის ცალკეულ ეპიზოდს, მოქმედ პირთა ურთიერთმიმონერის ფორმებს. ი. სტოლიაროვის აზრით, პოემაში ნიგნი განიხილება როგორც სიბრძნის წყარო. ამ ასპექტით, ნიგნი, როგორც წერილობითი დოკუმენტი, კვალდაკვალ გასდევს პოემის მთლიან სტრუქტურასა და ქარგას. პოემა ნათელი დადასტურებაა ნიგნის კულტურის მაღალი დონისა შუა საუკუნეების საქართველოში. ამ მხრივ, ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ შეიძლება შეედაროს მხოლოდ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“. ნიგნის კულტურის მოტივებს ავტორი იკვლევს სტროფიდან სტროფზე მიყოლებით, იმონებს რა ტექსტის ცალკეულ ნაწილებს და ასკვნის, რომ საქართველოში ნიგნის კულტურას უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე იგი წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსანში“.

ი. სტოლიაროვის ნაშრომმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის: ტექსტის მკვლევართა შორის. ნაშრომი რუსულ ენაზე გამოქვეყნდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ალმანახში „ლიტერატურული ძიებანი“, № 31, 2010.

არა მხოლოდ პერსონალია

ეთერ ცივაძე ორ ათეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდა აკაკი წერეთლის სახელობის აჭარის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას. ეს ბიბლიოთეკა ავტონომიის უმთავრეს ბიბლიოთეკას წარმოადგენდა, რომელიც მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა მთელი რეგიონის ბიბლიოთეკებს. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად დიდ საპასუხისმგებლო და რთულ საქმიანობას ეწეოდა მისი ხელმძღვანელი, ძნელია აღნუსხო ყველაფერი, რაც მას გაუკეთებია. ყოველივე ამაზე თქვენ ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ (და არა მარტო ამაზე), თუ გაეცნობით ნიგნს, რომელიც ეთერ ცივაძეს მიეძღვნა (იმ დიდი სახლის მახსოვს ასული/ავტორ–შემდგენელი ყუყუნა შაინიძე, რედაქტორი ალექსანდრე ლორია – თბ., 2011, – 294 გვ.).

ეთერ ცივაძე მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეა – იყო რეგიონის ერთ–ერთი ხელმძღვანელი მუშაკი სხვადასხვა თანამდებობებზე, ცენტრალური ბიბლიოთეკიდან ნასვლის შემდეგ ხელმძღვანელობდა ქალთა საბჭოს აჭარის განყოფილებას, ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას. იგი არის საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ცნობილი ბიბლიოფილი; პერიოდულად წერს ლექსებსაც, მაგრამ მისი სიყვარული პოეზიისადმი უსაზღვროა, უამრავი ლექსი იცის ზეპირად და შესაბამისად იყენებს მათ ზეპირი თუ წერილობითი ურთიერთობის დროს. ღირსეული წინაპრების შთამომავალი, თვითონაც ღირსეული მოქალაქეა, მაღალი პიროვნული თვისებების მქონე ადამიანი.

სწორედ ამაზე მოგვითხრობს ნიგნი „იმ დიდი


სახლის მახსოვს ასული“. ნიგნი იხსნება რედაქტორის წინასიტყვაობით. ძირითადი ტექსტი დაყოფილია ნაწილებად: „ძველქართული სიღარბაისლით“, „წინაპრები“, „დიდი სახლი“, „ეთერი და ვახტანგი“, „ლექსის ტრფიალი“, „მაღლი სანთელ–საკმეველისა“, „და ხსოვნა ძვირფასი მძივივით ავკინძე (მემუარული ჩანაწერები)“. ამას მოსდევს მიძღვნილი ლექსები, ხოლო სრულდება თავით – „მორჩი კეთილი“, ნიგნში მოცემულია რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ცალკეულ ნაწილებზე ტექსტებში დართულია ფოტოები, ხოლო ბოლოს მოცემულია სპეციალური ნაწილი – „ფოტო მატთანე“. ნიგნი შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე სანიმუშო დიზაინით.

ამ გამოცემაში მოცემულია არა მარტო ქ–ნ ეთერის მემუარული მასალა, არამედ წერილები მის შესახებ, რომლებიც ცნობილ პიროვნებებს ეკუთვნის, აგრეთვე ადრესატის ახლო მეგობრებს; გამოქვეყნებულია ე.ცივაძისადმი მიძღვნილი

ლექსები. აღსანიშნავია რომ ნიგნში ვხვდებით მასალას მშობლების, ოჯახისა და საქვეყნოდ ცნობილი ისტორიული პირების შესახებ, რომლებიც ქ–ნ ეთერის წინაპრები იყვნენ წინაპრებთან დაკავშირებული მასალა მოიცავს მრავალ ისეთ ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია აჭარის – საქართველოს უძველესი მხარის – ისტორიულ მოვლენებთან. ამით აღნიშნული ნიგნი კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება. დარწმუნებული ვართ, ის უეჭველად მიიპყრობს ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღებას.

იმ დიდი
სახლის
მახსოვს ასული





ერთ-ერთი საუკეთესო ნიშუი

ქვეყნად არიან ადამიანები, რომელთა ღვაწლმა დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმეს ჩაუყარა საფუძველი, განავითარა და დაამკვიდრა. ასეთი მოვლენები ქმნის ერის სახეს, მისი სულიერი თუ ფიზიკური არსებობის საფუძვლებს. მართალია, ეს ადამიანები არ ითხოვენ ამისათვის სანაცვლოდ არაფერს, არც გამოჩენისა და აღიარების სურვილი ამოძრავებთ, მაგრამ საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს ისინი, უნდა დააფასონ და შესაფერისი პატივი მიუზღან მათ. ჩვენი ერის განვითარება და წინსვლა თუ გვინდა, ყოველ ერისკაცს უნდა დაუფასდეს ღვაწლი. მომავალმა თაობამ საჭიროა იცოდეს, ვინ რა აკეთა ქვეყნის საკეთილდღეოდ, რათა მაგალითად ექცეთ წინაპართა ღვაწლი და შრომა, მათი ცხოვრება და საქმიანობა.

ერთ-ერთ ამგვარ წინაპარს წარმოადგენს ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი და პროფესიული კადრების აღმზრდელი ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ქართველი საზოგადოება საფუძვლიანად იცნობდეს ამ დიდ პიროვნებას, მის ღვაწლსა და შემოქმედებას, იმას, რაც მას შეუქმნია და გაუკეთებია, იმას, თუ როგორ უცხოვრია და რა ღირსებების ადამიანი ყოფილა.

ყოველივე ეს გაშუქებულია მეტად საინტერესო ნიგნში, რომელიც ივანე ბერიტაშვილს მიეძღვნა მისი დაბადებიდან 125 წლისთავზე. ნიგნის ავტორია ივ. ბერიტაშვილის ერთ-ერთი მოწაფე, ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორი, პროფესორი მერაბ ცაგარელი. ნიგნი – „ივანე ბერიტაშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოქყენდა თბილისში გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ 2010 წელს, შეიცავს 104 გვერდს, განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

დასახელებული ნიგნი აგებულია თავისებური სტრუქტურით. წინასიტყვაობასა და შესავალს

მოსდევს თავები და პარაგრაფები, ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი ნაწილები: მოკლე ბიოგრაფია, ივანე ბერიტაშვილი სანკტ-პეტერბურგში, სამშობლოში დაბრუნება, მეცნიერების ეროვნული სკოლების დაარსება, ბერიტაშვილის მემკვიდრეობა. ნაშრომი სრულდება ბოლოსიტყვაობით. მთლიანობაში განხილულია ყველაფერი, რაც კი სახელოვან მეცნიერს შეუქმნია. ნიგნის ავტორი არ კმაყოფილდება მეცნიერის მხოლოდ მიღწევებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების ჩამოთვლით, არამედ აანალიზებს და აფასებს შედეგებს,


გვიჩვენებს; თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისინი, რამდენად ფასეულია როგორც კერძო მეცნიერებისათვის, ისე საზოგადო მეცნიერული აზროვნების განვითარებისათვის.

მ. ცაგარელის ნიგნი „ივანე ბერიტაშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა“, ფაქტობრივად, ორენოვანია. ნაშრომს ბოლოში დათმობილი აქვს ტექსტი ინგლისურ ენაზე, რომელიც რეზუმირებული მოკლე თარგმანია.

ნაშრომს დაერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიც მოცემულია როგორც ივ. ბერიტაშვილის ნაშრომების ნუსხა, ისე ლიტერატურა მის შესახებ, აგრეთვე პირთა საძიებელი. აღსანიშნავია, რომ ნიგნი შეიცავს მდი-

დარ ილუსტრირებულ მასალას. ფოტომასალა შეიცავს როგორც მშობლებისა და ახლობელთა სახეებს, ისე მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი მეცნიერის პორტრეტს, კოლექტიურ ფოტოგრაფიულ ნიმუშებს, შენობების, ნიგნების, მემორიალური ავეჯისა და აქსესუარების ფოტოებს.

ნიგნი საუკეთესო პოლიგრაფიული ხელოვნებითაა შესრულებული და დაბეჭდილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ბიზნესმენისა და მეცენატის – რევაზ ვაშაკიძის ხელშეწყობით, რისთვისაც ის უდავოდ იმსახურებს ქართველი საზოგადოების მადლიერებას.



პოეზიის საგნად ქცეული მხარე

საქართველოში იშვიათად ნახავთ მხარეს, რომელიც ასეთი პოეტური მგზნებარების საგნად ქცეულიყოს.

„მასსოგს ხარაგაულის სევდიანი სადგური“ – ჯერ კიდევ როდის მოსავდა ამ კუთხეს ლირიკული პოეტური გრძნობით გალაკტიონ ტაბიძე და შემდეგ მთელი მისი მომდევნო პოეტთა თაობა. ეტყობა, აქაურობა რალაც შეუცნობელი ხიბლით არის გარემოცული. მისი ბუნება – ხმელეთი თუ ზეცა, მდინარე თუ ჩანჩქერები, გორაკები და მდელოები, მაღლა აზიდული მიუვალი მთები და მათზე შემომდგარი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები, მიხვეულ-მოხვეული გზები და ბილიკები, ტყეები და სანახები, ყანები და ბაღჩა-ბაღები, ტყრუშულითა თუ მესრით შემოღობილი ეზომიდამოები, ვენახები და სათიბები, აქა-იქ მიმოფანტული კოხნია სახლები, და, რაც მთავარია, ადამიანები, ისეთ იმპულსს იძლევიან, არ შეიძლება არ აღძრას პოეტური განცდა და აღმაფრენა, რალაც შეუცნობელი გულისძგერა და აღტაცება. უდავოდ ამან შეუნყო ხელი პოეტების მუზის გამოცოცხლებას, ამდენი შედეგის შექმნას, რამდენიც ხარაგაულის მხარეს მიეძღვნა.

ყოველივე ამის თავმოყრა და გამომზეურება, ცხადია, იოლი საქმე არ იქნებოდა და იქნებ ვერც განხორციელებულიყო. ხარაგაულს რომ თავგამოდებული და ერთგული თანამემამულენი არ ჰყოლოდა. ამათგან გამორჩეულია ქალ-

ბატონი იზა ვეფხვაძე.

იზა ვეფხვაძეს არა მარტო ჩვენი ჟურნალის, არამედ საერთოდ, ქართველი მკითხველების დიდი ნაწილი კარგად იცნობს. ის მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანია; არის წიგნისა და საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი სპეციალისტი, უბადლო პროფესიონალი, შესანიშნავი დეკლამატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის ნამდვილი ორგანიზატორი, პოეტური და არტისტული სულისკვეთების პიროვნება. სწორედ მისი თავგამოდებული შრომის შედეგია ხარაგაულის ირგვლივ არსებული ლიტერატურული მასალის თავმოყრა და გამოქვეყნება წიგნში „ხარაგაული“. იგი ამ წიგნის რედაქტორი-შემდგენელია. მას აქამდე ორი ამგვარი წიგნი აქვს გამოქვეყნებული, ეს მესამეა. გამოიცა იგი ქუთაისში 2009 წელს, „საგამომცემლო ცენტრის“ მიერ. რედაქტორია ელგუჯა თავბერიძე, ახლავს მრავალი ძველი თუ ახალი ფოტო, შეიცავს 160 გვერდს; შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მხატვრული სუპერითა და სხვადასხვა გრაფიკული თავკაზმულობებით. პოეტური ნაწარმოებების შემდეგ, ბოლოში მოცემულია სხვადასხვა გამოჩენილი ადამიანის მოკლედ გამოთქმული შეხედულებები, რომლებიც განსაკუთრებით საყურადღებო მასალას წარმოადგენს.

კრებული უდავოდ დააინტერესებს ჩვენი მკითხველი საზოგადოების ფართო წრეს.

დიდი ღვაწლის შედეგი

გამოვიდა კაპიტალური ნაშრომი: ჯუღელი ვიქტორია. ნეტარი თეოდორიტე კვირელი: საღმრთო ასპარეზობა და სიბრძნის მოყვარეობა სირიული ასკეტიზმის ფონზე; ფილოთეონ ისტორია და მისი ქართული თარგმანები; ტ. 2. – თბ.: ლოგოსი, 1911. – 772 გვ. ილუსტრაციებით.


წიგნის რედაქტორია დამანა მელიქიშვილი; ფილოთეონ ისტორიის ძველი ქართული ტექსტის გამოცემის რედაქტორი – თამაზ კოჭლამაზაშვილი; წმინდა მარ იაკობისა და ნეტარი ივლიანა-საბას შესხმათა ჩვენეული თარგმანის რედაქტორი – დარეჯან სვანი. ნაშრომის რეცენზენტები

არიან: ქეთევან ბეზარაშვილი, მაგდა მჭედლიძე, დარეჯან სვანი, ბერნარ უტიე, ედიშერ ჭელიძე და ელგუჯა ხინთიბიძე.

ნაშრომის ძირითად ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა, რასაც მოჰყვება მე-3 ნაკვეთი – თეოდორიტე კვირელის ფილოთეონ ისტორია სირიული ასკეტიზმის ფონზე, რომელიც, ფაქტობრივად, გაშლილი შესავალია, რომელსაც მოყვება ცალკეული ნაწილები პარაგრაფებით. ყოველ ნაწილს თავისი დამოუკიდებელი სათაური აქვს: ნაწილი I. ფილოთეონ ისტორია – სირიელი ასკეტების მატთანე; ნაწილი II.

პრაქტიკული სათნოება სირიაში ფილოთეონ ისტორიის მიხედვით. შემდეგ მოცემულია მე-4 ნაკვეთი – ფილოთეონ ისტორია ქართულ ხელნაწერებში. ამას მოსდევს უშუალოდ ტექსტები – „ფილოთეონ ისტორიის ძველი ქართული თარგმანები“. დასასრულს წიგნს ერთვის „დანართი“, აგრეთვე მცირე ლექსიკონი, ბიბლიოგრაფია და რეზიუმე ინგლისურ ენაზე. სულ ბოლოს მოცემულია „საკუთარ სახელთა საძიებელი“.

როგორც წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერიდან ჩანს, ის არის ღრმა მეცნიერული ნაშრო-



მი, რომელიც უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს პროფესიონალთ შორის და, ცხადია, ხელს შეუწყობს ამ თემატიკით დაინტერესებულ პირებს და იმათ, რომლებიც ამჟამად ეუფლებიან შესაბამის სპეციალობას.

საგულისხმოა, რომ წიგნი აღჭურვილია დამხმარე აპარატით. გარდა დასახელებული ნაწილებისა, უხვად არის მოცემული სქოლიოები – შენიშვნები და განმარტებები, წყაროების მითითებები და ა. შ. გამოცემა შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე და გამოირჩევა თავისი დიზაინით.

ერის დიდი მასწავლებელი

არიან ერის მოძღვარი, დიდი ადამიანები, რომელთა ღვაწლის შესახებ თხრობა ამოუწურავად შეიძლება. ასეთი პიროვნებაა ჩვენთვის იაკობ გოგებაშვილი. რამდენიც არ უნდა დაინეროს და ითქვას მის შესახებ, მაინც ყოველთვის ახალსა და ჯერ შეუმჩნევს აღმოაჩენენ. ამდენად, ფრიად მნიშვნელოვანია ცნობილი მეცნიერის, პედაგოგიკოსის, ღირსეული აღმზრდელის, დოქტორის, პროფესორის შოთა მალაზონიას მონოგრაფია, რომელიც იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება – „იაკობი ერის დიდი მასწავლებელი“. წიგნი დაისტამბა თბილისში გამომცემლობა „კალიგრაფის“ მიერ 2011 წელს; შეიცავს 80 გვერდს. რედაქტორია პროფ. კონსტანტინე რამიშვილი. ნაშრომი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნაშრომი ყოველმხრივ აშუქებს დიდი მწერლისა და მოღვაწის შემოქმედებას. აქ ვეცნობით იაკობს როგორც „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ უბადლო ავტორს, რომელმაც შეძლო ამ ნაშრომებისთვის მიეცა სასწავლო-შემეცნებითი მნიშვნელობა, საუბარია „დედა ენის“ განმავითარებელ ფუნქციებზე, ამ წიგნების აღმზრდელობით ღირსეუბებზე, იაკობის პუბლიცისტურ მოღვაწეობაზე; მთელი ნაშრომი აღსავსეა ჩვენი დიდი მოძღვრისა და პედაგოგის პიროვნული და მოქალაქეობრივი ღირსებების ამსახველი მასალით. მ.

მალაზონია თავის ნაშრომში არა მარტო გვიჩვენებს, რაც იღვანა იაკობ გოგებაშვილმა, არამედ იძლევა მისი ნაღვანის ანალიზს, შეფასებას, კომენტარებს; გამოთქვამს ორიგინალურ შეხედულებებსა და მოსაზრებებს; ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით პუბლიკაციის ნაწილში, მოკლედ გადმოგვცემს პუბლიკაციის შინაარსს და მის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას.

აღნიშნული ნაშრომში საყურადღებოა იმითაც, რომ აქ ერთ პატარა თავში – „როგორი იყო იაკობი“, მოყვანილია იაკობის ცნობილ თანამედროვეთა შეხედულებათა ამონარიდები იაკობის შესახებ. ავტორს – შ. მალაზონიას ნაშრომზე მუშაობისას მრავლად გამოუყენებია წყაროები, რომლებიც ჩამოთვლილია განყოფილებაში – „ციტირებული ლიტერატურა“.

შ. მალაზონიას წიგნი – „იაკობი: ერის დიდი მასწავლებელი“,

ძვირფასი შენაძენია იაკობ გოგებაშვილის შესახებ არსებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. თავისი ენით, აზრის სიციხადით, თხრობის სისადავით, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია ამ ნაშრომის ავტორისათვის, ხსენებული წიგნი წარმოადგენს საყოველთაოდ საკითხავ გამოცემას, რომელიც ძვირფასია თავისი ინტელექტუალური ფასეულობით; ამდენად, ის უეჭველად დააინტერესებს ფართო მკითხველ საზოგადოებას.



ბამოხმაურება

* * *

„იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“ მრავალი ფიქრის აღმძვრელი წიგნია. მართალია, იგი ცნობილ საზოგადო მოღვაწეს – ქალბატონ ეთერ ცივაძეს ეძღვნება, მაგრამ მასში ბევრი ისეთი მასალაა თავმოყრილი, რომელიც ცნობილ პიროვნებას შეგვახსენებს, ეხება ღირსშესანიშნავ მოვლენებსა და ფაქტებს, წარმოადგენს ღვაწლმოსილი ადამიანის დაფასების მშვენიერ მაგალითს.

ეთერ ცივაძესთან სტუდენტური პერიოდის მეგობრობა მაკავშირებს. ის მუდამ გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობითა და ოპტიმიზმით, მეგობრული ურთიერთობით, ხალისითა და პოეზიისადმი უსაზღვრო სიყვარულით. ამ წიგნმა თვალწინ დამიყენა ჩვენი წარსული, რომლითაც ყველა ჩვენთაგანი ამაყოფს. ვულოცავ ეთერს ამ მშვენიერი წიგნის გამოჩენას. მან უსაზღვრო სიამოვნება მომგვარა, და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც ის წაიკითხა. მეტად შინაარსიანი, ლამაზი და სასარგებლო გამოცემაა.

*ცისანა კვინტრადე-გოძიაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი*

* * *

დიდი ინტერესით შევხვდი ამ წიგნის გამოჩენას. „იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“. უდავოდ შესანიშნავი გამოცემაა. თვალს იტაცებს მისი გარეგნული მხარე, დიზაინი, ფოტო მასალა, რომელიც უხვად აქვს დართული წიგნს. თავისი სტრუქტურით, მასალის ნაირფერობითა და შინაარსით იგი ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. დიდი გულისყურით წავიკითხე ყველა სტრიქონი. ბევრი რამ ჩემთვის მეტად ახლობელი აღმოჩნდა. უნდა ვთქვა, რომ ამგვარი გამოცემები, საერთოდ, სასურველია, რადგანაც ისინი წარმოდგენას გვაძლევენ არა მარტო იმ ღირსეულ ადამიანებზე, რომლებსაც ისინი ეძღვნება, არამედ იმ გარემოზე, რომელშიც მათ მოუხდათ ცხოვრება.


ეთერ ცივაძე ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა. მე მისი ხელმძღვანელობით საკმაოდ დიდ ხანს მომიწია მუშაობა და მინდა ვთქვა, რომ ის იყო სანიმუშო დირექტორი, რომელიც პროფესიულ დონეზე მართავდა ბიბლიოთეკას. მისი მუშაობის პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა – რეკატალოგიზაცია-რეინვენტარიზაცია, სტრუქტურული გარდაქმნები, ხოლო თანამშრომლებთან ურთიერთობით განსაკუთრებულად გამოირჩეოდა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ურთულეს პირობებში გვიხდებოდა საქმიანობა – არასრულყოფილი ბიუჯეტი, სარემონტო შენობა, მოსაწესრიგებელი სამეურნეო-ორგანიზაციული საქმეები. ხშირად გვინევდა ისეთი ძნელი საქმის წარმოება, როგორც იყო მეთოდიკური მიზნით მაღალმთიან რაიონებში მივლინებები.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ დასახელებულ წიგნში ე. ცივაძის დამსახურება მისი ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს სრულყოფილად არ არის მოცემული. საჭირო იყო, მეტი ადგილი დათმობოდა მისი ცხოვრების ამ მონაკვეთს.

*რუსუდან ჯინჯიხაძე
საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარი*

* * *

ძალიან გამახარა ეთერ ცივაძისადმი მიძღვნილმა წიგნმა „იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“. ბევრი რამ არის ნათქვამი მასში ეთერის წინაპრების, მისი მშობლების, დიდი ოჯახის შესახებ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ის მაინც ვერ ამოწურავს ეთერის მიერ გაღებული სიკეთისა და ღვაწლის მოცულობას. წიგნი ძალიან საინტერესოდ იკითხება და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ეთერ ცივაძის დამსახურებას. ეთერი ხომ ჩვენი ქალაქის კოლორიტია. მისი ურთიერთობა ადამიანებთან, შრომისმოყვარეობა, ენთუზიაზმი და სამსახური – დაუფასებელია. მე ყოველთვის მხიბლავდა მისი გამოსვლები სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით თუ საიუბილეო ღონისძიებებზე. მისი სიტყვა ყოველთვის გამოირჩეოდა სიღრმით, აზრთა სიცხადითა და ემოციურობით. მახსენდება, ჩემს მეუღლეს – პოეტ ზურაბ გორგილაძეს, რომელიც განსაკუთრებული თრთოლვით ეკიდებოდა ლამაზად ნათქვამს, რამდენჯერ აღტაცებით აღუნიშნავს ეთერის გამოსვლა სხვადასხვა საქმიან თუ საზეიმო ღონისძიებებზე. ეთერი ხომ პოეზიის ტრფიალია და მუდამ წარმატებითაც ახერხებს საქმიან, ღრმად აზრიან გამოსვლაში შინაარსისადმი შესაფერისად ზეპირად ჩართოს პოეტური ფრაზები.



ეთერ ცივაძე – ჩვენი საზოგადოების ღირსეული ქალბატონი, ნამდვილად იმსახურებს ასეთი წიგნით გამოსატოს ამ საზოგადოებამ მისდამი ღრმა პატივისცემა.

ლეილა დავითაძე

* * *

„იმ დიდი სახლის მახსოვს ასული“ ისეთ წიგნების რიგს მიეკუთვნება, რომლებიც არა მარტო რომელიმე ერთ მოღვაწეს შეეხება, არამედ მასთან ერთად, მოიხსენიებს მრავალ ღირსშესანიშნავ ადამიანს, გვიჩვენებს იმ ატმოსფეროს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება ამ პიროვნებას. ხსენებული წიგნი ეთერ ცივაძესთან ერთად მრავალ ადამიანს გვახსენებს – წინაპრები, მშობლები, მეგობრები, კოლეგები, ცნობილი მოღვაწეები, უბრალო ადამიანები, რომლებიც ეთერ ცივაძის მოღვაწეობასთან არიან დაკავშირებულნი. ყოველივე ამასთან ერთად, კარგად ჩანს, თუ რა ვითარება სუფევდა აჭარის ადრეულ წარსულში. ასეთი წიგნები არა მარტო მოღვაწე ადამიანების ხსოვნას ინახავს, არამედ ეპოქის შესაბამისი ცხოვრების სულისკვეთებასაც გამოხატავს. ამიტომაცაა ასეთი წიგნები საჭირო და სასარგებლო.

ეთერ ცივაძე უდავოდ თვალსაჩინო მოღვაწეა. ის ყოველთვის ეროვნული ღირსების დაცვის სადარაჯოზე იდგა. ასეთი იყო ის სტუდენტობაში, სამსახურში მუშაობის დროს და ასეთია ამჟამადაც. მე მაგონდება ხელშეწყობა, რომელსაც ის გვინევდა ჩვენ, მე და ჩემს მეუღლეს – გურამ კარტოზიას, რომელიც ლაზურ ენაზე მუშაობდა და ხშირად გვინევდა სარფში გამგზავრება. ეთერს ეს საქმიანობა უაღრეს პატრიოტულ საქმედ მიაჩნდა და ყოველმხრივ ცდილობდა, რაიმე შეფერხება არ გვექონოდა. გვეხმარებოდა ინფორმაციით, სპეციალისტებთან კონტაქტების დამყარებით და მუდამ გულუხვ მასპინძლობასაც გვინევდა.

ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა ამ დღეების გახსენება, იმ დიდი პატივისცემის აღიარება, რომელიც ამ წიგნშია გამოხატული. წიგნი მეტად შთამბეჭდავ შთაბეჭდილებას ახდენს.

ცისანა თოდუა-კარტოზია
ხელოვნების დამსახურებული მუშაკი

ბალაკტიონილობია

დავით კოტორაშვილი,
პროფესორი

სილაჟვარდე ანუ ბალაკტიონი

(ქსე)

წელიწადები წავლიან ძველნი, შეიცვლებიან ქარით სიონი...

და... აივნებს მალე ააყვავილებს რტოების ნოხი და ფარდაგები...

გაზაფხულია... მარტი... ადი ნებისმიერ შემალღებულზე საქართველოში. მიმოიხედე ირგვლივ... აიხედე ცისკენ... გადაიხედე უფსკრულელებში... ჩაანვდინე მზერა სადამდისაც თვალნი მიგიწვდებიან... და თუ გულში სიყვარულით გაგიჟებული ბუღბუღლიც ჩაგბუდებია, უთუოდ აგიჩქამებს ლექსის ჯადოქარი – შორით კი ხვამლი მოჩანს ცისფერი, როსმე ის ჩემი იყო ზმანება.

გაივლის თვალწინ იგი სიზმარი და რალაც მწარედ დაგენანება...

ცისკენ – ცისფერი... მიწაზე კი – ყოჩივარდების ვარდალმურება... თეთრი ენძელების სუნ-

თქვა, თეთრი ციმციმი... ცისთვალას მოცისფერება... ფურისულები... ფურისულები... დიდი ფაციფუცი და სამზადისი ია-დედოფლის მობრძანების დიდ მოლოდინში... ლორთქო ბალახის უმანკოება... თვალი იხილება, სული იდუმალი ენერგიით ივსებაიმუხტება...

ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი, ამ მშვენიერ დღეს, ამ სისხამ დილას. ფეხებს გისუსხავს ეს უხვი ცვარი... დადიხარ ამ ცვრიან ბალახში და მართლაც ეს უკვე მერამდენედ – უგალაკტიონოდ... ისევ ამწვანდა მდელი და კორდი! დაედივარ, „ვწუხვარ“ და მენანება... რადგან – აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაემგვანება!

ეს მერამდენედ – უგალაკტიონოდ ვაზის ცრემლებით ივსება ზვარი.



II. ვინა სთქვა შენი გარდაცვალება
არ ჩაუფიქრებინარს საფლავის ქვებზე
ამოტვიფრულ ორ თარიღს შუა გავლებულ პა-
ტარა წრფეს? – დაიბადა – გარდაიცვალა...

გარდაიცვალა! – მიეჭვება, რომ სხვათა ენებ-
ში სადმე იყოს ამ დიდი და ფარულად ღრმა ში-
ნაარსის შემცველი მსგავსი რამ სიტყვა. ეზო-
თერულად იგი ხომ უკვდავების შინაარსით
დატვირთული ცნებაა, უკვდავებისა, მარადი-
ულობისა, არგაქრობისა. ორივე თარიღი ხომ
ორი დაბადების მაუნყებელია: პირველი – ხორ-
ციელი დაბადებისა, ხოლო მეორე – სულიერი
ცხოვრების დაწყებისა: სიკვდილისა სიკვდილი-
თა დამთრგუნველისა და საფლავების შინათა
ცხოვრების მიმნიჭებლის მადლითა და მეოხე-
ბითა...

გინდა ყველა საფლავს ნიავივით ჩამოურბინო
და უხმოდ, მაგრამ ხმამაღალი გულისხმით ჩას-
ძახოდე მინადაქცეულებს.

ვინა სთქვა შენი გარდაცვალება,

არა, უთუოდ დღეს დაიბადე...

ის პატარა წრფე ორ თარიღს შორის – სიმბო-
ლო გზისა, ადამიანის მიერ მზისქვეშეთში გან-
ვლილი ცხოვრების გზისა... და მართლაც... ეს
ჩვენი დედამინა ხომ დაქსელილია გზებით და
რაოდენია:

გზები გაუფალი

და გზები გავლილი...

დაქსელილია იმ გზებით, რომელთაც –

ერთი ნიშანი აქვს –

დაუსრულებლობა.

მთავარია, ფეხ არ დაგხსლტომოდეს „იფნის
შოლტივით“ მოქნეულ გზაზე“...

უმთავრესია – ნუგეშს არ მიეტოვებინა ამ
გზაზე და ლოცვასავით გაგემეორებინოს:

გმაღლობ, ნუგეშო, შენს გზაზე რომ დავიარე-
ბი.

თუმც, მერამდენედ უგალაკტიონოდ „ვაზის
ცრემლებით აივსო ზვარი...“

III. სილაში ვარდი

ო, სინმინდო და სიფაქიზე!

შენ ვერ მოასწარ, ისე დაწყნარდი,

როცა მზიანი იყავი ისე,

როგორც ნანვიმარ რიჟრაჟში ვარდი...

ლამაზია და საოცნებოა, უცნაურია და სა-
ოცარი გაზაფხული საქართველოში თავისი
ნანვიმარ რიჟრაჟში ვარდითა თუ თავისი ნან-
ვიმარ სილაში ვარდით... სინმინდეა და სიფაქი-
ზეა... ბედნიერებაა...

მე რომ მკითხონ: რა გვინდა, რომ ბედნიერი
გახდეს კაცი?

ვუპასუხებ: საქართველოს ეს ბუნება თვალ-

წარმტაცი!

მიუგულისყურე მთებზე შემომდგარ მთვარე-
საც –

ბევრი მხარე მოვიარე.

ასე ინყებს ამბავს მთვარე,

მაგრამ საქართველოსთან

არ მინახავს არსად არე...

ვხედავ... ყოველ გაზაფხულზე სახედანმენ-
დილი ის მიდის ქუჩაში ერთი, და დუმილით
გინვევს: „ნამყე ბეთანიისაკენ!“ ბეთანიისაკენ,
გზაზე, სადაც ცაცხვებია
და მუხნარი უმეტესი...

არსად ქვეყნად არ მინახავს

ადგილები უკეთესი,

ადგილები ასე მშვენი

ვარდისაგან, იისაგან

მისდევ და გულისგულში მხესავით ამონათ-
დება ლოცვა ამქვეყნიური –

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!

როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი,

ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია

და შორეული ცის სილაჟვარდე.

„როგორც ნანვიმარ სილაში ვარდი“... სილაში
ვარდი და იქვე – „როგორც ნანვიმარ რიჟრაჟში
ვარდი“ და ისევ მაინც... სილაში ვარდი!..

დიდხანს ვეძებდი მის განმარტებას, ბევ-
რი მშვენიერი ინტერპრეტაცია შემომემშველა,
ყველა კარგია, ყველა ნაირ-ნაირი რაკურსით
ხსნის ამ წყვილულ სიტყვას, რომელიც გალაკ-
ტიონის შემდეგ მართლაც დაუშლელ სემანტი-
კურ ერთეულად ჩამოყალიბდა.

მეც ერთი, კიდევ ერთი პატარა ნიუანსით და
კრძალვით მინდა შევეხო „სილაში ვარდს“. თურ-
მე ერწო-თიანეთისა და ყაზბეგის რაიონში აღ-
მოჩნდა ამ ორი სიტყვის – სილა, ვარდი – ნაერ-
თი, როგორც ტოპონიმიური ერთეული, კერძოდ,
ბ-ნ გურამ ბედოშვილის წიგნში „ერწო-თი-
ანეთის ტოპონიმია“ (თბილისი, 1980). 126-ე
გვერდზე წავაწყდი ტოპონიმს – „ლამორდენი“,
რომელიც ასეა განმარტებული: „ლამორდენი –
მინდორი, ადგილი, ეტიმოლოგიურად ლამორ-
დენი ლამი-ორდი (ვარდი) სიტყვების ნაერთს
უნდა წარმოადგენდეს. ლამორდენი – „ლამის
ვარდები“; ლამიანი ადგილი, მინდორი, სადაც
მრავლად ხარობს მინდვრის ვარდი, ანუ ყაყაჩო
„ნ“ – ობიექტის სიმრავლის ნიშანია. ძალზე ნი-
შანდობლივია: ლამორდენი ადგილის სახელწო-
დებით გვხვდება ხევში (ყაზბეგის რაიონში)“?

ამავე წიგნის მე-100 გვერდზე სახნავ-საძო-
ვარი მინდვრის სახელწოდება „ვარდისუბანი“
ასეა განმარტებული: „... კაი დიდი მამულია...

ყაყაჩო იცოდა ბევრი. გადაიღებოდა წითლა-
და. გლახობა ვარდს ეძახდა ყაყაჩოსა“.

მეუცხაურა: ვარდი – ყაყაჩო?!

მივუხვდი ნეტავ?!

წვიმის შემდეგ, ნაწვიმარზე გინახავთ ყაყაჩო?
ყაყაჩო – ლამორდენი, სილის ვარდი, რომელიც
შხაპუნა წვიმას გვირგვინის ფურცლებისაგან
რომ გაუძარცვავს, რომელიც ღეროებით–და
რომ მისჩერებია ზეცას და სახისმეტყველებით
კარგად რომ მისადაგებია გალაკტიონის ამ შე-
დევრის ლირიკული გმირის განწყობილებას:

და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი

გედი დაჭრილი ოცნების ბალით!

შეხედე, დასტკბი ყმანვილურ ბედის

დაღლილ ხელებით, ნამებულ სახით!

და აი, ასე – მიწისკენ დაშვებული დაღლილ–

ჩონჩხიანი ხელები და ცისკენ აღერილი გაძარ-
ცვული ღეროები ლამორდენისა, სილაში ვარ-
დისა...

ტირის ვოლტორნა!..

ვაზის ცრემლებით აივსო ზვარი...

კვლავაც უშენოდ, მეფე–პოეტო!..

თუმცა, თამამად აცხადებდი:

მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეში-
ნია!

ჭეშმარიტად! რამეთუ –

როგორც ერთია ქვეყანა მთელი,

ისე ერთია გალაკტიონი!

ჭეშმარიტად... ჭეშმარიტად!..

მოზონება

ბახვან დოლიძე

შეხვედრა ნოდარ დუმბაძესთან

ნოდარს აგარაკი ჰქონდა საგურამოში, სადაც
მე დიდი მეურნეობის დირექტორი გახლდით.

წლის ყოველ დროს გვექონდა სათბურში გა-
მოყვანილი კიტრი და პომიდორი.

ერთხელ ჩემს კაბინეტს მოადგა ახალგაზრ-
და კაცი, რომელმაც ასე მომმართა: „ბატონო
დირექტორო! მე გახლავარ მწერალ ნოდარ
დუმბაძის მძღოლი. ბატონ ნოდარს მეგობარი
ესტუმრა და ორიოდე კილოგრამი კიტრი და
პომიდორი გთხოვთ.“

თქვა თუ არა, ფული გამომიწოდა.

– ეს ფული თქვენთან იყოს. კიტრი და პომი-
დორი სულ რამდენიმე წუთში გექნებათ–მეთ-
ქი, – ვუთხარი მე.

ჩემი ხელით შევარჩიე კიტრი და პომიდორი,
ჩავანყვე ყუთში, ზედ სხვადასხვა სახის მწვა-
ნილეულობა მოვაყარე და მივანოდე ჩემს სტუ-
მარს.

მან მადლობა მომახსენა და წავიდა. მე კი შევ-
ბრუნდი ჩემს კაბინეტში და ჩემი სამუშაო გან-
ვაგრძე.

ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ის კაცი ისევ
მომადგა:

– ჩემი შეფი ძალიან მადლიერია თქვენი და
თავის აგარაკზე გეპატიუებათ.

მეურნეობის დირექტორს საქმეს რა გამო-
ულევს, მაგრამ ნოდარის მიწვევაზე უარს რო-
გორ ვიტყვოდი?

მივალაგე ქაღალდები და გავყევი მოპატიჟს.
როდესაც მძღოლმა კარები შეაღო და ნოდარმა

თვალი მომკრა, მაშინვე წამოდგა, მომესალმა
და ღიმილით მითხრა: – ბიჭო, ამ ბედნიერ საგუ-
რამოში ახლა ორადორი გურული ვართ, ორი-
ვეს გვარი „დ“–ონით იწყება: დოლიძე, დუმბაძე
და რატომ არ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს?

არა მარტო ვიცნობდეთ, არამედ უნდა ვმე-
გობრობდეთ კიდევცო, – თქვა ეს და ხელი გა-
მომიწოდა, მაგრამ ეს არ იკმარ და გადამეხვია
კიდევც.

ამის შემდეგ სუფრისკენ წამიძღვა. იმ დღეს
რა დამავინყებეს?

დიდხანს დავრჩი, რამდენჯერმე კი ვცაადე ნა-
მოსვლა, მაგრამ ვინ გამოგიშვა!

მომხიბლა მისმა თავმდაბლობამ. ნაწარმო-
ებები ნაკითხული მქონდა და მისი ნიჭიერება
კარგად ვიცოდი.

რამდენიმე შეხვედრის შემდეგ კიდევ მიმიწ-
ვია და მითხრა: – ჩემო ბახვა, გაიგებდი ალბათ,
რომ ჩოხატაურს „ერისკაცობის“ დღესასწაული
დაუნსებია და გვეპატიუებინან.. ერთი კვირის
შემდეგ მთელი ჩოხატაური შეიკრიბება.

– ჩემთვის ამაზე აქამდე არავის არაფერი
უთქვამს და, ბატონო ნოდარ, დაუპატიუებლად
სტუმრობას ქართველი კაცი თაკილობს–მეთ-
ქი.

– ქართული ტრადიციები დიდია, – მითხრა
მან, – და მას ერთგულება უნდა, მაგრამ დოგ-
მატური ერთგულება არაა აუცილებელი. შენ
იმხელა მეურნეობის დირექტორი ბრძანდები,
რომ უეჭველად უნდა შეგხმიაწებოდნენ, მაგ-

რამ, ეტყობა, ორგანიზატორობა მოიკოჭლებს და ჩვენ კი არ უნდა გავებუტოთ, პირიქით, მინდა მივეხმაროთ და მიუწვევლად ვენვიოთ... გჯეროდეს, გაუხარდებათ. იური სიხარულიძე და როსტომ ყენია უკვე ჩოხატაურს არიან და ჩვენს დასახვედრად ემზადებიან.

– არა, ჩემო ნოდარ, დაუპატიჟებლად ვერ წამოვალ, თორემ არც ავტომობილი მიჭირს და არც სხვა რამ. ვიცი, კარგი ლხინი იქნება. რომელმა ქართველმა არ იცის ქართული ლხინის მადლი და მეც არ მაკლია ეს, ასეულობით საქორწილო სუფრის თამადა ვყოფილვარ.

– რადგან ასეა, და არ მიდისარ, მეც აღარ მივდივარო, – განაცხადა ნოდარმა, – შევიკარით ჩოხატაურელი საგურამოელები და აგია მართალი? არაა კარგი ასეთი შეკვრა, მაგრამ, თუ ოდესმე მე ვინმე გამკიცხავს ამისთვის, უნდა იცოდეს ყველამ, რომ ამაში მთავარი ბრალი შენ მიგიძღვის, ჩემო ბახვა, თუმცა არც შენი ბრალია ეს, რადგან შენ ტრადიციისადმი ერთგულების გადაღახვა გაგიჭირდა.

ეს 1982 წლის 2 ოქტომბერს მოხდა. ამის შემდეგ ნოდარს ორი სრული წელიწადიც აღარ უცოცხლია.

ჩვენი ზემოქმედება

წრფელი გულით ნათქვამი

(ნაირა ქავთარაძის ლექსები)

საკოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს შორის ბევრი ადამიანი არის შეჭიდებული პოეტურ შემოქმედებას, ცხადია, ეს არ არის პრეტენზიები პროფესიულ მოღვაწეობაზე, მაგრამ ლექსის შექმნის მოთხოვნილებას უეჭველად გამოხატავს. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ არავინ უწყის, ვინ როგორ გამოავლენს თავს შემდეგში და რა დონეს მიაღწევს. არ შეიძლება მოყვარულ პოეტებს ხელი არ შეეწყოს, გამოავლინონ თავისი თავი, შეამონმონ თავიანთი შესაძლებლობები, მიიღონ სტიმული.

სწორედ ამას ითვალისწინებს ჩვენი ჟურნალი, როდესაც თავის ფურცლებს ამ ადამიანებს უთმობს, ძირითადად ესენი არიან ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მუდმივი და აქტიური მკითხველები, რომლებიც ბიბლიოთეკების შემოქმედებით წრეებში მოღვაწეობენ, ბიბლიოთეკის თანამდგომნი, წიგნისა და პოეზიის მოყვარულნი. მნიშვნელობა არა აქვს, რა სპეციალობისა და პროფესიის არიან ისინი, რა ხნისა და ასაკის. ყველანი ჩვენი ჟურნალის მეგობრებს წარმოადგენენ.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლავთ ქალაქ რუსთავის მე-9 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნაირა ქავთარაძე, იგი უკვე 30 წელია ასწავლის ბავშვებს და მათ გარეშე თავი ვერ წარმოუდგენია. ის მუდამ იყო ლექსის ტრფიალი და თავის მოსწავლეებსაც თავდაუზოგავად უწერგავდა პოეზიის სიყვარულს. თვითონ მთელი ცხოვრება წერდა ლექსებს და როგორც მოყვარული, არაერთგზის გამოჩენილა საზოგადოების წინაშე. მისი რჩევით არაერთი მოსწავლე გამხდარა ბიბლიოთეკის „ბინადარი“.

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ

მასზე, გვინდა მისი ლექსების რამდენიმე ფრაგმენტი შემოგთავაზოთ.

ნაირა ქავთარაძის შემოქმედების მამოძრავებელი ძალა სამშობლოა, განსაკუთრებით მისი წარსული. ამის დასტურია ლექსი „მირიან“.

ავტორი თითქმის პირისპირ ესაუბრება დიდ მირიანს და ლაკონურად, ლექსის ორიგინალური ფორმით გამოხატავს მისდამი თავყვანისცემას:

„ღრმად ჩაფიქრდები და გავვოცდები მირიად,

რამდენი აწონე, გაზომე, გიგრძენია...

და გააქრისტიანე ერი

მირიან!

მაოცებს, რამდენი გცოდნია შენს ხალხზე,

ქართველის სულის რა სიღრმე გიხილავს.

გიყვარდა, თავს ევლებოდი, ზრუნავდი მამულზე,

მირიან!..

...

როგორ შემოავლე ერს მტკიცე გალავანი,

სულიერებით მრავალმტრიანს,

გარეთ თუ შიგნით ღალატთან,

მირიან!

დრო მიდის, უკეთესი ზღუდე ვერვინ ააგო,

კელაპტარი ვერვინ აანთო,

მირიან!

მხოლოდ შენ შეძელი,

ღვთის კალთა გადაგვაფარე...

და მტერიც იძლია, მირიან!

ნ. ქავთარაძე განსაკუთრებულად შეიცნობს წიგნის ღირსებას. უფრო მეტიც – სამშობლოს დაცვის მოვალეობასთან ერთად, წიგნთან ურთიერთობასაც კი სახავს, როცა თამამად აცხადებს:

„ქართველობა ძნელი არის,
უნდა გედოს სულ სხვა ფერი,
ცალხელში წიგნი გეჭიროს,
იგერიო თანაც მტერიო“.
ამავე ლექსშივე ავტორი წიგნს და შრომას გა-
ნუყოფელ კომპონენტებად სახავს:

„წიგნი რომ ცოდნა-ძალაა,
ეს ვინ არ უწყის დღესაო,
სწავლის დანიდნდა შრომასთან
გაუხარდება ღმერთსაო“.

ნ. ქავთარაძის ლექსებს შორის გამორჩეულია
მორალურ-ეთიკური და ცხოვრებისეული მოვ-
ლენების თემატიკა. ერთ ლექსში ის წუხილს
გამოთქვამს ცხოვრების წარმავლობაზე, თუმც
ოპტიმისტური განცდა არ ჰქონდა:

„მიდიან, ფეხაკრეფით მიდიან თაობები,
ნეტავ სად მიდიან?
ტირიან, რა ჩუმად ტირიან ტირიფები,
ნეტავ რას ტირიან?“

ადამიანთა სევდა ძლიერი, ყოვლისმომცველი
და დიდია –

ეს ერის ფიქრია.
მერე რა, თუ ფოთლები მიდიან?
მუხა ხომ დგას ურყევად... ტოტებზე ცრემ-
ლები ჰკიდება.

ცხოვრების სახესხვაობებს ეხება ზოგი მისი
ლექსი:

„ფიქრი მოჰქრის ციდან ფიქრად,
ფიფქი, ფიფქი, ფიფქი...“

ხან კაცი ხარ ღმერთის ტოლა,
ხან პანია ფითრი.

...

როცა ფიქრი ფურცელს ვანდე
თითქოს ფიქრად დავიცალე,
ხან ვიფიქრებ: ვიცოცხლე, და
ხანაც – სისხლით დავიცალე.
ავტორი კარგად ხედავს, რაოდენ საპირისპი-
რო მოვლენები შეიძლება წარმოიქმნას ცხოვ-
რებაში:

„არის დრო – გაქცევს სიმღერად,
არის დრო – გაქცევს ლექსად,
ხან გადიქცევი არაფრად,
ხან ხალხი გაქცევს ძეგლად.
არის დრო – გაქცევს ტალახად,
არის დრო – გაქცევს ღმერთად,
მითხარი, რა გაქვს, რას ელტვი,
რისთვის გამსგავსეს ღმერთსა?!“

ავტორისათვის უცხო არ არის ლირიული სევ-
და, თუმცა ეს პესიმიზმისაგან ძალიან შორსაა:
როგორ მეშინოდა მიწის, იცით?

თითქოს ხელით მეხებოდა ცივით.
ახლა ხელით მე ვეხები ცივით,
ის ახლა თბილია... და მიცდის...

ნ. ქავთარაძის ეს მოკრძალებული, მაგრამ
მართალი გულითა და წრფელი გრძნობით შექ-
მნილი ლექსები უდავოდ მეტყველებს მის ნიჭი-
ერებაზე.

*ცინცაძე ანგელინა – ქ. რუსთავის 24-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, რესპუბ-
ლიკის წარჩინებულ მასწავლებელი, უფროსი მეთოდისტი, ი. გოგებაშვილის მედლის მფლობე-
ლი. წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა სკოლის საბიბლიოთეკო ცხოვრებაში.*

ანგელინა ცინცაძე

რწმენის კალით

(მოთხრობა)

იმ წელს იმოდენა თოვლი მოვიდა, აივნის გა-
დათოვლაც კი დაგვჭირდა. ომში წასული მა-
მის ნაცვლად დედა ედგა ოჯახს სათავეში და
ჩვენც, პატარები ყოველმხრივ ცდილობდით,
როგორმე შეგვემსუბუქებინა მისთვის გარჯა,
მაგრამ რა შეგვეძლო ერთმანეთს მიყოლებულ
5 პატარას? დედა წელზე ფეხს იდგამდა, რო-
გორმე თავი გაგვეტანა და ღირსეულად გაგზ-
რდილიყავით.

იმ ერთი ზამთრის კვირადღეს ყველანი ჯერ
კიდევ ლოგინში ვინექით. ძლივ შეთენებული
იყო, როცა დედა წამოდგა, მიალაგა საწოლი,
საქონელსა და ქათმებს დაუარა და წასასვლე-

ლად შეემზადა. წუხელ გამზადებული დიდ ჩან-
თას მოავლო ხელი და წავიდა. ვიცოდით, განზ-
რახ გადანახული პროდუქტი თბილისში უნდა
წაედო, გაეყიდა და ოჯახისათვის სხვა საჭირო
რამ შეეძინა. თბილისისკენ მიმავალი მანქანის
გაჩერებამდე ჩვენი მეზობლები დილით ადრი-
ანად კვალავდნენ ხოლმე თოვლს და დედაც
გაკვალულ გზას გაუყვებოდა.

ოჯახში უდებობა განსაკუთრებულ სიცი-
ვესა და უკმარობის გრძნობა სინწვევს, მაგრამ
რომ ვიცოდით, ორ საათზე უეჭველად დაბრუნ-
დებოდა, შედარებით იოლად ვიტანდით ამას.
თბილისის გზისაკენ მაინც წარამარა ვიხედე-

ბოდით ყველანი.

გახდა ორი საათი... სამი... ოთხი... და ავწრიალდით... მაგრამ დრო ხომ არავის და არაფერს ემორჩილება.

დაღამდა, თანაც მოულოდნელად ქარბორბალა დატრიალდა, სახლის გარშემო ღმუილით დაქროდა. გაკვალული გზა კვლავ გადაივსო. ახლა უკვე ავწრიალდით და თვალები აგვიცრემლიანდა. ვახშამს რა გვაჭმევდა? დანოლითაც კი არ დანვოლივართ, ვიყავით კრუხისაგან მიტოვებული წინილებივით, ვეხუტებოდით ერთმანეთს და მთელი ღამე კარებს მივჩერებოდით.

უფროსი და მართლაც უფროსობდა, გვაიმედებდა, მაგრამ ცრემლებს თვითონაც ვერ იკავებდა. პატარებიც ვმალავდით ცრემლებს, მაგრამ როცა უკვე ნ ჯოჯოხეთური დღე და ღამე ერთმანეთს მიჰყვა, აუტანელი გახდა ეს გაუგებრობა და სულწამლები ლოდინი. ხან ერთი მეზობელი მოგვინახულებდა, ხან – მეორე, შენუხებულნი იკითხავდნენ ამბავს, შემოგვიძახებდნენ და მოგონილი თუ ნამდვილი ვიშვიშით რალაც სანუგეშოს გვეტყოდენ–ხოლმე.

მეშვიდე დღე გათენდა. დილით ადრე ჭიშკრის ჭრიალი შემოგვესმა. მშრალი თოვლის ჭრაჭუნით, მძიმე ჩექმებით მოდიოდა ვილაც, შემოვიდა იმ „სალდათ ჩექმების“ ბაკუნით და ფეხი ისე მაგრად მოარტყა კარებს, კინალამ შემოანგრია, თან როხროხით დაიძახა:

– კარგი ამბავი მოგიტანეთ, ბალებო! დედათქვენია ამ დიდ თოვლში გაციებულა, ფილტვების სენი შეჰყრია, ახმეტის საავადმყოფოში დაუწვევიათ, ახლა უკეთაა და ორ დღეში გამოწერენ.

მთელი კვირაა ლოგინში არ დავწოლილვართ. ახლაც ღუმელთან ვიდექით შეხურხლულები და ამის გაგონებაზე ავყიჟინდით, როგორც ბუდეში ჩასუსული ბარტყები დედის დანახვაზე.

ეს სიხარულზე რალაც უფრო მეტი იყო, ძლიერი და გამოუცნობი გრძნობა. თითქოს დაგვაგინყდა ფრონტზე წასული მამის მოუშუშებელი დარდი. მე– ლიფსიტა გოგონა მაშინ დავრწმუნდი, რამდენად სწორია, როცა ამბობენ, დიდ დარდს მასზე დიდი დარდი თუ გაანელებს ან დიდი სიხარულით, ელვის სისწრაფით გამოვვარდი „ბუდის“ შუაგულიდან, სასწრაფოდ ჩავიცვი პალტო, ჩემი მოქსოვილი განიერი და თბილი თავშალი მოვიხვიე და გარეთ გავვარდი.

გავრბივარ და მომდევს ხმები: „ნინი!... ნინი!... სად მირბიხარ, გო?... მობრუნდი!“ – მაგრამ არაფერი მესმის... ერთი მაქვს მტკიცედ გადანყვეტილი: მივრბივარ ახმეტისაკენ, სადაც დედაჩემი ნევს...

თოვლი ყელამდე მწვდება, ზევიდანაც მათოვს... მერე დავილაღე და შევანელე ნაბიჯები. ძლივს ვსუნთქავ, გაოფლიანებულს კიდეც შემცივდა, მაგრამ არაფერს ვეპუები. სული რომ მოვითქვი ცოტათი, ისევ ავჩქარდი, აჰა, ეს ტყეც!... იმის გავლით უფრო მოკლეა გზა. საავტომობილო გზას განზრახ ავერიდე და ამ მოკლე გზით გავნე. ერთადერთ ქალილა შემომხვდა მხოლოდ. ვკითხე, ახმეტისაკენ ხომ სწორად მივდივარ–მეთქი. დამიდასტურა და მეც თითქოს ფრენით გავსნე.

სალამომაც მოატანა, როცა ახმეტა გამოჩნდა. ბევრად არ განსხვავდებოდა კარგა დასახლებული სოფლისაგან. გავედი შუა გზაზე და ცოტათი შევისვენე. თოვს, ცივა, საშინლად ცივა. ყველა მიიჩქარის და მიიჩქარის. ვინ უნდა შევაჩერო? გავბედე და ერთი დეიდა შევანუხე. თბილად შემომხედა, თანაგრძნობით შემომხვია ხელი და გამომყვევო, შემომთავაზა.

ცოტა გავიარეთ. მე თვითონ შევიცანი საავადმყოფო. დეიდას მადლობა გადავუხადე და მთელი ძალით გავიქეცი.

საავადმყოფოს დერეფანში თერთხალათიანი ადამიანები ირეოდნენ. ერთი დეიდა მორიდებულად შევაჩერე და მერე მივხვდი, როგორ სულელურად ვკითხე, თუ იცით, დედაჩემი რომელ პალატაში ნევს–მეთქი.

დეიდა არ გამიწყრა, არც დაუცინია ჩემთვის, თავშეკავებულად გაიღიმა და ძალიან, ძალიან თბილად, მგონია შევეცოდე სიცივისგან აკანკალებული განუწული ნამცეცა, მკითხა:

– ვინ არის, შვილო, შენი დედა, რა გვარია, რა ჰქვიაო?

ჩემგან პასუხი რომ მოისმინა, ისევ მომხვია მხრებზე ხელი, ერთ ოთახში შემიყვანა, მაგიდიდან რვეული აიღო, ჩახედა და მითხრა, მე–ნ პალატაში ყოფილაო.

როცა პალატის კარები შევალე, დედა კარებისაგან ზურგმექცევით იწვა. შემოესმა თუ არა ჩემი ხმა, სწრაფად გადმობრუნდა და შეშფოთებულმა დაიძახა: ამას ვის ვხედავო!

მივვარდი და თავიდან ფეხებამდე განუწული, მოურიდებლად ჩავეკარი გულში. მაშინვე მომხადა თავშალი, გამაძრო გალუმპული პალტო, მომინვინა გვერდით, თბილი საბანი შემომახვია და მაგრად, მაგრად მიმიკრა მკერზე. მე ვუკოცნიდი ყელს, კისერს, მკერდს და ვტიროდი, ვტიროდი განუზომელი სიხარულით. ჯერ კიდეც სველი წინდები მეცვა, რომელიც ანოტიებდა ლოგინს, მაგრამ ამას აღარ ვჩიოდოდი... მე აღარ მციოდა, დედის უბეში ვინექი გატრუნული. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა იყო ჩემთვის ეს მთელი კვირის მტანჯველი ლოდინის შემდეგ.



ღმერთმა არ გაგვწირა უმამოდ დარჩენილი მოზარდები. კარგი რომ, მაშინ ჩვენში არ არსებობდა ე. წ. „თავისუფლად საქართველოს ეროვნული მთავრობა“, არც მათ მიერ „ევროპული სტანდარტებით“ აშენებული საავადმყოფო და ევროპაში განსწავლული ექიმები, თორემ ჩემს გასაცოდავებულ, ლატაკ დედას საავადმყოფოში ვინ მიიღებდა ასე უპატრონოს? საავადმყოფოს სანოლზე, მათ ქათქათა ლოგინში ვინ დაანვენდა? ან წამალს ვინ მიანოდებდა, და არავინ იცის, გზის რომელ მონაკვეთზე შეწყდებოდა სიცოცხლე ხუთი მოუმწიფებელი, მამით დაობლებული შვილების დედა.

მაშინ კი, იმ მრისხანე ომის დროს ერთმანეთის გატანა და თანგრძნობა უცხო არ იყო. ვინეჩი საავადმყოფოში დედის უბეში, დედის მკერდს ჩაკრული და...

დეკემბრის მოკლე დღეა, ცოტათი დაგვიანდა – მეზობელ პალატებიდან ისმის – ავადმყოფებთან დანიშნული პრეპარატები როგორ შეაქვს მორიგე ექთანს (რა თქმა უნდა, უფასოდ). ჩვენი პალატის კარებიც შემოაღო მორიგე, დედას მოერიდა, არ გაგვიწყრეს ექთანით და საბანი გადამაფარა, მაგრამ მთლად მაინც ვერ დამმალა. მოსულმა ინტერესით გადაუნია დედას საბანი, დამაკვირდა, მერე საოცრად თბილად, სიყვარულითაც კი გაიღიმა, აქაო–და, ამას აქ რა უნდაო. თვალთაგან ისეთი სიკეთე გამოკრთოდა, რომ მე ვინამე – ღმერთი ნამდვილად არსებობს, მაგრამ მსაჯული და მოსამართლე კი არა, არამედ კეთილი, რომელიც იმ წუთში თეთრხალათიანი დეიდას კეთილი თვალეზით შემოგვცქეროდა დედა–შვილსა და ილიმება.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

□ 20 იანვარს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტური ორდენის „მარად ახალი ქნარის“ ლიტერატურული სემინარების მორიგი შეხვედრა. ეს იყო საქველმოქმედო საღამო, რომელიც მიეძღვნა სოსო ნადირაძის შემოქმედებასა და მისი პირადი ცხოვრების საკითხებს.

□ 25 იანვარს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოენყო ღია კარის დღე. ბიბლიოთეკის მკითხველებმა და თანამშრომლებმა იმსჯელეს ბიბლიოთეკის საჭირობოროტო საკითხებზე, მკითხველთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

□ 27 იანვარს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ნიკო მუსხელიშვილის ბიბლიოგრაფიის წარდგენა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „მერიდიანმა“. ბიბლიოგრაფიაში აღწესდებოდა ნიკო მუსხელიშვილის შრომები, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი მასალები. წიგნი გამოიცა სამენოვანი ტექსტით – ქართული, რუსული და ინგლისური.

□ 5 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დ. ბაქრაძემ ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს წარუდგინა ბიბლიოთეკის ახალი გენერალური დირექტორი. ეს თანამდებობა დაიკავა პოეტმა, პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკის დამაარსებელმა გიორგი კეკელიძემ.

□ 7 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ნინო ცარციძის ისტორიული რომანის „რუსთველის გზის“ წარდგენა.

□ 8 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოაწყო გამოფენა „ქალთა საკითხი საქართველოში მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე“.

□ 14 მარტს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ჩერქეზული ენისა და კულტურის დღეები თბილისში. ინიციატორები იყვნენ ჩერქეზული (ადილეური) კულტურის ცენტრი და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

□ 15 მარტს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში მოენყო ქალაქის ქსელის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა მეთოდიკური სემინარი თემაზე „საბიბლიოთეკო მუშაობის თანამედროვე საკითხები“ მოხსენებებით გამოვიდნენ: ალ. ლორია – „ბავშვთა კითხვის მართვის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“; გ. სტურუა – „წიგნი და ახალი ტექნოლოგიები“; გ. თაყნიაშვილი – „საბიბლიოთეკო დოკუმენტების წარმოების ორგანიზაცია“. სემინარის ორგანიზატორებია კოორდინატორები ნ.ბინაძე, ხ.მესხიძე, მეთოდისტი მ.ტოგორნიძე

თქვენი

ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული

ბიბლიოთეკართა საყურადღებოდ!

მიმდინარე წელს საბიბლიოთეკო კვირეული ჩატარდება 23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით. როგორც ცნობილია, 23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღეა, 30 აპრილი – ბიბლიოთეკარის დღე. სასურველია, ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს ბიბლიოთეკებმა შესაბამისი ღონისძიებები მიუძღვნან. როგორც ყოველთვის, კვირეულის მიზანია საზოგადოებასთან კავშირის დამყარება და ბიბლიოთეკების პოპულარიზაცია.

შევთავაზოთ ყველა ორგანიზაციასა და პირს, მონაწილეობა მიიღოს საბიბლიოთეკო კვირეულში, რომლის დევიზია: „თქვენი ბიბლიოთეკა – იპოვე შენი მომავალი ბიბლიოთეკაში!“

ტრადიციულად, კვირეულის დროს საქართველოს ყველა ბიბლიოთეკა ატარებს საინტერესო ღონისძიებებს – მხატვრული თუ ფოტო-გამოფენები, შეხვედრები მწერლებსა და თვალსაჩინო მოღვაწეებთან, კონცერტები, სემინარები, დისკუსიები, საქველმოქმედო აქციები და სხვა. ბიბლიოთეკების საქმიანობა ამ მიმართულებით აისახება პრესაში.

კვირეული ზრდის ბიბლიოთეკებისადმი საზოგადოების ინტერესს და ამავე დროს გვეხმარება უკეთ შევისწავლოთ ჩვენი მკითხველების მოთხოვნები, გავაუმჯობესოთ მომსახურება და ხელი შევეწყოთ ბიბლიოთეკისა და საზოგადოების თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას.

მოვუწოდებთ ყველა ბიბლიოთეკას, ტიპებისა თუ სახეობათა მიუხედავად, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბიბლიოთეკო კვირეულში.

კვირეული გაიხსნება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დახურვა – თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში.

რედაქცია გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ მასალები ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაიბეჭდება ჩვენს ჟურნალში.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია



